# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 13 ივნისი, 2004 წელი. №135 (4864) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი


◉ მამული

# სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ...

იხ. მე-3 გვ.



„ორღობეში“ ცხრუკვეთელები. მარცხნივ დამსახურებული ჟურნალისტი დიმიტრი ტატიშვილი (83 წლის) და ადგილობრივი მცხოვრები ვალოდია ნოზაძე (94 წლის).

სოფელ ცხრუკვეთის შესასვლელი.

◉ კვირის თვალსაწიერი

## კარუსელი დიდებისათვის

**ყველაზე მთავარი, რითაც განვლილმა კვირამ თავი დაგვამახსოვრა, მინისტრების „კარუსელი“ და „რეორგანიზებული“ მთავრობისთვის პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადება იყო.**

და აქ, უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: რატომ მოხდა ვაზირთა ასეთი უხვი ადგილმონაცვლება, რაც, მართლაც, „კარუსელის დატრიალების“ შთაბეჭდილებას ქმნის?

მართლაც: თითქოს ყველა (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და სხვ.) კმაყოფილი იყო თავ-თავის ადგილზე მათი მუშაობით.

გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი პირქუშად იჯდა ორთაჭალაში მდებარე თავის „ ქაჯეთის ციხეში“ და დიდი მონდომებით იჭერდა და ფცქვნიდა კორუმპირებულთ, კორუფციაში ირიბად ეჭვმიტანილთ თუ, უბრალოდ, ფულიან ბობოლებს. რაც მთავარია, ამ დაჭერა-ფცქვნით, მან პროკურატურას მონსტრის სახელი დაუბრუნა.

„ქაჯეთის ციხის“ ტყუპისცალში კი შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, ასევე წარმატებით გეგმავდა და აღასრულებდა რეგიონულ სპეცოპერაციებსა და კანონიერი ქურდების აკრეფის ღონისძიებებს ლოზუნგით „ქურდი ციხეში უნდა იჯდეს“.

ზურაბ ადეიშვილზე მოფერებით ლაპარაკობდნენ, მართლა გვყოლია უშიშროების სამსახური, მთელი აჭარის უსისხლოდ ჩატარებული ოპერაცია სწორედ მისი და მისი ხალხის დამსახურება იყოო.

იხ. მე-2 გვ.

◉ ვიზიტის წინ

## საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს მეგობრულად ართმევენ ხელს



**ორშაბათს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ეწვევა. საქართველოში ამ ვიზიტთან დაკავშირებით უკვე დიდი ხანია მუშაობენ ქართველი და აზერბაიჯანელი სპეციალისტები, რომელთა მიერ მომზადებულ ხელშეკრულებებს საბოლოოდ პრეზიდენტები მოაწერენ ხელს.**

იხ. მე-2 გვ.

◉ ჯანდაცვა

## კიდევ ერთი სამკურნალო ცენტრი

**მარნეულის რაიონული საავადმყოფოს შენობაში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის“ რეგიონული ფილიალი. კლინიკის გახსნაზე მიწვეულები იყვნენ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოვსი.**

როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა დავით ტატიშვილმა განაცხადა, რეგიონში მაღალტექნოლოგიური კლინიკის გახსნას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მარნეული ერთ-ერთი ყველაზე დასაქმებული რაიონია და მოსახლეობას საშუალება უნდა ჰქონდეს ნორმალური სამედიცინო დახმარება მიიღოს. მისი თქმით, კლინიკის ხელმძღვანელობა შეეცდება, რომ ახლადგახსნილ ცენტრში მკურნალობის ჩატარება მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ცენტრში ძირითადად ადგილობრივი სამედიცინო პერსონალია დასაქმებული, თუმცა რეგიონში პერიოდულად თბილისიდანაც ჩავლენ სპეციალისტები.

**ინტერ-პრესი.**

◉ გზა დაელოცოს!

## 40 წლის შემდეგ

პირენეის ნახევარკუნძული მეორედ მასპინძლობს ევროპის საფეხბურთო ფორუმს – 1964 წელს ესპანელებმა ოქროს მედლებით დაიმშვენს მკერდი, ხოლო ამჯერად ტიტულის მოპოვებას მათი უახლოესი მეზობლები შეეცდებიან „მუნდიალ-2002“-ის ბრაზილიელი გმირის ლუის ფელიპე სკოლარის თავკაცობით.

გუშინ პორტუს „დრაკონის“ სტადიონზე კონტინენტის XII ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი მოეწყო – ტრადიციისამებრ, იყო მონაწილეთა წარდგენა, მისალმებები, მუსიკა, ფეიერვერკი... და დაიწყო.

გაუწყებთ „ევრო-2004“-ის პირველ შედეგებს:

**„ა“ ჯგუფი:**
**პორტუგალია – საბერძნეთი 1:2.**



„ევრო-2004“-ის გახსნის ცერემონიალი დრაგაუს სტადიონზე.

## ინტერპანორამა

**სასაკლაო იემენის მეჩეთში – მოკლულია ოთხი ადამიანი**

**მოთარეშეებმა ცეცხლი გაუხსნეს მლოცველთ, რომლებიც შეკრებილნი იყვნენ მეჩეთთან, პროვინცია დამარში, იემენის დედაქალაქიდან 60 კილომეტრის დაშორებით.**



**ერაყში გაათავისუფლეს შვიდი თურქი მძევალი**

**ამჟამად განთავისუფლებული მძევლები მიემართებიან ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მოსულში, საიდანაც სამშობლოში გაემგზავრებიან. ერაყში კონტრაქტით ასობით თურქი მუშაობს.**

◉ ვიზიტის წინ

# საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს მეგობრულადართმევენ ხელს

(პირველი გვერდიდან)

მანამდე კი, ივნისის დასაწყისში, საქართველოს დელეგაცია აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მიმდინარე ნავთობის, გაზის, ნავთობგადამუშავებისა და ნავთობქიმიის მიღწევების მე -11 საერთაშორისო გამოფენა - კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ისაკ ნოვრუზოვი, რომელიც ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტთან გია ჭანტურიასთან ერთად კონფერენციაში საგანგებოდ მონაწილეობდა, განმარტავს, რომ საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით აღმოსავლეთ - დასავლეთს, ასევე სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის ენერგეტიკული კავშირის დასამყარებლად ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობა აქვს.

როგორც ცნობილია, კასპიის ზღვის აუზის ქვეყნები და რუსეთი მდიდარია ნახშირწყალბადიანი სათბობის საექსპორტო პოტენციალით. პრობლემა კი იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი და სატრანზიტო ქვეყნებისთვის, რომ ამ პროექტებში ჩასართველად უდიდესი კონკურენციაა გაჩაღებული.

საქართველოს სათბობ - ენერგეტიკული სექტორისთვის ეს მიმართულება 1993 წლიდან ხდება პრიორიტეტული და მას შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობს ყველა დიდი პროექტის განხორციელებაში.

ამ მიმართებით პირველი სერიოზული პროექტი ბაქო - სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა გახლდათ, რომლის საშუალებითაც ყოველწლიურად საქართველოს გავლით 6 - 7 მილიონი ტონა აზერბაიჯანული ნავთობი გადის ევროპაში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო - თბილისი - ერზრუმის გაზსადენის მშენებლობა. მართალია, ნავთობსადენის პროექტზე მუშაობა ადრე დაიწყო, მაგრამ გაზსადენის პროექტირება გაცილებით სწრაფი ტემპით განხორციელდა, რამაც ამ ორი გიგანტური მშენებლობის ერთდროულად დაწყება განაპირობა.



აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ისაკ ნოვრუზოვი.

როგორც ბატონი ისაკ ნოვრუზოვი ამბობს, კონფერენცია - გამოფენაზე საუბარი სწორედ ამ პროექტებსა და ნავთობმოპოვების პრობლემებს შეეხებოდა.

საქართველო ერთ - ერთი პირველი შეუერთდა მსოფლიო ენერგეტიკულ ქარტიას და ამჟამად მის ფორმატში ინტენსიურად მიმდინარეობს ქარტიის სატრანზიტო ოქმზე მუშაობა, რომლის ხელმოწერის შემდეგაც საქართველოს სატრანსპორტო ენერგეტიკულ დერეფანში კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციო გარემოს.

ამავდროულად სათბობ – ენერგეტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით ენერგეტიკული დერეფნის ჩამოყალიბების პროცესში საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს იმას, რომ ქვეყანას მხოლოდ მარტივი სატრანზიტო ფუნქცია არ ჰქონდეს. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ენერგორესურსები ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისა და აქ ინვესტიციების მოსაზიდად დიდ შესაძლებლობას ქმნის, რასაც კონფერენციაში მონაწილე დონორი ქვეყნების წარმომადგენელთა უმრავლესობა დაეთანხმა.

ასეთი გიგანტური პროექტები, როგორც კონფერენციაზე ითქვა, საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არა მარტო ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე, არამედ მის პოლიტიკურ სტაბილურობაზე, საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

ცალკე თემა გახლდათ გაზსაცავების საკითხი. ყველა ჩვენს მეზობელს – რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს – ასეთი საცავები აქვს. იგი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ატრიბუტია.

პროექტით გათვალისწინებული მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრას. ქვეყანას საშუალება ექნება, ზაფხულში დაგროვილი გაზი ზამთარში გამოიყენოს. ამ მიმართებით მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს.

ენერგეტიკული დერეფნის ამ ორი გიგანტური ობიექტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს სათბობ - ენერგეტიკული სექტორის შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

კონფერენციაზე, რომელსაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევიც ესწრებოდა, საქართველოს მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება იგრძნობოდა. პრეზიდენტი ალიევი საქართველოს დელეგაციას საგანგებოდ შეხვდა. იგი ხვალ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ეწვევა, სადაც ჩვენი ქვეყნებისათვის ორმხრივ სასარგებლო და მნიშვნელოვან ბევრ შეთანხმებას მოეწერება ხელი.

**შოთა მაჭარაშვილი.**

◉ კვირის თვალსაწიერი

# კარუსელი დიდებისათვის

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, ყოველთვის საგანგებოდ ესმებოდა ხაზი, კარგად ერკვევა არმიის საკითხებშიო.

**ასეთი იყო ხელისუფლების პოზიცია თავისი მოხელეების მიმართ და ასე იცნობდა მათ საზოგადოება. ამრიგად, „კატაკლიზმებს“ თითქოს არავინ ელოდა. მაგრამ, მოხდა კი (არსებითი, თვისებრივი) და ახლა გამოწვლილვით განსჯაა საჭირო, თუ რატომ მოხდა, რაც მოხდა.**

ალბათ, ყველაზე რელიეფურად და რეალისტურად, მაგალითად, ირაკლი ოქრუაშვილის ქვეყნის მთავარ პოლიციელად გადმოყვანა პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა შეაფასა: შინაგან საქმეთა სამინისტროში საჭირო იყო „უფრო მგელი და ჯმუხი პიროვნების“ დანიშვნა, ვიდრე გია ბარამიძე იყოო.

ი. ოქრუაშვილი ჯერ არ იყო მისული შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ განაცხადა, მინისტრის მოადგილეებიდან მხოლოდ ირაკლი კლდიაშვილი დარჩება ადგილზე, რაც შეეხება მთლიანად უწყებას, რეფორმის საფუძველზე 15 ათასი კაცი განთავისუფლდება, რათა პოლიცია ქმედითუნარიანი გახდესო.

უდავოა, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მისვლით უფრო გამკაცრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა სტრუქტურების კონტროლი. ეს თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ მისი წასვლით ერთგვარად შერბილდება ატმოსფერო პროკურატურაში.

ეს „დათბობა“ ჯერ ერთი, ობიექტური ფაქტორების გამო მოხდება. დიდი ხანია ლაპარაკია, რომ კორუფციასთან ბრძოლა არ ნიშნავს ადამიანის უფლებათა დარღვევას (სხვათა შორის, ეს ხმა ევროპული სტრუქტურებიდანაც ისმის), რომ პროკურატურა, პირდაპირ საფრთხობელად იქცა. მეორეც, თვით ზურაბ ადეიშვილის ხასიათიდან გამომდინარე. თუმცა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა იგი ლამის ვეფხვად წარმოგვიდგინა, საგანგებოდ თქვა, გარეგნობამ არ მოგატყუოთ, ძალიან მკაცრიაო, და მას მხარი პარლამენტარმა ელენე თევდორაძემაც აუბა, ოქრუაშვილისა არ მეშინოდა, ადეიშვილის კი მეშინიაო, მაგრამ ახალი გენერალური პროკურორის კაციჭამიობა ნაკლებად დასაჯერებელია.

როგორც ამბობენ, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობა გია ბარამიძის ოცნება იყო. მართალია იგი ამ უწყების სამოქალაქო მინისტრი იქნება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ იგი თავდაცვის სამინისტროში სამეურნეო ფუნქციების გარდა, თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებსაც გადაწყვეტს, მისი იქ დანიშვნა იმაზეა გათვლილი, რომ ორივე სფეროს გაძღოლას შეძლებსო.

გელა ბეჟუაშვილმა წინ მძლავრი ნახტომი გააკეთა. მისი უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშვნა უდავოდ გააძლიერებს ამ ორგანოს – სათანადოდ ერკვევა ძალოვან სტრუქტურებში, ახალ თანამდებობაზე ამ სტრუქტურების რეფორმირებას გაუწევს კოორდინაციას.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, იგი მხოლოდ უშიშროების მინისტრად კი არა, ვიცე-პრემიერადაც დაინიშნა, მინისტრთა საბჭოში ძალოვანთა გაძღოლა დაევალება. როგორ გაართმევს თავს ახალ მოვალეობებს, დრო გვიჩვენებს, იქნებ ახალ ამპლუაში უფრო გამოიკვეთოს მისი შესაძლებლობები.

10 ივნისს პარლამენტის რიგგარეშე სხდომამ, 162 ხმით 6-ის წინააღმდეგ, ნდობა გამოუცხადა მთავრობის შეცვლილ შემადგენლობას.

ამრიგად, ნდობა გამოუცხადეს ეკონომიკის ახალ მინისტრს კახა ბენდუქიძესაც, რომლის ამ პოსტზე დანიშვნამაც ცხარე დებატები გამოიწვია.

ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ მისი დანიშვნა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ურთიერთშეთანხმებამ განაპირობა. მოხდაო ინტერესთა შეწონასწორება: ერთი მხრივ, რუსეთი ეტაპობრივად თმობს თავის აგრესიულ პოლიტიკას, რითაც საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალებას აძლევს, ხოლო მეორე მხრივ, ხდება რუსეთის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება საქართველოსთან მიმართებაში.

თავად ბატონი კახა აცხადებს, საქართველოში ეკონომიკის ასაღორძინებლად დავბრუნდი, არ ვიქნები არც პრორუსი, არც პროჩინელი ან პროევროპელი, პროქართველი ვიქნები, მე ეკონომიკას ბორკილებისგან გავათავისუფლებო. 4-5 ობიექტის გარდა, ყველაფრის გაყიდვას აპირებს, მათ შორის, ფოთის და ბათუმის ნავსადგურებისაც (ოღონდ არა ნავმისადგომების, მიწისა და აკვატორიის), მონოპოლია არც ერთ ქვეყანას არ ექნება, მით უფრო – რუსეთს. ფიქრობს, ქართული ბიზნესი კონტრაბანდიდან უნდა დაიცვას და არა უცხოური კაპიტალისგან („რატომ უნდა დავიცვა ქართველი ბიზნესმენი, თუ ის, მაგალითად, ვერ კერავს იაფ და ხარისხიან ფეხსაცმელს და ამაში მას სხვა სჯობს?“).

ეს კაცი, ბოლოს და ბოლოს, სულ 3 წელს ითხოვს. შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო საჭირო აღარ იქნება, ისე საათივით აეწყობა ყველაფერიო. ბიბლიისა არ იყოს, „იმედი ვიქონიოთ და ველოდოთ“...

საკუთარი განცხადებით თანამდებობა დატოვა გამოცდილმა, ფრთხილმა, კორექტულმა და განათლებულმა იურისტმა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ. ოფიციალურ მიზეზად იგი გერმანიიდან მიღებულ შრომით შეთავაზებას ასახელებს, მოარული ხმებით კი მიზეზებს წინა ხელისუფლების დროს ხელოვნურად გაჭიანურებულ და დაუსრულებელ საქმეებში ეძებს. როგორიც არ უნდა იყოს გადადგომის ჭეშმარიტი საფუძველი, გულდასაწყვეტია, რომ წავიდა წესიერი და საზოგადოებაში დაფასებული კაცი.

ერთ კვირაში აჭარაში უზენაესი საბჭოს არჩევნები გაიმართება. მისთვის მზადება სახელისუფლებო ბლოკისთვის ერთგვარი სასინჯი ქვა აღმოჩნდა. საარჩევნო პოლიტიკური გაერთიანება „ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები“ (მათ ვერ შეძლეს რეგისტრაციაში გავლა სახელწოდებით „ბერძენიშვილი, ზოიძე – ჩვენი აჭარა“) დაუფარავად აცხადებს, სახელისუფლებო გაერთიანება „სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარა“ (იგი სახელშეცვლილი „ჩვენი აჭარაა“) 20 ივნისის არჩევნების სერიოზული გაყალბებისთვის მზადებააო. „ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები“ საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებენ: 30-ადგილიან აჭარის უზენაეს საბჭოში პროპორციული წესით 6 მანდატს მივიღებთ, მაჟორიტარულ არჩევნებში კი – 4-5 ადგილსო.

ეს წინასწარმეტყველება „სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარის“ ირონიას იწვევს.

ჰოდა, ათიოდ დღეში, როცა ყველაფერი გაირკვევა, შეიძლება ახალი სკანდალი აგორდეს, არიქა, გააყალბესო და, ბუნებრივია, სახელისუფლო ბლოკის ყოფილი წევრი რესპუბლიკური პარტია მხოლოდ საყვედურებსაც აღარ დასჯერდეს.

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ ინფორმაცია

### ვითარება უკიდურესად დაიძაბა

**უკიდურესად დაიძაბა ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ქართველი და ოსი ეროვნების მოსახლეობა პანიკაშია. აღნიშნული ვითარება გვიან ღამით, ჩრდილოეთ ოსეთიდან თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოსულმა სამხედრო კოლონამ გამოიწვია. დაახლოებით 150 სამხედრო-სატვირთო ავტომანქანა ცხინვალში ღამის პირველ საათზე შევიდა.**

**აღნიშნული ავტომანქანებით დე-ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჯარისკაცების პირადი შემადგენლობის გარდა, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი შეიტანა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ავტომანქანების გარდა, თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკაც შევიდა.**

**სამხედრო კოლონა ცხინვალში როკის გვირაბიდან, ქართული სოფლების გვერდის ავლით, ე.წ. ძარის გზით შევიდა. აღნიშნული გზა 10 წლის წინ გამოვიდა მწყობრიდან და დე-ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლებამ წელიწადნახევრის წინ აღადგინა.**

**ამ დროისათვის არსებული ინფორმაციით, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები, პირადი შემადგენლობა და მძიმე ტექნიკა ცხინვალის სამხედრო ბაზებსა და რუსულ ბატალიონებში განთავსდა.**

### ფიცი გვწამს, მაგრამ...

**სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება და კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდალი კატეგორიულად უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციიდან სამხედრო ტექნიკის და ჯარისკაცების შეყვანის შესახებ.**

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის სვიატოსლავ ნაბძოროვის განცხადებით, „კონფლიქტის ზონაში რუსეთის ტერიტორიიდან დამატებითი სამხედრო ძალები არ შემოსულა, რაშიც ქართული მხარის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მათივე მოთხოვნით საღამოს 22, 24 და 02.30 საათზე განხორციელებული რეიდების შემდეგაც დარწმუნდნენ“.**

**კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის ქვედანაყოფების შესვლა ასევე არ დაუდასტურა „ინტერ-პრესს“ სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იბრაგიმ გასიევმა.**

### „ვერუ, ვერუ დარაგოი, ნო...“

**რუსული მხარე სამხრეთ ოსეთში რუსული ტექნიკის შეყვანასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს სასტუმრო “მარიოტში“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განუცხადა.**

**მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერანაირი განმარტებები ვერ მისცა. რუსული მხარე ყველაფერს მალავს და ცდილობს არ აღიაროს ის გადაადგილებები, – რაც მათ განახორციელეს“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.**

**მისივე თქმით, საქართველომ უკვე მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას, ამერიკის ადმინისტრაციას და ეუთოს, რათა მათ დეტალურად შეისწავლონ სიტუაცია.**

**ინტერ-პრესი.**

მამული

# სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ...

## ცხრუკვეთი – აკადემიკოსებისა და პრეზიდენტის მშობლიური სოფელი

**ცხრუკვეთი** ჭიათურის რაიონის პატარა სოფელია და მრავალი გვარის წარმომადგენლებითაა დასახლებული. მათში გამოირჩევიან წერეთლები, ტატიშვილები, ბიწაძეები... წერეთლებსა და ტატიშვილებს დიდი ხნის ნათესაური კავშირები აქვთ. ისინი წამოსულან ქართლიდან და დასახლებულან ცხრუკვეთში, ნაწილი წერეთლებისა კი – სოფელ სხვიტორში. ოცი წლის წინათაც გვინდოდა ამ სოფელზე ფოტორეპორტაჟის გაკეთება არა იმიტომ, რომ სოფელი გამოირჩევა რაიმე ისტორიული ძეგლებით, არამედ იმიტომ, რომ ამ სოფელში იშვა რამდენიმე ცნობილი პიროვნება. მარტო დიდი მიხაკო წერეთელი რად ღირს – ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, თბილისისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, რომელიც საბჭოთა წყობილებას გაექცა და საზღვარგარეთ აღესრულა, ან თუნდაც გიორგი ვასილის ძე წერეთელი გავიხსენოთ – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. „ვეფხისტყაოსნის" კრიტიკული ტექსტის დადგენაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ლინგვისტიკაში. დღეს მის სახელს ატარებს თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. მისი და – თინათინ (თიკო) წერეთელი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სისხლის სამართლის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელია. ძმები – ალექსანდრე (ალიოშა) და ნიკოლოზ (ნიკუშა) წერეთლები ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. ალიოშა წერეთელი დიდი ხნით იყო გადასახლებული კომუნისტების დროს. დაბრუნდა მხცოვანი კაცი და განაგრძო თავის საყვარელ უნივერსიტეტში მოღვაწეობა ისტორიის დარგში. ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, – იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პროფესორი. ნიკოლოზ (ნიკუშა, მიხეილ სააკაშვილის დიდი ბაბუა) იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში.

ცხრუკვეთელი იყო ანდრია ბიწაძე – მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ნოვოსიბირსკის მათემატიკურ სკოლას, რომლის საქმიანობაც მისი გარდაცვალების შემდეგ განაგრძო აკადემიკოსმა ილია ვეკუამ. პროფესორი შალვა ბიწაძე – უნივერსიტეტის ლექტორი – საზოგადო მოღვაწე... და სხვა მრავალი პიროვნება....

დღეს კი უფრო გაითქვა სახელი სოფელმა ცხრუკვეთმა. იგი ხომ ცხოვრების ნაწილია ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა, რომელმაც თავისი ბავშვობა აქ გაატარა და მისი დიდი ბაბუა ნიკუშა, რომ ცოცხალი იყოს, ცხადია, ძალზე გაახარებდა თავისი ნაგრამის ასეთი წარმატებები. დიდი ბებია კი აბაშიძის ქალი იყო (მწერალ გრიგოლ აბაშიძის და).

ამჟამად სოფელი ცხრუკვეთი თითქმის დაცარიელებულია. ზაფხულობით თუ ამოდიან აქ დასასვენებლად. ერთ-ერთი ოსიკო წერეთელია, რომელიც ზამთარ-ზაფხულ სოფელშია და უკვე 88 წელს გადააბიჯა, უვლის ორ მუზეუმს. ალიოშა და ნიკუშა წერეთლების სახლს, სადაც ერთი ოთახი დაუთმია დღევანდელი პრეზიდენტისთვის, დგას ორი ნიკელის საწოლი, შუაში ფოტოსტენდია დიდი ბაბუის ნიკუშას მოღვაწეობის ამსახველი ფოტოებით. მეორე სახლი კი გახლავთ აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი მრავალი საინტერესო ექსპონატებითა და ფოტოებით.

მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე დააპირა სოფელში ჩასვლა, მაგრამ უამინდობამ ხელი შეუშალა. სოფლის მცხოვრებნი კი ყოველდღე ელოდებიან მის ჩასვლას, თუკი გაიგონებენ შვეულფრენის ხმას, მთელი სოფელი მიემართება წერეთლების უბნისაკენ. ივნისის თვეში საშუალო სკოლას 100 წელი უსრულდება და მისმა უცვლელმა დირექტორმა ბატონმა რეზო ბიწაძემ ჩვენც დაგვპატიჟა და გვითხრა, – ალბათ, ახლა მაინც გვეწვევა პრეზიდენტიო (რეზო ბიწაძის ვაჟი გახლავთ ბადრი ბიწაძე, რძალი კი – პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე). ჩვენც სიამოვნებით შევუერთდებით ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და აღვბეჭდავთ ფირზე.

**ბონდო დვალიშვილისა და ბონდო დადვაძის ფოტორეპორტაჟი.**
**(სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის").**



სოფელ ცხრუკვეთის პანორამა.



პრეზიდენტის დიდი ბაბუის ძმისწული ოსიკო წერეთელი, რომელიც პატრონობს ორ მუზეუმს.



პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ოთახი დიდი ბაბუის ნიკუშა წერეთლის სახლ-მუზეუმში.



საშუალო სკოლის დირექტორი, დამსახურებული პედაგოგი რეზო ბიწაძე მოსწავლეებთან.



საშუალო სკოლის მოსწავლეები.



სვერას ციხე-სიმაგრე, XII-XIII საუკუნე.



გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი. წინა პლანზე გრ. აბაშიძე და ილია ტაბაღუა. გადაღებულია 40 წლის წინათ.

აქტუალური თემა

# ურთიერთობა საპარლამენტო დონეზე არ გამწვავებულა

**აჭარაში 20 ივნისის არჩევნებში 10-მდე პარტია მონაწილეობს, მაგრამ „ნაციონალებსა“ და „რესპუბლიკელებს“ გარდა, ამ არჩევნებში სხვა სუბიექტების ჩართვა, შეიძლება ითქვას, ფორმალურია. 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი მათ რომ არა აქვთ, ეს ცხადზე ცხადია. დღეს უკვე არავის არ ეპარება ეჭვი, რომ აჭარის უზენაეს საბჭოს, ძირითადად, ორი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ და „რესპუბლიკური პარტია“ დააკომპლექტებს.**

**აჭარის შესახებ კონსტიტუციურ კანონს საქართველოს პარლამენტი სავარაუდოდ 22-23 ივნისს მიიღებს, ამდენად, 20 ივნისს არჩევნების ჩატარებას ოპოზიცია გაუგებრად მიიჩნევს.**

**ზიქრია ჩიხრაძე, „მემარჯვენე ოპოზიცია – „მრეწველები“, ახლები“:**

**„აჭარაში არჩევნების ჩატარებას ხელისუფლება დღეს იმიტომ ჩქარობს, რომ პოსტრევოლუციური ეიფორია გამოიყენოს. არადა, საჩქარო ნამდვილად არაფერი იყო. სჯობდა, ჯერ აჭარის სტატუსი განგვესაზღვრა, გაგვერკვია, ეს რეგიონი როგორ უნდა მოეწყოს და არჩევნები შემდეგ ჩატარებულიყო. ამის გაკეთება შემოდგომაზე შეიძლებოდა“.**

ასე ფიქრობს ოპოზიცია. თუმცა, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ „ნაციონალები“ შემოდგომისთვის აჭარაში გარანტირებულ ხმათა უმრავლესობას ვერ მოიპოვებდნენ. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მხარს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პარტიას დაუჭერს. ასეთ პროგნოზს დღეს არც ერთი ექსპერტი არ უარყოფს, რაც კანონზომიერია, პოსტრევოლუციური პერიოდის გადატრიალების შემდეგ ხალხი ყოველთვის ხელისუფლებას ემხრობა, მით უმეტეს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აჭარის მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა აქვს.

მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში „ნაციონალები“ და „რესპუბლიკელები“ ერთ ბლოკად მონაწილეობდნენ, მაგრამ აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში ჩაბმა მათ ცალ-ცალკე ისურვეს. ძნელი სათქმელია, „განცალკევების“ ინიციატორი რომელი მხარე იყო. „რესპუბლიკელები“ „ნაციონალებს“ აბრალებენ, არ დაგვიძახეს, ძალით ხომ არ მივიდოდითო. „ნაციონალები“ კი „რესპუბლიკელებს“ ბრალს ზედმეტ ამბიციურობაში დებენ. ორი მოქიშპე სუბიექტის საარჩევნო სახელწოდება ასეთია „სააკაშვილი-გამარჯვებული აჭარა“,





„ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები“. წინააღმდეგობა მათ შორის განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პარლამენტის წევრებს ეკრძალებათ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა, თუ ისინი საქართველოს დეპუტატის უფლებამოსილებას არ მოიხსნიან. საბჭოს ამ გადაწყვეტილებამ „რესპუბლიკელები“, საქართველოს პარლამენტის წევრები დავით ბერძენიშვილი და თამაზ დიასამიძე, შეიძლება თქვას, კედელთან მიიმწყვდია. მათ უმალ გააპროტესტეს, იურისპრუდენციაში არ არსებობს პრეცედენტი, რომ აღმასრულებელმა ორგანომ, ანუ დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ, კანონი მიიღოსო. მათი პროტესტის მიუხედავად, მიღებული კანონი კანონად დარჩა. ბერძენიშვილისა და დიასამიძისგან განსხვავებით, „ნაციონალ“ კობა ხაბაზს ერთი წუთითაც არ უყოყმანია, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატობა ისე დათმო. მის ამ ნაბიჯს „რესპუბლიკელები“ იმით ხსნიან, ხაბაზს არჩევნებში არა მხოლოდ გამარჯვების გარანტია აქვს, გადაწყვეტილია აჭარის ხელისუფლების პირველ ან მეორე პირად მოგვევლინოსო.

„რესპუბლიკელები“ ჩივიან, რომ აჭარაში არსებული თორმეტივე საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე შეიცვალა. არადა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უნდობლობა გამოუცხადა იმ საარჩევნო კომისიებს, რომელიც არჩევნებს აბაშიძის რეჟიმის პირობებში ატარებდა. დაპირისპირება „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიამ კიდევ უფრო გაამძაფრა. „რესპუბლიკელების“ თქმით, „ნაციონალების“ სიაში „აღორძინების“ წევრები, ანუ, ასლან აბაშიძის მხარდამჭერები მრავლად არიან. „ნაციონალები“ კი აცხადებენ, რომ ეს ის ხალხია, ვინც ასლან აბაშიძეს განუდგა და აჭარის ხავერდოვან რევოლუციაში დიდი როლი შეასრულა. „აჭარა აბაშიძის ნარჩენების გარეშე“! – ასეთია რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო ლოზუნგი. გამწვავებული დაპირისპირება გრძელდება. რესპუბლიკელები სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებიან. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ აჭარაში მათ მხარს ყოველთვის მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერდა. ასეთია წინასაარჩევნო სიტუაცია აჭარაში. როგორც აღვნიშნეთ, არჩევნებში ათამდე პარტია მონაწილეობს, მაგრამ მესამე ან მეოთხე ძალის წარმატება მოსალოდნელი არ არის, უფრო მეტიც, სრულიად გამორიცხულია.

აქვე უნდა ითქვას, რომ პარლამენტში „რესპუბლიკელებისა“ და „ნაციონალების“ ალიანსს საფრთხე არ ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. აჭარაში ამ ორ პარტიას შორის მწვავე დაპირისპირების მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანოში „რესპუბლიკელები“ სახელისუფლებო პარტიას არ ემიჯნებიან და საპარლამენტო უმრავლესობის წევრად ყოფნას კვლავ განაგრძობენ, რაც უთუოდ მისასალმებელია.

**მზია გელენავა.**

ჩვენებურები

# ნუ დავალთ ტკივილამდე...

**ოსი ქალბატონი, უკვე ხანდაზმული ნინა გაგლოევა ორთაჭალაში, ერთ პატარა სახლში ცხოვრობს. სამი შვილი აქ გაზარდა და მეუღლეც აქედან დიდი პატივით გაასვენა. ძველ ეზოში ყველა ერთმანეთს იცნობს. ქართველებთან ერთად აქ სომეხთა, ოსთა და აისორთა ოჯახებიც ცხოვრობენ. ასე რომ, ეზო ინტერნაციონალურია. ყველამ იცის, ვინ რითი სუნთქავს, ვინ რას საქმიანობს...**

მისი ვაჟები ეზოდან დიდი ხანია რაც სხვა უბანში გადასახლდნენ. ის თავის ქალიშვილთან ერთად დარჩა ამ სახლში, რომელიც მისი ბავშვობის და ყმაწვილქალობის მომსწრეა.

ჩვენმა დრომ ბევრი ცვლილებები მოიტანა. კარგთან ერთად ზოგჯერ უცხო და მიუღებელი, ხშირად უკადრებელიც გაკრთება ხოლმე ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგრამ ძალზე გულდასაწყვეტია, რომ ასეთ რამეს ხშირად თვით სახელმწიფოს მაღალ ეშელონებშიც მოისმენს ყური (ვგულისხმობ, პარლამენტში ახლახან მომხდარ ფაქტს, როდესაც ტრიბუნიდან გაისმა ყოვლად უხერხული კითხვა პარლამენტართა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის შესახებ)...

საზოგადოების სრული აღშფოთება გამოიწვია ამ ფაქტმა. საქართველო ინტერნაციონალური ქვეყანაა და არ არის იშვიათი შერეული ქორწინებები. ასე ყოფილა ოდითგან. მაგრამ იქნებ ეს ქართული ხასიათის ყოვლად მავნე შტრიხიცაა, როცა „ქართველ კაცებს ისე უჭირთ ერთმანეთის გვერდიგვერდ დგომა, როგორც ტყეში ტანძლიერ მუხებს“ (კ. გამსახურდია).

დავფიქრდეთ, აბო თბილელი განა ასე ეწამებოდა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, ვინმეს რომ მისთვის ხელი ეკრა – შენ არაბი ხარ და აქ რა გესაქმებაო?

ნატო ვაჩნაძის ბებია პოლონელი ყოფილა, მაგრამ ის დიდი ქართველი მსახიობი იყო...

გავიხსენოთ „პირიქითა“ ამბებიც.

პეტრე ბაგრატიონი ეროვნებით ქართველი, მაგრამ დიდი რუსი გენერალი გახლდათ... არც ჩვენი თანამედროვე, მალხაზ შალიკაშვილია წარმოშობით ოკეანისგაღმელი...

ახლა, ამ ეპოქაში ამაზე საუბარი ძალზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ.

ვინც ქართულ სახელმწიფოებრივ საქმეს გააკეთებს, კავკასიონის იქით და აქეთ, ყველა იმ ადამიანს გაუმარჯოს, თავისი ეროვნების მიუხედავად, – ჩემსავით ალბათ, ამას გაიფიქრებს ახლა გონიერი მკითხველი.

ქალბატონი ნინა შრომის ვეტერანია. 30 წელიწადი მსუბუქი მრეწველობის დარგში იმუშავა.

– ადრე არასდროს უგრძნობინებიათ ჩემთვის, რომ ოსი ვიყავი. მეგობრული, კეთილი განწყობა გვქონდა ადამიანებს ერთმანეთთან. მე თბილისელი ვარ და ეს მეამაყება. მიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი. მაგრამ უპირველესად, მიყვარს ჩემი ოსი ხალხი, მისი ადათი და ტრადიციები. თქვენ გაგიგიათ ნართების ეპოსი? – ეს მთელი ისტორიაა, წესჩვეულებები და ოსი ხალხის თვისებები – სინამდვილეში ჩვენ ძალიან თბილი ადამიანები ვართ, კაცთმოყვარენი და სტუმართმოყვარენი. მაგრამ რა ვუყოთ, ცუდი და კარგი ხომ ყველა ერში გამოერევა?..

ქალბატონ ნინას თვალზე ცრემლი უბრწყინავს და ჩემს კითხვაზე, რაიმე შევიწროება ხომ არ უგრძვნია ოსსა და ქართველებს შორის ბოლოს მომხდარი ამბების შემდეგ, მპასუხობს, არაო, რადგან ეს წარმოუდგენელი იყო იმ გარემოცვაში, სადაც ის ცხოვრობდა.

ჩვენი საუბრისას კარი პატარა გიორგი ქავთარაძემ შემოაღო. ნინა ბებოს შავი პური ამოუტანა. ამ პურს ოსი დიასახლისი დაჭრის, შებრაწავს, სვიას და საფუარს დაუმატებს, წყალს დაასხამს და ოსურ ლუდს გააკეთებს. მერე მეზობლებსაც არგუნებს. თანაც, ამ ეზოში განთქმულია მისი ხაჭაპური, მაგრამ ახლა უფრო იშვიათად აცხობს, რადგან ყველი ძვირია და მასაც სხვებივით მატერიალურად გაუჭირდა...

ქალბატონი ნინა ბევრს მესაუბრება თავის წინაპრებზე. ვინ მოიფიქრებდა, თუ ასე დაიძაბებოდა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის, – მითხრა, – ვინც საქმე გააფუჭა, ისევ მან უნდა გამოასწოროს და დააახლოვოს ერთმანეთთან წაკიდებული ხალხიო.

ცხინვალის კონფლიქტი ძალზე მტკივნეულია მისთვის. ბევრი არ უსაუბრია, პირდაპირ მითხრა, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ხმა მივაწვდინო ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს ოსებს, რომ მშვიდობაზე და სიცოცხლეზე კარგი ამქვეყნად არაფერია, რომ ერთად ვიზრუნოთ, რათა დროზე დალაგდეს ყველაფერი და იზეიმოს სიკეთემ და სიყვარულმა ჩვენს ნაწამებ სულებშიო...

გუშინ ქარიანი დღე იყო. მაგრამ აქ, ამ თბილისურ ეზოში, ქართლოსიანთა გვერდით, მაინც მიფიცხებოდნენ მზეს მათსავით ძველი ორთაჭალელები: ჰაოსის ძენი, აშტარონის ჩამომავლები, ცარაზონთა მემკვიდრენი...

კარგია, როცა ადამიანებში ვეძებთ სინათლეს, მათ წარმომავლობაში – ღირსებას და სიმართლეს. უამისოდ ძალიან გაგვიჭირდება, ტკივილამდე და სიცარიელემდე დავალთ...

ნინა გაგლოევა სულ მალე სამოცდაჩვიდმეტი წლისა შესრულდება. დაეჯერება ხანშიშესულს.

**ლია ჭილაძე.**

პრეზენტაცია

# ლადო ასათიანის უკვდავება

**ლიტერატურის მოყვარულები უკვე შეეჩვივნენ პირველი ქართული ელექტრონული გამომცემლობის შესანატრ საჩუქრებს ჩვენი ბიბლიოთეკებისთვის. მსმენელმა უკვე მიიღო გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის შემოქმედების ელექტრონული ვერსია.** ამ პატარა, კომპაქტურ დისკში ანუ ელექტრონული ფორმატის წიგნში (რა თქმა უნდა, კომპიუტერის დახმარებით გავეცნობით მწერალთა შემოქმედების დიდ ნაწილს, როგორც ნაბეჭდი, ასევე, ხმოვანი ფორმით, მათი ცხოვრების ამსახველი მოგონებების, დღიურების, მიმოწერების უნიკალურ ფურცლებს, მოვისმენთ ავტორის ან ცნობილი მსახიობების მიერ წაკითხულ ლექსებს, ამ ლექსებზე შექმნილ მუსიკალურ ნაწარმოებებს, თვით გამომცემელთა ძალისხმევით აკინძულ ორიგინალურ აუდიო კომპოზიციებს.

ლიტერატურა თანამედროვე „კარცერ-ლუქსისთვის“, – გამომცემლები ამ დევიზით აწვდიან მსმენელ-მკითხველებს თავიანთ დაუვიწყარ ნახელავს.

როგორც მოსალოდნელი იყო, 11 ივნისს ხალხს ვერ იტევდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული (საჯარო) ბიბლიოთეკის ცენტრალური დარბაზი. ამჯერად პირველი ელექტრონული გამომცემლობა ლადო ასათიანის უკვდავ პოეზიას გვთავაზობდა. ელექტრონული ფორმატის წიგნში, ლადოს ბაჯაღლო ლექსების გარდა, მოთავსებულია მისი უნიკალური ფუნაგორიები. აქვე იყიდებოდა ლადოს ორი კრებული და მაისური 26 წლის გენიოსი პოეტის შთამბეჭდავი ფოტოთი და ხელნაწერით დამშვენებული.

– გალაკტიონი ხომ მიუწვდომელი გენიაა, ლადოც არ არის ნაკლები. მისი ჰეროიკული, პატრიოტული ლირიკა დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ქართველებს, – მითხრა საქართველოს სახალხო არტისტმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, ლადოს ლექსების უბადლო დეკლამატორმა გურამ საღარაძემ.



ქართული საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები – მწერლები, მეცნიერები, მსახიობები, სპორტსმენები, ჟურნალისტები (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) თვალებგაბრწყინებულნი ისმენდნენ ლადოს უკვდავ ლექსებს, ეფერებოდნენ და ეალერსებოდნენ მის სულს. რა თქმა უნდა, გამორჩეული ყურადღებით უსმენდნენ ლადოს ერთადერთ ასულს, ქალბატონ მანანა ასათიანს.

ლადოს პოეზიამ კიდევ ერთხელ აგვამაღლა, გაგვწმინდა, გაგვაერთიანა, – მადლობა მის ჯიშსა და გენს, მადლობა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს, პირველ ელექტრონულ გამომცემლობას...

**სპარტაკ ქოზულია.**

ისტორია

# „ბერიას დოკუმენტი“

ზუსტად ორმოცდათერთმეტი წლის წინათ, 1953 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ლავრენტი ბერიამ რამდენიმე ფურცელზე დაწერა ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებისთვის არ იყო გამიზნული. ეს ტექსტი ისტორიაში შევიდა „ბერიას დოკუმენტის“ სახელწოდებით. იმავე თვის მიწურულში ლ. ბერია, ოფიციალური ვერსიით, დააპატიმრეს. სინამდვილეში, მას ჩაუსაფრდნენ და მოკლეს.

„ბერიას დოკუმენტიდან“ ჩანს, თუ რატომ აუმხედრდა მის ავტორს საბჭოთა კავშირის მთელი მაშინდელი ხელისუფლება. ამ ტექსტიდან თვალსაჩინოა, რაოდენ ფართო და პროგრესული, ჭეშმარიტად დემოკრატიული (ნუ დაგვაფრთხობს ეს სიტყვა) რეფორმები ჰქონდა ჩაფიქრებული დოკუმენტის ავტორს.

ორიოდე სიტყვა „ბერიას დოკუმენტის“ დაწერის წინაისტორიისა და მისი მიზნების შესახებ.

1953 წლის გაზაფხულზე აღმოსავლეთ გერმანიაში ანტისაბჭოური და ანტისოციალისტური სახალხო გამოსვლები აგორდა. ბერიამ ამ კრიზისის გადალახვის ღონისძიებები შესთავაზა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. მაგრამ „ბერიას დოკუმენტი“ შეიცავს არა მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ მთელი სოციალისტური ბანაკის რეფორმირების პროგრამას. ბერია, პირველ რიგში, თვით გერმანიის საკითხს მიუდგა უაღრესად ცივილიზებულად და ჰუმანურად. იგი წერს, რომ ცენტრალური საკითხია გერმანიის გაერთიანება. ამასთან, ერთიანი გერმანია, ბერიას ჩანაფიქრით, უნდა ყოფილიყო ნეიტრალური, დემილიტარიზებული ქვეყანა. სახალხო მღელვარება სისხლში კი არ უნდა ჩაეხშოთ, არამედ უნდა მოსპობილიყო მღელვარებისა და პროტესტების მიზეზები. ბერია პირდაპირ წერს, ჩვენ ცუდი პოლიტიკა გვაქვს აღმოსავლეთ გერმანიაში და ხალხი დასავლეთში ამიტომ გარბისო. იგი მოითხოვს კანონიერების აღდგენას, სასჯელის შემსუბუქებას, უდანაშაულოდ დასჯილთა განთავისუფლებას, საბჭოთა ჯარის იზოლირებას მოსახლეობისგან ექსცესების თავიდან ასარიდებლად.

მაგრამ ბერია არ იფარგლება პოლიტიკური მოთხოვნებით. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ იგი მოითხოვს ყველაფრის გადმონერგვას, რაც კი რამ კარგი აქვს კაპიტალისტურ ეკონომიკას. მაგრამ ხაზს უსვამს, უნდა მოისპოს ოლიგარქიის, ერთი მუჭა მილიარდერების გაჩენის საშუალებაო. მისი აზრით, უნდა შეწყვეტილიყო ნაძალადევი კოლექტივიზაცია. სოფლად ყოველგვარი კოოპერაცია უნდა ყოფილიყო ნებაყოფლობითი. უნდა შეწყვეტილიყო მცირე და საშუალო კერძო კაპიტალის გამოძევება სოფლის მეურნეობიდან და მრეწველობიდან, ანუ, კერძო კაპიტალს აძლევდა არსებობის უფლებას! მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მცირეს და საშუალოს. იგი, ვიმეორებ, დაუშვებლად მიიჩნევდა კერძო პირთა ხელში მსხვილი კაპიტალის კონცენტრირებას, ოლიგარქების გაჩენას. მცირე და საშუალო მეწარმეს ყოველმხრივ უნდა შეწყობოდა ხელი. ისინი სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო ნედლეულით, სათბობით, ელექტროენერგიით, კრედიტებით... უნდა შემცირებულიყო გადასახადები და ხუთწლიანი გეგმა, განსაკუთრებით, მძიმე მრეწველობაში. უნდა გაზრდილიყო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ძალიან მნიშვნელოვნად უნდა შეეკვეცათ ხარჯები სახელმწიფო აპარატზე, ანუ ჩინოვნიკებზე...

ლ. ბერია, რაგინდ საკვირველიც უნდა იყოს, დემოკრატიისთვისაც იბრძოდა. „დოკუმენტში“



ვკითხულობთ: უნდა შეწყდეს შიშველი ადმინისტრირებაო. გარდა ამისა, ვხვდებით მსჯელობას სინდისის თავისუფლებაზე. ეკლესიას, ბერიას ჩანაფიქრით, უნდა დაბრუნებოდა მისი მიწები, უნდა მისცემოდა სუბსიდიები, უნდა შეწყვეტილიყო მორწმუნეებისა და მათი ორგანიზაციების დევნა... მაგრამ ყველაზე დაუჯერებელი არის ის, რომ ბერია წერს, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ ოპოზიციურ მიმდინარეობასთანო. დაპირისპირება მათთან მხოლოდ იდეოლოგიური დისკუსიის ჩარჩოებში უნდა დარჩესო. და, ამ მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინტელიგენციასთან თანამშრომლობას, პირველ რიგში, — ახალგაზრდა ინტელიგენციასთან.

ბერია რუსიფიკაციის წინააღმდეგაც იბრძოდა. ცხადია, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ყველგან...

ალბათ, აზრი არ აქვს „ბერიას დოკუმენტის“ თავიდან ბოლომდე მოყოლას. სჯობს, მკითხველს საშუალება მივცეთ, თავად წაიკითხოს ეს ტექსტი. ამიტომ ერთსღა ვიტყვი: მე არაერთი წელი შევწირე საბჭოთა ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლას. ამ შრომამ დამარწმუნა, რომ უკიდურესად უარყოფითი აზრი ლავრენტი ბერიაზე (აგრეთვე, იოსებ სტალინზეც), რომელსაც გააფთრებით ამკვიდრებენ გარკვეული ძალები საქართველოშიც, მთელს მსოფლიოშიც, არასწორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძალები აღწევენ თავიანთ მიზანს, არწმუნებენ ხალხის, განსაკუთრებით ინტელიგენციის, საკმაოდ დიდ ნაწილს, რომ სტალინი და ბერია იყვნენ მონსტრები, ჯოჯოხეთის მოციქულები, XX საუკუნის ყველაზე დიდი დამნაშავენი.

თუ რაოდენ ფესვგადგმულია ჩვენში ეს მოსაზრებანი, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დავინახე ამ ბოლო ხანს, როცა გამოქვეყნდა ჩემი წიგნი „ჩვენი ტრაგედიის ფესვები. ოციანსამოცდაათიანი წლების ქრონიკა“, რომელიც ოქტომბრის რევოლუციიდან „პერესტროიკის“ დაწყებამდე (ნოე ჟორდანიას ეპოქიდან ბრეჟნევის ეპოქის მიწურულამდე) ისტორიულ მონაკვეთში განვითარებულ პროცესებს შეეხება. ცხადია, ჩემს წიგნში ი. სტალინისა და ლ. ბერიას მოღვაწეობის შეფასებასაც სათანადო ადგილი დაეთმო. გამოგიტყდებით, გული მატკინა ზოგიერთი მკითხველის რეაქციამ სტალინისა და ბერიას ღვაწლის ჩემს მიერ ობიექტურად, მხოლოდ უტყუარ დოკუმენტებსა და ფაქტებზე დაყრდნობით შეფასებაზე. გულსატკენია არა მხოლოდ ის ზოოლოგიური ზიზღი, რასაც „დემოკრატიულად განწყობილი“ ქართველი ინტელიგენცია ავლენს მათს მიმართ, არამედ უფრო ისაა გულსატკენიც და დასაფიქრებელიც, რომ სტალინისა და ბერიასთვის ნასროლი ლაფი რიკოშეტით მთელ საქართველოს ხვდება და ამას შესანიშნავად იყენებენ ჩვენი მტრები. გავიხსენოთ თუნდაც ვ. არძინბას დემაგოგიური განცხადებები, რომ „სტალინშჩინა“, „ბერიევშჩინა“ თურმე წმინდა ქართული ფენომენებია და, აქედან, გასაგებია, როგორ „იტანჯებოდნენ“ საბრალო აფხაზები ქართველთა ხელში.

სამწუხაროდ, ჩვენ პერმანენტულად ვაგებთ იდეოლოგიურ ომს მტრებთან, პირველყოვლისა, სეპარატისტებთან. იმისთვის, რომ ეს ვითარება გამოსწორდეს, ჯერ თვითონ ქართველებმა უნდა ვისწავლოთ თეთრის შავისგან გარჩევა. ფართო საზოგადოებრიობის მიერ „ბერიას დოკუმენტის“ გაცნობა, რომელიც ქართულად დღემდე არ გამოქვეყნებულა, ამ გზაზე გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯი იქნება.

**თემურ მირიანაშვილი.**

# გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების გასაჯანსაღებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გატარებული არასწორი პოლიტიკური ხაზის შედეგად შეიქმნა მეტად არასახარბიელო პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.

მოსახლეობის ფართო მასებში, მათ შორის, მუშებში, გლეხებსა და ინტელიგენციაში არსებობს სერიოზული უკმაყოფილება გდრ-ში გატარებული პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებების გამო. ეს ყველაზე ნათლად გამოიხატება მოსახლეობის მასობრივ გაქცევაში გდრ-დან დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე. 1951 წლის იანვრიდან 1953 წლის აპრილამდე დასავლეთ გერმანიაში გაიქცა 447 ათასი ადამიანი. მათგან მხოლოდ 1953 წლის ოთხ თვეში — 120 ათასზე მეტი. გაქცეულთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ მშრომელი ელემენტები. 1953 წელს გაქცეულთაგან დაახლოებით 19 ათასს შეადგენენ მუშები, საშუალო გლეხები, მიწის არმქონენი, ხელოსნები და პენსიონერები — დაახლოებით 9 ათასს. მოსამსახურენი და შრომითი ინტელიგენციის წარმომადგენლები — დაახლოებით 17 ათასს, დიასახლისები — 24 ათასზე მეტს. საყაზარმო პოლიციის შემადგენლობიდან დასავლეთ გერმანიაში გაიქცა 8 ათასი ადამიანი. საგულისხმოა, რომ 1953 წლის ოთხი თვის მანძილზე დასავლეთ გერმანიაში გაიქცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის 2718 წევრი და წევრობის კანდიდატი, აგრეთვე, თავისუფალ ახალგაზრდათა კავშირის 2610 წევრი.

შექმნილი ვითარების მთავარ მიზეზად უნდა ვცნოთ ის, რომ თანახმად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებისა, რომელიც მოიწონა საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისა), გაუმართლებლად იქნა აღებული აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალიზმის დაჩქარებულად მშენებლობის კურსი. საამისოდ გდრ-ში არ არსებობს აუცილებელი საშინაო და საერთაშორისო საწინდრები. გატარებულია არასწორი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი. იგულისხმება მძიმე მრეწველობის ფორსირებულად განვითარება, თანაც ნედლეულით უზრუნველყოფის გარეშე. კერძო ინიციატივის მკვეთრად შეზღუდვა, სასურსათო ბარათების ჩამორთმევა ყველა კერძო მეწარმისა და თავისუფალი პროფესიის მქონე პირისთვის და განსაკუთრებით, სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ნაჩქარევად შექმნა საამისოდ აუცილებელი ნიადაგის არქონის პირობებში. ყოველივე ამან გამოიწვია სერიოზული სირთულეები სამრეწველო და სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში, მარკის მკვეთრი დავარდნა, მრავალი წვრილი მესაკუთრის და ხელოსნის გაღატაკება და ა. შ. შედეგად მივიღეთ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მტრულად განწყობა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სადღეისოდ მიწის 500 ათას ჰექტარზე მეტი მიტოვებულია. შრომისმოყვარე გერმანელი გლეხები თავს არიდებენ მიწაზე შრომას, გარბიან დასავლეთში.

გერმანელი კომუნისტების მიერ გატარებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა არ პასუხობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაძლიერების ამოცანებს. კერძოდ, დაშვებულია სერიოზული შეცდომები სასულიერო პირთა მიმართ, რაც გამოიხატა ფართო მასებზე ეკლესიის გავლენის შეუფასებლობაში, უხეშ ადმინისტრირებასა და რეპრესიებში.

სერიოზულ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, ინტელიგენციასთან პოლიტიკური მუშაობის საჭიროების არდაფასება. ამით აიხსნება ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მერყეობა, მათი არამდგრადობა და მტრული დამოკიდებულებაც კი არსებული წყობისადმი.

ყოველივე ეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია:

1. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კურსი, მოწონებული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) პოლიტბიუროს მიერ 1952 წლის 8 ივლისს, ცნობილ იქნას არასწორად.

2. გდრ-ში არსებული ვითარების გასაჯანსაღებლად, ჩვენი პოზიციების გასამყარებლად, თვით გერმანიაში და გერმანიის გარშემო საერთაშორისო თვალსაზრისით, აგრეთვე, ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე, დამოუკიდებელი გერმანიის შესაქმნელად მივცეთ გერმანელ კომუნისტებს და გდრ-ის ხელმძღვანელობას შემდეგი რეკომენდაციები:

ა) შეწყვიტონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელოვნურად დამკვიდრება, რადგან ამან ვერ გაამართლა პრაქტიკაში და გამოიწვია უკმაყოფილება გლეხთა შორის.

საგანგებოდ შემოწმდეს ყველა არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და დაიშალოს ყველა, რომელიც შექმნილია არანებაყოფლობით საფუძველზე, აგრეთვე ყველა, რომელიც აღმოჩნდა არასიცოცხლისუნარიანი. მხედველობაში ვიქონიოთ, რომ გდრ-ის სადღეისო ვითარებიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი უმარტივესი ფორმა გლეხთა საწარმოო კოოპერირებისა, როგორიცაა ამხანაგობა მიწის საერთო ძალებით დასამუშავებლად, წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების გარეშე. ამგვარი ამხანაგობები, თუ მათ სათანადო დახმარებას გავუწევთ, შეიძლება მიმზიდველი გახდეს გლეხებისათვის;

ბ) გავაძლიეროთ არსებული და შეძლებისდაგვარად შევქმნათ ახალი მანქანათგამქირავებელი სადგურები, როგორც სოფელზე ზემოქმედებისა და მშრომელი გლეხობისთვის დახმარების მთავარი ბერკეტი.

მანქანათგამქირავებელი სადგურები მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობების დამხმარე გახდა; ისინი იჯარის საფუძველზე უნდა დაეხმარონ, აგრეთვე, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებსაც;

გ) უარი ვთქვათ საშუალო და წვრილი კერძო კაპიტალის გამოძევებაზე როგორც ნაადრევ ღონისძიებაზე. რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრების გამოსაცოცხლებლად მიზანშეწონილად იქნას ცნობილი კერძო კაპიტალის ფართოდ მოზიდვა წვრილი და კუსტარული წარმოების სხვადასხვა სფეროში, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე, ვაჭრობის სფეროში. ამავე დროს დაუშვებელია კაპიტალის ძალიან დიდი ოდენობით კონცენტრირება ცალკეულ პირთა ხელში.

მატერიალური რესურსების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას კერძო საწარმოებისთვის ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის მიწოდება, აგრეთვე, მათთვის კრედიტების გამოყოფა. გადაიხედოს კერძო საწარმოებიდან გადასახადების აკრეფის არსებული სისტემა, რომელიც ფაქტობრივად კლავს სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის ყოველგვარ სტიმულს. შემსუბუქდეს საგადასახადო წნეხი. აღუდგეთ კერძო მეწარმეებს, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანებს სასურსათო ბარათები;

დ) გადაიხედოს გდრ-ის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. შემცირდეს მძიმე მრეწველობის განვითარების მეტისმეტად დაძაბული ტემპი, გაიზარდოს მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოება. სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება პროდუქტზე, რათა უახლოეს ხანებში შესაძლებელი გახდეს საბარათო სისტემის გაუქმება;

ე) გატარდეს აუცილებელი ღონისძიებები ფინანსური სისტემის გასაჯანსაღებლად. შემცირდეს ადმინისტრაციული და სპეციალური ხარჯები. განმტკიცდეს მართვის კურსი.

ვ) მისაღებია ზომები კანონიერების განსამტკიცებლად და მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების დასაცავად. უარყოფილ იქნას მკაცრი სადამსჯელო ზომები. თუ ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული. გადაიხედოს რეპრესირებულ მოქალაქეთა საქმეები, რათა განთავისუფლდნენ უსაფუძვლოდ მსჯავრდადებული პირები. ამ თვალსაზრისით, არსებულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებებია შესატანი;

ზ) გერმანელ კომუნისტთა უმთავრეს ამოცანად ცნობილ იქნას პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა მოსახლეობის ყველა ფენაში. დაუნდობლად აღმოვფხვრათ შიშველი ადმინისტრირება. მივაღწიოთ იმგვარ ვითარებას, რომ მთავრობის პოლიტიკა გასაგები იყოს ხალხისთვის და მოიპოვოს მოსახლეობის მხარდაჭერა.

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 135, კვირა, 13 ივნისი, 2004 წელი.

**კონტაქტები**

# იაპონიის ელჩი კმაყოფილია

**ახლახან იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამიერკავკასიაში, მისი აღმატებულება ტოშიუკი ფუჯივარა საქართველოს ეწვია.**

**საელჩოს ბაქოს რეზიდენციიდან საქართველოში დიპლომატის საქმიანი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი მისი წინამორბედის, ხიროსე ტაცუიას მიერ წამოწყებული კეთილშობილური საქმის დაგვირგვინება გახლდათ. სწორედ ხიროსე ტაცუიას 2002 წლის სპეციალური ვიზიტის დროს დაიგეგმა მიწისძვრით დაზარალებული ერთ-ერთი სკოლის, ე. წ. „ქართული სასწავლებლის" დანგრეული ფლიგელის აღდგენა.**

ტოშიუკი ფუჯივარას მასპინძლობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია. ელჩი კმაყოფილებას ვერ მალავდა სასწავლებლის ნორჩი აღსაზრდელთა შემოქმედების და იაპონური ენის ცოდნის გამო. ისინი ერთმანეთს იაპონურად ესაუბრებოდნენ. ექვსი-შვიდი წლის ნორჩებისგან შემდგარმა მევიოლინეთა ანსამბლმა სტუმრები მოხიბლა.

„ქართული სასწავლებლის" მოსწავლეებმა ელჩს მათ მიერვე დასურათებული საკუთარი მოთხრობების კრებული „პატარა დრაკონის ამბავი" გადასცეს. საპატიო სტუმარი შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილი დარჩა და ნორჩებს წარმატებები უსურვა.

საქართველო-იაპონიის ასოციაციის პრეზიდენტმა კარლო ქველაძემ დიდი მადლობა მოახსენა სტუმარს საქართველო-იაპონიის ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრა მას. კერძოდ, საუბარი შეეხო მის მიერ უკვე დასრულებული და გამოსაცემად გამზადებული წიგნის — „საქართველო-იაპონიის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის" გამოცემას, ლიტერატურისა და კულტურის დარგის მუშაკების სემინარის ჩატარებას იაპონიაში ან საქართველოში, თემაზე: ქართული და იაპონური ლიტერატურის თარგმნა ორივე ენაზე, ქართულ-იაპონური და პირიქით, ლექსიკონების გამოცემა, იაპონური და ქართული თეატრების გასტროლების ორგანიზება, იაპონური და ქართული კინოს შედევრების და ტელეფილმების კვირეულების მოწყობა, ფოლკლორული ანსამბლების გაცვლითი კონცერტები, გამოყენებითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, კერამიკა, ხეზე ჭრა, მინანქარი...) გამოფენები და სხვ.

მიღებამ გულთბილად ჩაიარა. იმ დღეს „ქართულ სასწავლებელს" კიდევ ერთი, ფრიად საპატიო სტუმარიც ეწვია — გერმანიის წრმომადგენელი იოჰანეს ჰიუტ მაიერი, რომელიც მიწისძვრისგან ჩამონგრეული სკოლის მეორე ფლიგელის აღდგენის პროექტის ხელმძღვნელი გახლავთ.

თუ იაპონელებმა რამდენიმე საკლასო ოთახისგან შემდგარი ფლიგელი მიუმატეს მთავარ კორპუსს, გერმანელები დანგრეული ორსართულიანი შენობის ნაცვლად, იქვე, ეზოში სამსართულიან, 15 საკლასო ოთახისგან შემდგარ პატარა კორპუსს აშენებენ.

„ქართული სასწავლებლის" ამაგდარი ხელმძღვანელი ეთერ სვანიძე



საქართველოში გერმანიის დესპანის უვე შრამის პირად დამსახურებაზე და უდიდეს ძალისხმევაზე საუბრობს, რომლის წყალობითაც სასწავლებელმა მოიპოვა გრანტი და გერმანული ენის სპეცილისტის დიპლომის გაცემის სტატუსი.

1995 წელს დაარსებული სახელმწიფო-საბიუჯეტო დაწესებულება, რომელსაც საკუთარი კონცეფცია აქვს და უკვე მოახერხა თვით ყველაზე მიუკერძოებელ კრიტიკოსთა და, რაც მთავარია, ბავშვებისა და მათი მშობლების გულის მონადირება, ნამდვილად უკეთეს ხვედრს იმსახურებს, მით უფრო, რომ გაზრდილი მოთხოვნილების გამო, აღარც ეს ფართია საკმარისი, იმდენად ბევრია მსურველი სასწავლებელში მოსახვედრად...

სასწავლებელში შესანატრი ატმოსფერო სუფევს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლიურ ენას, რადგან ბავშვებს რამდენიმე უცხო ენის შესწავლა უხდებათ. ისინი უნივერსალურთან ერთად სპორტულ და მუსიკალურ განათლებასაც იღებენ და ბუნების სიყვარულსაც სწავლობენ, რადგან პრიორიტეტული დარგი სასწავლებელში სწორედ ეკოლოგიური განათლებაა. ამ მიზნით ეკოცენტრი „ძელქვა" ფუნქციონირებს, რომლის ეგიდითაც ეწყობა ეკოლოგიური ბანაკები, სემინარები და კონფერენციები ბავშვთა ნახატების გამოფენები, ექსკურსიები, იქმნება სახელმძღვანელოები და სხვა.

**ქეთი ჯაყელი.**

**სურათზე: იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (ცენტრში) ამიერკავკასიაში, მისი აღმატებულება ტოშიუკი ფუჯივარა ქართველ მეგობრებთან.**

**ინფორმაცია**

<u>კონფლიქტის ზონაში</u>

## ირაკლი ოქრუაშვილი არ გამორიცხავს

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში პოლიციის დამატებითი ძალების გადასროლას არ გამორიცხავს.**

მინისტრის განმარტებით, რეგიონში დამატებითი ძალების შეყვანა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ ცხინვალში რუსეთის მხრიდან დამატებითი ძალები იქნა შეყვანილი.

<u>„არსენალი"</u>

## აღმოჩენილია დიდძალი იარაღი

**პანკისის ხეობის სოფელ წინუბანში გუშინკახეთის სამხარეო ადმინისტრაციის და უშიშროების რეგიონული სამსახურის თანამშრომლებმა ყოფილი სკოლის შენობის ნანგრევებში დიდი ოდენობით იარაღს მიაკვლიეს.**

სამალავში აღმოჩენილია ავტომატური იარაღის მჭიდები და ტყვიები, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, ფეხოსანთა საწინააღმდეგო ნაღმები, ყუმბარმტყორცნები, ყუმბარმტყორცნის ჭურვები, სნაიპერული იარაღი.

<u>კადრები</u>

## დედაქალაქს ახალი მთავარი პოლიციელი ჰყავს

**თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს გუშინდლიდან 32 წლის ირაკლი კლდიაშვილი უხელმძღვანელებს. იგი შს ახალმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თანამშრომლებს ოფიციალურად წარუდგინა. გარდა ამისა, ირაკლი კლდიაშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსობასთან ერთად, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის მოვალეობასაც შეასრულებს.**

ახალმა შს მინისტრმა თანამშრომლებს წარუდგინა თბილისის კრიმინალური პოლიციის ახალი უფროსი პაატა ქლენტი, რომელმაც ამ პოსტზე დავით კეკუა შეცვალა. რაც შეეხება დავით კეკუას, იგი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსად დაინიშნა.

## „ინტერპოლის" ბიუროს შეფი შეიცვალა

**საქართველოში „ინტერპოლის" ეროვნულ ბიუროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.** 38 წლის გენერალ-მაიორი ლევან მაისურაძე, რომელიც აქამდე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. შს მინისტრის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ თანამშრომლებს იგი გუშინ წარუდგინა.

## გენერალურ ინსპექციას ზაზა ქაჩიბაია უხელმძღვანელებს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად ზაზა ქაჩიბაია დაინიშნა,** იგი აქამდე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მუშაობდა.

<u>ვიზიტი</u>

## რუსი დეპუტატები აფხაზეთს ეწვევიან

**14 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია „როდინას" 13-კაციანი დეპუტაცია საქართველოს ხელისუფლების განცხადებების შემდეგ აფხაზეთში შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნობა.**

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ფრაქცია „როდინას" დეპუტაცია აფხაზეთში ფრაქციის თავმჯდომარის დიმიტრი როგოზინის ხელმძღვანელობით ჩავა. დელეგაციის შემადგენლობაში იქნება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ მშვიდობიანი მიტინგის დამბრევი გენერალი იგორ როდიონოვიც.

**ინტერ-პრესი.**

**ისტორია**

# გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების გასაჯანსაღებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ



(მეხუთე გვერდიდან)

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პოლიტიკურ მუშაობას ინტელიგენციასთან, რათა მივაღწიოთ ინტელიგენციის შემობრუნებას არსებული წყობის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისკენ.

სადღეისოდ და ახლო მომავალში გერმანელი ხალხის, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის მოქალაქეების, ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს პოლიტიკური ბრძოლის ამოცანა გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღსადგენად და სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. ამავე დროს საჭიროა გდრ-ში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამოსწორება და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის როლის გაძლიერება.

შეცდომად იქნას მიჩნეული უკანასკნელ ხანს წარმოებული პროპაგანდა აღმოსავლეთ გერმანიის სოციალიზმზე გადასვლის შესახებ, რაც პარტიულ ორგანიზაციებს უბიძგებს დაუშვებლად გამარტივებული და აჩქარებული ნაბიჯებისკენ როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებში.

იმავდროულად აუცილებლად ჩაითვალოს დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ბლოკის როლის ამაღლება. ამაღლდეს აგრეთვე დემოკრატიული ეროვნული ფრონტის როლი გდრ-ის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თ) მკაცრად აღიკვეთოს შიშველი ადმინისტრირება სასულიერო პირებთან ურთიერთობაში, აღიკვეთოს ხელისუფალთა მხრივ ეკლესიის საქმეებში ჩარევის მავნე პრაქტიკა. აიკრძალოს ყველა ღონისძიება, რომელიც უშუალოდ ეხება ეკლესიისა და სასულიერო პირთა ინტერესებს: საეკლესიო საქველმოქმედო დაწესებულებათა (თავშესაფრების და ა. შ.) კონფისკაცია, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საეკლესიო ქონების ჩამორთმევა, ეკლესიისთვის დადგენილი დოტაციების ჩამორთმევა და ა. შ. აიკრძალოს ახალგაზრდული რელიგიური ორგანიზაციის „იუნგე გემაინდეს" რიგითი წევრების შევიწროება. სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ამ ახალგაზრდებთან პოლიტიკურ მუშაობაზე. მხედველობაშია მისაღები, რომ ეკლესიის მიმართ რეპრესიები მხოლოდ რელიგიურ ფანატიზმს გააძლიერებს მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში, გაზრდის მათს უკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, ეკლესიის რეაქციული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იარაღად გამოყენებულ იქნას ღრმად გააზრებული კულტურულ-განმანათლებლური მუშაობა. ანტირელიგიური პროპაგანდის მთავარ ფორმად უნდა ვაღიაროთ სამეცნიერო და პოლიტიკური ცოდნის ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში.

3. აუცილებელია საბჭოთა კავშირის მხრივ ეკონომიკური დახმარების გაწევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის. განსაკუთრებით სასურსათო მომარაგების სფეროში.

4. დაევალოთ სსრკ-ის მთავარ კომისარს გდრ-ში ამხ. სემიონოვს და საბჭოთა საოკუპაციო ჯარების სარდალს ამხ. გრეჩკოს, აღკვეთონ საბჭოთა ჯარების მიერ საოკუპაციო რეჟიმის განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებები. მათვე მიიღონ ზომები, რომ საოკუპაციო ჯარების ყოფნა რაც შეიძლება ნაკლებად ლახავდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. კერძოდ, განთავისუფლდეს საბჭოთა სამხედროების მიერ დაკავებული ყველა სასწავლო და კულტურული დაწესებულების შენობა.

5. იქიდან გამომდინარე, რომ გდრ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია არა მხოლოდ გერმანიის საკითხის, არამედ ძირითადი მსოფლიო პრობლემების მშვიდობიანად გადასაჭრელადაც. სამომავლოდ ამა თუ იმ პერიოდისთვის საერთო პოლიტიკური ხაზისა და ყოველი კონკრეტული ღონისძიების განსაზღვრისას, საჭიროა როგორც გდრ-ში, ისე მთელს გერმანიასა და მსოფლიოში რეალური ვითარების მკაცრად გათვალისწინება.

6. გავითვალისწინოთ, რომ მოცემულ ეტაპზე ცენტრალური საკითხია გერმანიის გაერთიანება დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარულ საწყისებზე. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის კომუნისტები მთელი გერმანელი ხალხის კეთილდღეობისკენ ლტოლვის მედროშენი არიან, მაგრამ მათ უნდა შეძლონ მოქნილი ტაქტიკის გამოყენება, რათა მაქსიმალურად დაქსაქსონ თავიანთ მოწინააღმდეგეთა ძალები და გამოიყენონ მოღალატე ადენაუერის ხროვის წინააღმდეგ მიმართული ყველა ოპოზიციური მიმდინარეობა. ამიტომ, რაკი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ჯერ კიდევ მხარს უჭერს მშრომელთა მასების მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოდის (თუმცა არცთუ საკმაოდ თანამიმდევრულად) ბონის შეთანხმებათა წინააღმდეგ, საჭიროა ამ პერიოდში უარი ვთქვათ ამ პარტიის მიმართ მტრულ პოზიციაზე და ვეცადოთ, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, მოვაწყოთ ერთიანი გამოსვლები გერმანიის გახლეჩის და იმპერიალისტური დაკაბალების ადენაუერული პოლიტიკის წინააღმდეგ.

**ლ. ბერია.**

# სპორტი

◉ ნონას თასი

## ცხარე ბრძოლები სარკეებიან დარბაზში

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის საჭადრაკო კლუბ „ნტნ“-ის (პრეზიდენტი ნანა ალექსანდრია) ინიციატივითა და ოლიმპიური ფონდის (პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი) დაფინანსებით (8 ათასი ლარი) წლეულს მესამედ გაიმართა „ნონას თასის“ გათამაშება სწრაფ ჭადრაკში. ფინალურ ეტაპზე გასასვლელად სხვადასხვა ასაკის 750 ქალ-ვაჟი იბრძოდა. შესარჩევი ტურნირების შემდეგ გამოვლინდა რვა-რვა უძლიერესი, რომლებიც ხუთშაბათს მოსწავლე ახალგაზრდობის სარკეებიან დარბაზში კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდებს. სანამ ისინი საათებს ჩართავდნენ, ფინალური ეტაპის მონაწილეებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს ქალბატონებმა – ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ, „ნტნ“-ის საპატიო პრეზიდენტმა, პარლამენტარმა გიგი წერეთელმა, თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა დავით ოქიტაშვილმა, თბილისის მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსმა გიორგი უდესიანმა, დიდოსტატმა დავით გურგენიძემ და სხვებმა.**



შეგახსენებთ, რომ „ნონას თასის“ წინა ორ გათამაშებაში გაიმარჯვეს – ვაჟებში ბაადურ ჯობავამ და გიორგი ყაჭეიშვილმა, ხოლო ქალებში – ნათია ჯანჯღავამ და სოფიკო გვეტაძემ. მთავარი პრიზი კი ორივეჯერ ვაჟებს ხვდათ...

წლეულს განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ფინალური ეტაპის პირველი რაუნდი. ორი თხუთმეტწუთიანი პარტიის (თითოეულ სვლაზე სამი წამის წამატებით) შემდეგ ვაჟების ოთხივე დაფაზე დამატებითი ხუთწუთიანი პარტიების გამართვა გახდა საჭირო. ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა ბაადურ ჯობავამ პირველი ხელი წააგო დავით ზარქუასთან, მაგრამ მეორეში წონასწორობა აღადგინა, ბლიცპარტიებში კი 1,5:0,5 აჯობა მეტოქეს. ზედიზედ სამი ყაიმის შემდეგ მეოთხე პარტიაში ხვიჩა სუპატაშვილმა თამაზ გელაშვილს სძლია და მეორე რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. ანალოგიური სიტუაცია იყო ზვიად იზორიას და დავით არუთინიანის შეხვედრაშიც. გაიმარჯვა იზორიამ.

თასის შარშანდელმა მფლობელმა გიორგი ყაჭეიშვილმა ხუთი პარტია ითამაშა კონსტანტინე შანავასთან. მართალია, ორი ხელი წააგო, მაგრამ სამ პარტიაში წარმატებას მიაღწია და მეორე რაუნდში იზორიას შეხვდა. აქაც ხუთჯერ მიუსხდნენ მეტოქეები მაგიდას. საბოლოო ანგარიშია 2,5:2,5, მაგრამ ბოლო ხელი ყაჭეიშვილმა თეთრებით ითამაშა და, რადგანაც 6 წუთში მხოლოდ დაზავება მოახერხა, დებულების თანახმად, გამარჯვებულად იზორია გამოცხადდა. ჯობავა-სუპატაშვილის შეხვედრაში ძირითადი პარტიების შემდეგ ანგარიში იყო 1:1. ბლიცებში ჯობავამ იმარჯვა 2:0.

ქალთა ტურნირის პირველ ტურში სოფიკო გვეტაძემ 2:0 მოუგო სოფიკო ხუხაშვილს, მაია ლომინეიშვილმა 1,5:0,5 სძლია ანა გავაშელს. ასეთივე ანგარიშით სოფიკო ტერელაძემ ნინო ხურციძე დაამარცხა. ნანა ძაგნიძისა და მირანდა მიქაძის ძირითადი პარტიები 1:1 დამთავრდა, ბლიცპარტიებში კი უფრო გამოცდილმა ძაგნიძემ იმარჯვა – 2:0. რაც შეეხება მეორე რაუნდის ორთაბრძოლებს, ძაგნიძემ და ტერელაძემ ერთნაირი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს, შესაბამისად, გვეტაძე და ლომინეიშვილი.

ასპარეზობის დასკვნით დღეს ქალთა და ვაჟთა ფინალები გაიმართა.

ჯობავამ იზორიას სძლია 1,5:0,5 და პირველ ადგილზე გავიდა. ქალთა ფინალში კი ხუთი პარტია გათამაშდა ძაგნიძესა და ტერელაძეს შორის. მეტოქეებმა თითო პარტია მოიგეს, თითოც – ყაიმით დაამთავრეს. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ძაგნიძემ იყოჩაღა და მთავარი პრიზისთვის ჯობავას დაუპირისპირდა. ამ პაექრობაში გალელმა დიდოსტატმა იმარჯვა 1,5:0,5 და ნონას თასს მეორედ დაეუფლა.

საგულისხმოა, რომ ბაადურ ჯობავასთვის ნონას თასის გათამაშებაში მონაწილეობა გენერალური რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ორიოდე დღეში დაიწყება. რაც შეეხება ქუთაისელ ნანა ძაგნიძეს, მან ჯერ ევროპის, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატშიც გამოიჩინა თავი და რვა საუკეთესოში მოხვდა, ამ დღეებში იგი ლიცეუმს დაამთავრებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აპირებს მისაღები გამოცდების ჩაბარებას. იმედია, არც იქ შეირცხვენს თავს.

ნონას თასზე მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში ზვიად იზორიამ სოფიკო ტერელაძე დაამარცხა 1,5:0,5.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათებზე: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ძაგნიძე, ბაადურ ჯობავა და ნანა ალექსანდრია; თამაშობენ – სოფიკო ტერელაძე – ნანა ძაგნიძე და ზვიად იზორია – ბაადურ ჯობავა.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**





## ციფრებით ამეტყველებული




მხოლოდ 14 ნაკრები თამაშობდა ევროპის 12-სავე ჩემპიონატში.

მხოლოდ 6 ნაკრებმა გამართა ევროპის ჩემპიონატებზე 100 და მეტი მატჩი (რუსეთი – 107, ესპანეთი – 106, ჰოლანდია – 100, ჩეხეთი – 101, საფრანგეთი – 101, დანია – 105).

მხოლოდ 4 ნაკრებმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატებზე 60 და მეტი გამარჯვება (რუსეთი – 60, ესპანეთი – 62, ჰოლანდია – 63, ჩეხეთი – 60).

მხოლოდ 4 ნაკრებმა გაიტანა ევროპის ჩემპიონატებზე 200 და მეტი ბურთი (რუსეთი – 201, ესპანეთი – 235, ჰოლანდია – 219, საფრანგეთი – 204).

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებზე ყველაზე მეტი ბურთი – 9 – გაიტანა მიშელ პლატინიმ (საფრანგეთი, 1984), 7 გოლი გაიტანა – ალან შირერმა (ინგლისი, 1996 – 5, 2000 – 2), 6 გოლი – პატრიკ კლიუვერტმა (ჰოლანდია – 1991 – 1, 2000 – 5) და ა. შ.

ყველაზე მეტი ფინალურ ტურნირში ითამაშეს ლოთარ მატეუსმა (გფრ – 1980, 1984, 1988, 2000) და პეტერ შმეიხელმა (დანია – 1988, 1992, 1996, 2000), სამ-სამ ჩემპიონატში ითამაშა 18 ფეხბურთელმა.

ფინალური ტურნირების მატჩებში მოედანზე ყველაზე მეტ ხანს დაჰყვეს ლორან ბლანმა (საფრანგეთი) – 1268 წუთი, პეტერ შმეიხელმა (დანია, 1200) და დიდიე დეშამმა (საფრანგეთი – 1149).

ფინალურ ტურნირებში ყველაზე მეტი მატჩი – 13 – გამართეს იურგენ კლინსმანმა (გფრ), პაოლო მალდინიმ (იტალია), პეტერ შმეიხელმა (დანია), დენის ბერგკამპმა (ჰოლანდია), ლორან ბლანმა (საფრანგეთი), დიდიე დეშამმა (საფრანგეთი), თომას ჰესლერმა (გერმანია).

ფინალურ ტურნირებში ჰეთ-თრიკი შეასრულეს დიტერ მიულერმა (გფრ), კლაუს ალოფსმა (გფრ), მიშელ პლატინიმ (საფრანგეთი – ორჯერ), მარკო ვან ბასტენმა (ჰოლანდია), სერჟიუ კონსეისაუმ (პორტუგალია), პატრიკ კლიუვერტმა (ჰოლანდია).

◉ ფეხბურთი

## მეზობლური

ახალი სეზონი თბილისის „დინამომ“ ბაქოს „ნეფთჩისთან“ ამხანაგური მატჩით დაიწყო. ძველ მეტოქე-მეგობართა შეხვედრაში მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ძველ გვარდიასთან ერთად თავის გამოჩენის შესაძლებლობა ახალგაზრდებსაც მისცა, რაც სავსებით ლოგიკურია – გუნდიდან რამდენიმე საკვანძო ფიგურის წასვლის შემდეგ ხომ სწორედ მათ მხრებზე უნდა გადაიაროს დამდეგი ბატალიების მთელმა სიმძიმემ.

საინტერესო დუელის შედეგია 2:2.

◉ წყალბურთი

## უდანაკარგოდ ლიდერობენ

**ხარკოვში ოთხ დღეს გრძელდებოდა 1990 წელს დაბადებულ წყალბურთელთა უკრაინის ღია პირველობის მეორე ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც (ფაქტობრივად, „ლაგუნა-ვერე“) მონაწილეობდა. ჩვენმა წყალბურთელებმა პირველ წრეში ყველა მეტოქეს სძლიეს და ასპარეზობას ერთპიროვნულად ლიდერობდნენ.**

მეორე ეტაპის პირველ მატჩში ჩვენებმა მოლდოვის გუნდს მოუგეს – 9:8, შემდეგ ლვოველები (15:5) და ხარკოვის მეორე გუნდი (13:2) დაამარცხეს, ბოლო ორთაბრძოლაში კი მოსკოვის არმიელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი (9:4).

ორი ეტაპის ჯამში ჩვენი სპორტსმენები (სანდრო კანდელაკი, გიგი მამადაშვილი, სანდრო რუსიშვილი, დავით ქლენტი, გოდერძი მამალაძე, ლუკა ალავიძე, ირაკლი მაღრაძე, ლევან ჩომახიძე, ირაკლი მოსეშვილი, ლადო გოგიბედაშვილი, ვასილ რამიშვილი, მწვრთნელი როსტომ კილოსანიძე) უდანაკარგოდ ლიდერობენ. ფინალურ ეტაპში ისინი 4 ნოემბრიდან ჩაებმებიან.

**ია გავაშელი.**

◉ რაგბი

## მწარე გაკვეთილი

**საქართველოში ტურნე სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატის მონაწილემ და „ქარრის თასის“ ამჟამინდელმა მფლობელმა „ბლუ ბულზმა“ ჩვენი ქვეყნის კლუბების ნაკრებთან მატჩით დაიწყო.**

ვაკის სტადიონზე გუშინ გამართული ეს შეხვედრა სტუმრებმა 73:15 მოიგეს.

16 ივნისს პრეტორიელები რუსთავში „ბორჯღალოსანთა“ A ნაკრებს ეთამაშებიან, დასკვნითი დუელი კი ჩვენს ეროვნულ ნაკრებთან 20 ივნისს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ექნებათ.

◉ ათლეტიზმი

## „ყველაზე ძლიერი ადამიანი“

**ერთი თვის შემდეგ, 10-11 ივლისს მოსკოვი უმასპინძლებს სუპერ-სერიის „ყველაზე ძლიერი ადამიანი“ გრან-პრის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპს, რომელიც სპორტკომპლექს „ლუჟნიკების“ ტერიტორიაზე გაიმართება.**

ეს ტურნირი რამდენიმე გრან-პრისაგან შედგება და ისინი წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოში იმართება. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ენიჭება ათლეტს, რომელიც ყველა სერიაში საუკეთესო შედეგს აჩვენებს.

შეჯიბრების დროს ათლეტებმა უნდა ასწიონ ავტომანქანა, მორები და უზარმაზარი ლოდები, თითოეულ ხელში 110-160-კილოგრამიანი ტვირთით ირბინონ, გადააბრუნონ 350-კილოგრამიანი საბურავები, და ბოლოს, გარკვეულ მანძილზე გადაათრიონ ათტონიანი სატვირთო მანქანა.

შეჯიბრებებში პლანეტის ათობით უძლიერესი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, მსგავსი ასპარეზობანი ხშირად ეწყობა სკანდინავიის ქვეყნებში.

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 135, კვირა, 13 ივნისი, 2004 წელი.

ცურვა

# „მხიარული დელფინი“ – „ლაგუნა ვერეში“



**სამ დღეს გრძელდებოდა საწყლოსნო სპორტულ კომპლექს „ლაგუნა ვერეში“ 1991 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოცურავეთა შეჯიბრება – „მხიარული დელფინი“ (მთავარი მსაჯი გივი ცქიტიშვილი). პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის საწყლოსნო სახეობათა სასპორტო სკოლის, ოლიმპიური მომზადების ცენტრის, „ლაგუნა ვერეს“, ბათუმის, გორისა და რუსთავის წარმომადგენლები, სულ – ასამდე გოგონა და ვაჟი ორ ასაკობრივ ჯგუფში (უმცროსები – 50 მეტრზე, უფროსები – 100 მეტრზე).**

გაუწყებთ პირველი ორი დღის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას: **უმცროსი ასაკი. თავისუფალი ყაიდა. გოგონები.** 1. სოფიკო დეკანოსიძე, (სკოლა), 2. მიოლი აბალაკი (გორი), 3. სოფიკო ცინცაძე (ბათუმი). **ვაჟები**: 1. ირაკლი შენგელია, 2. დავით ბარდაველიძე, 3. დავით სიხარულიძე, (სამივე – სკოლა). **ბრასი. გოგონები**. 1. გვანცა ხინჩიკაშვილი (გორი), 2. სოფიკო ცინცაძე, 3. ნინო ბასილაია (სკოლა), . **ვაჟები:** 1. ილია ნაჭყებია („ლაგუნა ვერე“). 2. დავით ჯანჯალია (სკოლა), 3. დავით სიხარულიძე.

**ზურგზე ცურვა. გოგონები.** 1. მიოლი აბალაკი, 2. სოფიკო ცინცაძე, 3. ხატია ჩიქოვანი (ცენტრი), **ვაჟები:** 1. ირაკლი შენგელია, 2. გურამ მელქაძე, 3. დავით ჯანჯალია (სამივე – სკოლა).

**ბატერფლაი. გოგონები.** 1. გვანცა ხინჩიკაშვილი, 2. სოფიკო დეკანოსიძე, 3. სოფიკო ცინცაძე. **ვაჟები.** 1. დავით სიხარულიძე, 2. ანრი ბააზოვი (გორი), 3. დავით ბარდაველიძე.

**უფროსი ასაკი. ბატერფლაი. გოგონები:** 1. ეკა კაჭახიძე (სკოლა), 2. მარიამ ტლაშაძე (გორი), 3. ანა სურმანიძე (ბათუმი). **ვაჟები:** 1. გიორგი ბუხრიკიძე (გორი), 2. გიგი მთვრალაშვილი (ორივე – სკოლა), 3. არამ კოჩარიანი.

**ზურგზე ცურვა. გოგონები.** 1. ქეთი სიხარულიძე (ცენტრი), 2. ნინო კობახიძე (სკოლა), 3. ნასტია გრივაჩი („ლაგუნა ვერე“). **ვაჟები:** 1. რევაზ სულავა („ლაგუნა ვერე“), 2. თორნიკე გაგოშვილი, 3. ბექა დეკანოსიძე (ორივე – სკოლა);

**თავისუფალი ყაიდა. გოგონები:** 1. ეკა კაჭახიძე, 2. ნასტია გრივაჩი, 3. ანა სურმანიძე. **ვაჟები:** 1. თორნიკე გაგოშვილი, 2. ბექა დეკანოსიძე, 3. რევაზ სულავა.

**ბრასი. გოგონები:** 1. ნინო კობახიძე, 2. მარიამ ტლაშაძე, 3. თამთა ხოსროშვილი (სკოლა). **ვაჟები:** 1. გიორგი ბუხრიკიძე, 2. გიგი მთვრალაშვილი, 3. თორნიკე მაისურაძე.

**ქეთი გაბინაშვილი.**

რეგიონი

# ზურაბ კოროხაშვილის ძალისხმევით



**ცნობილი სოფელი მარტყოფი სამართლიანად ამაყობს თავისი ფალავნებით: სოფელს ჰყავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ძიუდოში – ამირან ტოტიკაშვილი. მარტყოფელმა მწვრთნელმა, ზურაბ კოროხაშვილმა ამირანი და კიდევ სხვა ჩემპიონ-პრიზიორიც გამოაწრთო...**

მეშვიდე წელიწადია, ტრადიციულად, წელიწადში ერთხელ მარტყოფში ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირს მართავენ. ამ საშურ საქმეს უძღვებიან ზურაბ კოროხაშვილი და მარტყოფის ძიუდოს სპორტკლუბი „აკრიანი“ (აკრიანი მარტყოფის წინარე სახელია), რომლის პრეზიდენტიც თავად სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ კოროხაშვილია.

წლევანდელ მეშვიდე ტურნირზე გორის, თბილისის, დუშეთის, რუსთავის და გარდაბნის 150 ჭაბუკი ძიუდოისტი შეიკრიბა მარტყოფში საასპარეზოდ და ცხარე შერკინებებიც გაიმართა.

მეშვიდე ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: ალეკო ხარხელაური (დუშეთი), ვასო ზაალიშვილი (გორი), თორნიკე თათარაშვილი (დუშეთი), გიორგი შინჯიკაშვილი (მარტყოფი), ზვიად კაპანაძე (გორი), მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო), არჩილ შინჯიკაშვილი (მარტყოფი), გიგა არეშოვი (თბილისი), პაატა მერებაშვილი (გორი), კახა ჩინაშვილი, სერგო მაისურაძე (ორივე მარტყოფი). ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი გადაეცა კახა ჩინაშვილს.

მომავალში აქაურები საერთაშორისო შეჯიბრების გამართვასაც გეგმავენ და, იმედია, წარმატებითაც გაართმევენ თავს ამ საქმეს.

**ბესიკ გაბრიაძე.**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ტურნირში გამარჯვებულები „მარტყოფის ტურნირის“ ორგანიზატორ ზურაბ კოროხაშვილთან (შუაში) ერთად.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**



რჩევა

# რომ ბავშვი წყალში თავს ლაღად გრძნობდეს



**ცურვის სწავლების დაწყება სასურველია კროლით. ბავშვს ხმელეთზე აუხსენით, თუ როგორ უნდა ამოძრაოს წყალში ხელები და ფეხები – ფეხები არ უნდა მოხაროს, ფეხის წვერები წინ უნდა ჰქონდეს წაწეული, ხელები კი წისქვილის დოლაბივით უნდა ამოძრაოს.**



**მიეცით ბავშვს ფიცარი და მან თვითონ გაცუროს ფიცრის დახმარებით ზურგზე და მუცელზე.**



**ბავშვს ჩაავლეთ ხელი ხელებში, ამოუდეთ თავქვეშ ან ბეჭებქვეშ და ასე დაიჭირეთ წყალში. დაე, მან თვითონ „იცურაოს“ ზურგზე ან მუცელზე. განუმარტეთ ბავშვს, რომ უკეთესი იქნება, თუ გაახელს თვალს წყალქვეშ. თუ წყალი ქლორით არის გაზავებული, ჭუჭყიანი ან ძალზე მარილიანია, მაშინ მიეცით დამცავი სათვალე. როცა ბავშვი ხედავს წყლის ფსკერს, მას ნაკლებად ეშინია. აუზის ფსკერზე დაყარეთ სხვადასხვა ფერის სათამაშოები და უთხარით ბავშვს, რომ სცადოს მათი ამოღება წყლიდან.**

## მარტივი სავარჯიშოები:

**„ტივტივა“ – ბავშვი წყალქვეშ ორივე ხელს შემოხვევს მუხლებს და თავი მიაქვს მუხლებთან ახლოს. როცა იგი ასეთ მდგომარეობაშია, წყლის ზემოთ ამოდის ზურგი და ბავშვი ჩერდება წყლის ზედაპირზე.**

**„ვარსკვლავი“ – ბავშვი დააწვინეთ წყლის ზედაპირზე და განზე გააშლევინეთ ხელები და ფეხები (ამ ვარჯიშის შესრულება შეიძლება როგორც მუცელზე, ისე ზურგზე წოლის დროს).**

**წყლის ქვეშ დაიკავეთ რგოლი და ბავშვს უთხარით, რომ მასში გაძვრეს ისე, რომ არ გამოედოს სხეულით.**

**ზოგიერთ ექსტრემალს მიაჩნია, რომ ბავშვი უკეთ ისწავლის ცურვას, თუ მას ნავიდან ჩააგდებენ ღრმა წყალში ან წაართმევენ მაშველ რგოლს. ეს ყოვლად დაუშვებელია! ამის შედეგად ხომ შეიძლება ბავშვს მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმოექმნას კომპლექსი – წყლის შიში.**

## უმჯობესია, თუ ბავშვს წყალს ნელ-ნელა შეაჩვევთ

ბავშვთან ერთად შედით წყალმარჩხ ადგილზე და უბრალოდ, იჭყუმპალავეთ. ბავშვი უნდა შეეჩვიოს წყალში დგომას, სათამაშოების ამოღებას ფსკერიდან, პატარ-პატარა ტალღებს. თუ მას წყალი შეესხმება თვალში, ამან შესაძლოა ბავშვი შეაშინოს. ასეთ შემთხვევაში თქვენ უჩვენეთ, რომ თქვენც შეგესხათ თვალში წყალი და ეს საშიში სულაც არ არის.

შესთავაზეთ ნორჩ მოცურავეს დაბალ წყალში ფსკერზე დადგეს მუხლებით და ისე გაიაროს. ამ დროს ბავშვი ბეჭებსა და ნიკაპს ჩაყოფს წყალში, დაისველებს თავს, ეს უკვე გამარჯვებისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ასწავლეთ ბავშვს სახის, თავის ჩაყოფა წყალში. ურჩიეთ, რომ ჰაერი შეისუნთქოს პირით, ხოლო წყალში კი ამოისუნთქოს – ცხვირით. ბავშვებს ხომ ძალზე მოსწონთ წყალში ჰაერის ბუშტების გაშვება. ამის შემდეგ, ასწავლეთ მას წყალქვეშ შეიკავოს სუნთქვა ჯერ ერთი, შემდეგ 2 წამით და ა.შ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბავშვს ამ დროს არ უნდა გაუშვათ ხელი, რადგან ასე უფრო მშვიდად იგრძნობს თავს.

პირველი ეტაპი უკვე განვლილია. ახლა ბავშვს მიეცით გასაბერი სამკლავურები. გასაბერი რგოლი არაერთხელ გამხდარა ტრაგედიის მიზეზი, რადგან ბავშვი ხშირად ძვრება რგოლიდან და წყალში ეშვება თავით, კარგავს წონასწორობას და, შესაძლოა, დაიხრჩოს კიდეც. სამკლავურები კი მას ეხმარება იმაში, რომ ბეჭები მუდამ წყლის ზედაპირზე ჰქონდეს. თანაც ამ დროს ბავშვის ხელები თავისუფალია. სამკლავურებით შეიძლება ბავშვს ვასწავლოთ წყალში სუნთქვა და წყალზე გაჩერება.

ყოველდღე ცოტ-ცოტა ჰაერი გამოუშვით სამკლავურებიდან, რადგან თქვენს „მოცურავეს“ მათი იმედი სულ უფრო ნაკლებად ჰქონდეს და ეცადოს დამოუკიდებლად იცურაოს.



სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მოზრდილია ბავშვი, მით უფრო უჭირს მას დაძლიოს წყლის შიში. ასე რომ, თქვენი ბავშვი გახადეთ მოცურავე მანამ, სანამ სკოლაში შევიდოდეს.

**მომზადებულია უცხოური პრესის მასალების მიხედვით.**



◎ ყოველი მხრიდან



## მსოფლიო ნაკრები უტევს

**როგორც უკვე გაუწყეთ, მოსკოვში დაიწყო ჭადრაკში მეცხრე მსოფლიო ჩემპიონის, დიდოსტატ ტიგრან პეტროსიანის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალი. ერთმანეთს ხვდებიან მსოფლიოს ნაკრები და „პეტროსიანის ნაკრები“.**

მართალია, დიდი მოჭადრაკის გუნდს პირველი გამარჯვება მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა მოუტანა, რომელიც ჰოლანდიელ ლიუკ ვან ველს ეთამაშებოდა, მაგრამ რუსეთელმა პეტრე სვიდლერმა და ინდოელმა ვიშვანათან ანანდიმ გელფანდთან (ისრაელი) და ლპუტიანთან (სომხეთი) გამარჯვებით მსოფლიო ნაკრები წინ გაიყვანეს და ეს უპირატესობა აღარც დაუთმიათ, რადგან დანარჩენ პარტიებში „მსოფლიოელებმა“ ვალეხომ (ესპანეთი), ადამსმა (ინგლისი) და ბაკრომ (საფრანგეთი) ყაიმს მიაღწიეს აკოფიანთან (სომხეთი), ლეკოსა (უნგრეთი) და ვაგანიანთან (სომხეთი) – 3,5:2,5.

მეორე ტურში მსოფლიო ნაკრების უპირატესობა უფრო გამოიკვეთა – 4:2. ადამსმა აკოფიანი დაამარცხა, სვიდლერმა კი შავებით – ლპუტიანი. დაზავდნენ ბაკრო-ლეკო, ვალეხო-კასპაროვი, გელფანდი-ვან ველი, ვაგანიანი-ანანდი.

პირველი ორი ტურის შემდეგ საერთო ანგარიშია 7,5:4,5, მსოფლიო ნაკრების სასარგებლოდ.

## რას იზამს რბოლის ლიდერი?

**დღეს შორეულ მონრეალში ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე გაიმართება ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 55-ე მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპი – „კანადის გრან-პრი“, საიდანაც ის ერთი კვირის შემდეგ მეცხრე ეტაპად ლეგენდარულ „ძველ სააგურეზე“ გადაინაცვლებს, ინდიანაპოლისში.**

შეიძლება ითქვას, ოკეანეგადაღმული ეს ორი ეტაპი, იქნებ, ძალზე ბევრისმთქმელი გამოდგეს წლევანდელი ჩემპიონატის საბოლოო შედეგებისათვის. როგორც თავად ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი და მიმდინარე რბოლის ექვსგზისვე ლიდერი მიხაელ შუმახერი ამბობს, კანადაში ძალზე ხმაურიანი სიურპრიზია მოსალოდნელი. პირველ რიგში, „ბარის“ პილოტ ბატონისაგან; თუმცა არც კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიაა გამოსარიცხი და არც იაპონელი ტაკუმა სატო.



**სურათზე: აი, ასეთია მონრეალის ავტოდრომი.**

## უხვმოსავლიანი „ოქროს ლიგა“

**მართლაც რომ, ძალზე „რეკორდუხვი“ გამოდგა წლევანდელი მძლეოსნური შეჯიბრებები. შეგახსენებთ ეთიოპიელი კენენისა ბეკელეს ბრწყინვალე წარმატებას ჯერ 5 ათას, ხოლო შემდეგ 10 000 მეტრზე სირბილში, ზედიზედ რომ მოხსნა თანამემამულე ჰაილე გებრესელასიეს მსოფლიო რეკორდები.**

კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა ნორვეგიიდან, ბერგენში „ოქროს ლიგის“ გათამაშების პირველ ეტაპზე ხუთიათასმეტრიან დისტანციაზე სირბილში ქალთა შორის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა თურქმა სპორტსმენმა ელვან აბეილეგესემ – 14.24.68.

ათენში, საბერძნეთის ჩემპიონატზე ბადროს ტყორცნაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა ევროპის ჩემპიონმა კატერინა ვოგგოლიმ – 67,72 მეტრი.



## „მკერდით გადაეფარა“

**ავტოსპორტის მოყვარულთა კერპის – მიხაელ შუმახერის უმცროსი ძმის – რალფის მშვენიერმა მეუღლემ კორა შუმახერმა გადაწყვიტა „ფორმულა-1“-ის ბოლიდის იმპროვიზირებული ტესტების მოწყობა. მაგრამ ეს ცდა ჩაეშალა – 27 წლის ქალბატონის მკერდი ვერ ჩაეტია სპორტული ავტომანქანის კოკპიტში (კაბინაში). ამით შეწუხებულმა ფრაუ შუმახერმა აცრემლებულმა დატოვა ავტოდრომი.**

„როგორც კი კორა ბოქსებში გამოჩნდა, მაშინვე ვუთხარი, რომ მისი სხეულის განსაკუთრებულობის გამო ის კომფორტულად ვერ იგრძნობდა თავს ვიწრო კოკპიტში, – თქვა ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ელენ ლორმა, – კორა სერიოზული რისკის ქვეშ აყენებდა თავის ჯანმრთელობას“. შემდეგ კომენტატორი იმასაც აღნიშნავს, რომ მას არ მოსწონს მსგავსი სარეკლამო აქციები, მით უმეტეს, რომ კორამ მართვაც კი არ იცის წესიერად, ამ დროს კი სერიოზული მანქანების რბოლა მოინდომა.

ამ აქციის მთავარი არსი კი ის იყო, რომ ერთ-ერთი გერმანული ტელეკომპანია აპირებდა ამ ტესტების პირდაპირ ტრანსლაციას. ასე რომ, კორა შუმახერის ეს კონფუზი მთელმა ქვეყანამ მაინც შეიტყო.

◎ კრივი

## ოქროს მედლები ესტონეთიდან

**ტარტუში (ესტონეთი) დასრულდა საერთაშორისო ტურნირი 8 ქვეყნის (რუსეთი, საქართველო, სამხრეთ კორეა, უკრაინა, ლიტვა, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია) მოკრივეთა მონაწილეობით.** როგორც ფედერაციიდან გვაცნობეს, კონსტანტინე კუპატაძეს და ბექა ლობჟანიძეს ოქროს მედლები მოუპოვებიათ.

◎ ჩოგბურთი

## აკადემიის კორტებზე

**დღეს მთავრდება ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა სპორტსკოლებს შორის.** ასპარეზობაში მონაწილეობდა ასოცდაათამდე გოგონა და ჭაბუკი, რომელთა ასაკიც განისაზღვრებოდა ათიდან თექვსმეტ წლამდე. ყველაზე პატარა გოგონებში ჩემპიონობა მოიპოვა ბაბილინა მაჩაიძემ, ხოლო ბიჭებში – ნიკა დოლიძემ, ისიც აღსანიშნავია, რომ ნიკამ უწინ თორმეტ წლამდე ასაკშიც მოიპოვა ჩემპიონობა, ხოლო ამ ასაკის გოგონებში იმარჯვა ნინო მებუკემ, ბიჭებში კი – დავით ხუციშვილმა. თოთხმეტწლიან გოგონებში გაიმარჯვა ეკა გორგოძემ, ბიჭებში კი – ნიკა ქურდაძემ. თექვსმეტ წლამდე ასაკის ბიჭებში ყველას აჯობა გიორგი ჭანტურიამ, ამავე ასაკის გოგონების ფინალი კი დღეს გაიმართება. ჩემპიონობას სოფიკო შაფათავა და სალომე ჩაჩხუნაშვილი გაარკვევენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.



**ალექსანდრე კოტორაშვილი.**

**სურათზე: თამაშობს ნიკა დოლიძე.**
**ავტორის ფოტო.**

◎ ბატუტზე ხტომა

## გოლოვინას – „ვერცხლი“

**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გრძელდება ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.** თავი ისახელა თბილისის მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სკოლის აღსაზრდელმა ლუბა გოლოვინამ, რომელმაც 17-წლამდელთა პირველობაზე 37,6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. იგი მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა პორტუგალიელ ანა ბენტეს. 36,7 ქულით მესამე ადგილზე ბელორუსი ელენა ტარასევიჩი გავიდა.

◎ ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზე – მორაგბეები. III ნაწილი



სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ ათლეტიზმის დარბაზში სხვადასხვა პროფილის სპორტსმენები იუმჯობესებენ ფიზიკურ კონდიციებს. ისინი „მუშაობენ“ ძალასა და გამძლეობაზე, კუნთების მასასა და რელიეფზე. ტრადიციისამებრ ძალისმიერ მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევენ ქართველი მორაგბეები. დღეს წარმოგიდგენთ თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშეს **რევაზ გიგაურს** (დაიბადა 1984 წელს, წონა – 98 კგ, სიმაღლე – 190 სმ). საქართველოს 2003 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი შარშანვე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობდა. რევაზი არც სწავლას ივიწყებს – იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია.

გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს რევაზ გიგაურის შესრულებით.

**ფეხის ოთხთავა კუნთების ვარჯიში**

**1. ჩაჯდომა მკერდზე შტანგით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 5-5 გამეორებით.

**2. ჩაჯდომა ზურგზე სიმძიმით (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 6-6 გამეორებით.

**მკერდის დიდი კუნთების ქვემო კონების ვარჯიში**

**3. აჭიმვა უარყოფითად დახრილ დაფაზე (სურ. 3,4).** სრულდება 8 მისვლა 8-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**












# ააფეთქეს პარტიის ოფისი

**სარდინიის კუნძულის მთავარ ქალაქ კალიარიში, პარტიის „წინ, იტალია!“ კომიტეტის შენობის შესასვლელთან, ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამ პარტიას იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი უდგას სათავეში. როგორც პოლიცია იტყობინება, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, დაკავებულია სამი ანარქისტი.**

12 ივნისს გამთენიისას, ქალაქის ამ უბნის მცხოვრებლები გააღვიძა აფეთქების ძლიერმა ხმამ. პოლიციელებმა შენიშნეს სამი პირი, რომლებიც გაქცევას აპირებდნენ. ისინი დაუყოვნებლივ შეიპყრეს. ბოროტგანმზრახველები აღმოჩნდნენ ადგილობრივი ანარქისტული ორგანიზაციის წევრები.

რამდენიმე დღის წინათ კი სარდინიის ქალაქ ნუოროში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა ეროვნული ალიანსის მემარჯვენე პარტიის კომიტეტის შენობასთან. ამ პარტიის წარმომადგენლები შედიან იტალიის მემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობის შემადგენლობაში.

ოთხშაბათს, 9 ივნისს კი ბომბი აფეთქდა ბოლონიაში, ეროვნული ალიანსის ლიდერის, ვიცე-პრემიერის ჯანფრანკო ფინის წინასაარჩევნო მიტინგის დროს. იმ აფეთქების შედეგად ხუთი კაცი მსუბუქად დაიჭრა. სამართალდამცავებს ეჭვი აქვთ, რომ ორივე აფეთქება ანარქისტების მიერ იყო ორგანიზებული.

# „ალ-ქაიდა“ ამერიკელთა რეფორმებს ეწინააღმდეგება

**„ალ-არაბიის“ ტელეარხმა ეთერში გადასცა აუდიოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი ხმა (ეს, სავარაუდოდ, „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი აიმან ზავაჰრი უნდა იყოს), გმობს ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისთვის გამიზნულ ამერიკელთა გეგმებს.**

ფირზე აღბეჭდილი ხმა ამერიკელებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ სურთ არაბული სახელმწიფოების მთავრობების დამხობა, და ამტკიცებს, რომ რეფორმები რეგიონში, სინამდვილეში სულაც არ არის ამერიკელთა მიზანი.

„ამერიკელებს სურს, რომ არსებული რეჟიმები ახალი რეჟიმებით შეცვალონ. ადამიანის უფლებები, რომლებსაც ისინი იცავენ, ეს არის დამნაშავის უფლება დაამციროს მუსლიმანები“, – აცხადებს ხმა.

გარდა ამისა, ხაზგასმულია აუდიომიმართვაში, ამერიკელთა რეფორმები ვერასდროს ვერ მოუტანენ არაბებს დამოუკიდებლობას და ვერ შემატებენ მათ ღირსების გრძნობას.

„ნამდვილი რეფორმა იწყება თვითონ ჩვენში. ამის საფუძველია ის, რომ ჩვენ, ჩვენს შვილებსა და მომავალ თაობებს ჰქონდეთ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი“, – აღნიშნავს ფირზე ჩაწერილი ხმა.

წარმოშობით ეგვიპტელი აიმან ზავაჰრი, ითვლება „ალ-ქაიდას“ ლიდერის უსამა ბენ ლადენის სულიერ მრჩევლად.

გარდა ამისა, მას მიაწერენ ამ ორგანიზაციის იდეოლოგიის ავტორობასაც.

მარტის დამლევს „ალ-ჯაზირას“ ტელეარხმა ეთერში გადასცა აუდიომიმართვა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ზავაჰირიმ ჩაწერა. მიმართვის ავტორი მოითხოვდა პაკისტანის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის დამხობას.

# დააკავეს... კონტრაბანდული თავის ქალები



**პერუელმა მებაჟეებმა დააკავეს ხუთი თავის ქალა, რომელთა გატანასაც ფოსტით არალეგალურად ცდილობდნენ კალიფორნიაში. როგორც ვარაუდობენ, ეს მუმიციფირებული თავის ქალები თითქმის სამი ათასი წლის უნდა იყოს.**

მებაჟეებმა რაღაც იეჭვეს, როცა იგრძნეს არასასიამოვნო სუნი მუყაოს პატარა ყუთებიდან. ეს ყუთები დაასხივეს რენტგენის აპარატის მეშვეობით.

ყუთებში აღმოჩნდა გაზეთში შეხვეული მუმიფიცირებული თავის ქალები. ადგილზე მოსულმა არქეოლოგებმა დაადასტურეს თავის ქალების „ასაკი“ – შვიდასი წელი ძველი წელთაღრიცხვით.

„კონტრაბანდულ ტვირთს ახლდა ყალბი სერტიფიკატები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ თავის ქალები ქვეყნიდან გააქვთ დროებით, შესწავლისა და გამოფენაზე წარმოდგენის მიზნით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერჯერობით ვერ მიაგნეს ვერც ამანათის გამგზავნს და ვერც იმ პირს, ვის სახელზეც იყო იგი გაგზავნილი.

პერუში მრავალ ადგილზე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები. ამ ქვეყანაში ნაპოვნია ჯერ კიდევ ინკების იმპერიამდე ათზე მეტი სხვადასხვა კულტურის არსებობის მტკიცებულებანი, აგრეთვე, მრავალი არტეფაქტი თვით ინკებისა, რომლებიც XVI საუკუნეში დაიპყრეს ესპანელმა კონკისკადორებმა.

მართალია, მთავრობის ნებართვის გარეშე პერუდან ისტორიული სიძველის გატანა აკრძალულია, მაგრამ გათხრების ადგილების უმეტესობა ცუდად არის დაცული და არც მნიშვნელოვანი არტეფაქტების დაცვის კანონები მოქმედებს. ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც არის პერუ, არქეოლოგიური სიძველეების უკანონო გაყიდვის შედეგად დიდი შემოსავლის მიღებით ახლა სულ უფრო მეტი ადამიანია დაინტერესებული.



# ერაყში მოკლეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

**ბაღდადში, საკუთარ სახლთან, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით მოკლეს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ბასამ ქუბა.**

როგორც სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ქუბას თავს დაესხნენ მაშინ, როცა იგი სამსახურში მიდიოდა. დიპლომატი მიყენებული ჭრილობების შედეგად მალე გარდაიცვალა.

სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ძალზე შეაძრწუნა ქუბას, ამ ერთ-ერთი გამოცდილი დიპლომატის მკვლელობამ, რომელიც მუშაობდა სადამ ჰუსეინის მთავრობაში და აგებდა პასუხს საგარეო ურთიერთობისათვის უკვე პოსტ-სადამურ პერიოდში.

და მაინც, როგორც სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რაც უფრო ახლოვდება 30 ივნისი, დღე, როცა ძალაუფლება უნდა გადაეცეს ერაყის დროებით მთავრობას, სავარაუდოდ, მით უფრო გახშირდება ასეთი თავდასხმები ერაყელ სახელმწიფო მოღვაწეებზე.

ბასამ ქუბას მკვლელობა ბაღდადის ამ რაიონში განხორციელებული პირველი ასეთი აქცია როდი არის. ოთხშაბათს ქალაქის ამ უბანზე თავს დაესხნენ ერაყის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ერაყიდან მიღებული სხვა ინფორმაციებიდან აღსანიშნავია ის, რომ შიიტთა რადიკალურმა ლიდერმა მოქთადა სადრმა მოუწოდა თავის მომხრეებს, არ განახორციელონ თავდასხმები ნეჯეფში ერაყელთა უშიშროების ძალებზე.

ქალაქ ქუფაში გამოსვლისას, მოქთადა სადრმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ იგი გარკვეულწილად უჭერს მხარს ერაყის დროებით მთავრობას, რომელსაც მანამდე თვითონვე უწოდებდა მარიონეტულს.

ასეთი ცვლილება მოქთადა სადრის პოზიციაში მოხდა მას შემდეგ, რაც ერაყის დროებითმა მთავრობამ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მას შეუძლია უგულებელყოს ამერიკელთა ადმინისტრატორის პოლ ბრემერის გადაწყვეტილება, რომელმაც უახლოესი სამი წლის განმავლობაში ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა აუკრძალა სადრისა და სხვა რადიკალებს.

# რონალდ რეიგანი კალიფორნიაში დაკრძალეს

**კალიფორნიაში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტის რონალდ რეიგანის დაკრძალვის ცერემონია. როგორც თვით რეიგანმა დაიბარა, იგი დაკრძალეს ლოს-ანჯელესის მახლობლად, პრეზიდენტის მემორიალური ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათისათვის. სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობდნენ პრეზიდენტის ქვრივი ნენსი რეიგანი და განსვენებულის ახლო ნათესავები.**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განკარგულების თანახმად, რეიგანის დაკრძალვის დღეს არ მუშაობდნენ სამთავრობო დაწესებულებები და სახელმწიფო უწყებები.

გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო დეპარტამენტის, იუსტიციისა და შინაგანი უშიშროების სამინისტროების იმ სტრუქტურებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ „ეროვნულ უშიშროებას“, თავდაცვასა და სხვა საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებას“.



ლას-ვეგასის სამორინეებში სამი წუთით ჩააქრეს შუქი, რითაც პატივი მიაგეს რონალდ რეიგანის ხსოვნას. მანამდე ასეთი რიტუალი მოეწყო ჯონ კენედის ხსოვნის პატივსაცემად. კაზინოებში შუქი ჩააქრეს 2001 წლის 14 სექტემბერსაც, რომელიც მთელ შეერთებულ შტატებში გამოცხადდა გლოვის დღედ ნიუ-იორკში დანგრეულ ტყუპისცალ-ცათამბჯენებში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

სამგლოვიარო პროცედურას დაახლოებით 700 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა. ცერემონიაში მონაწილეობა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ამერიკის ყოფილი ლიდერის ოჯახის წევრებისა და უახლოესი მეგობრებისათვის. მიწვეულ სტუმართა შორის იყვნენ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი, მსახიობი ტომ სელეკი და მომღერალი უეინ ნიუტონი, აგრეთვე პოლიტიკოსები და კულტურის მოღვაწეები.

პრეზიდენტის ცხედრის დაკრძალვის წინ შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს რეიგანის ახლობლებმა, მათ შორის მისმა შვილობილმა მაიკლ რეიგანმა, ქალიშვილმა პეტი დევისმა და ვაჟმა – რონალდ რეიგან-უმცროსმა. მათ დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მოგონებები რეიგანის, არა როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის, არამედ როგორც ადამიანის და მამის შესახებ.

ზარბაზნების ზალპისა და სალუტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დროშა, რომელიც კუბოზე იყო გადაფარებული, ამერიკელ სამხედროთა ტრადიციისამებრ, გარდაცვლილის ქვრივს – ნენსი რეიგანს გადასცეს.

ამერიკის ტელევიზია მთელი კვირის განმავლობაში უჩვენებდა გარდაცვლილ პრეზიდენტს, გადასცემდა ნაწყვეტებს მისი გამოსვლებიდან და ინტერვიუებიდან.

სსრ კავშირის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი, პრინცი ჩარლზი და პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ლეხ ვალენსა იყვნენ იმ უცხოელ მაღალი თანამდებობის პირთა შორის, რომლებიც ესწრებოდნენ პარასკევს გამართულ სამგლოვიარო ცერემონიას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეიგანის დაკრძალვის ცერემონიაზე ჩამოსვლისათვის ელოდნენ მსოფლიოს 165 ქვეყნის 220-მდე ყოფილ და მოქმედ ოფიციალურ პირს. მათ შორის იყვნენ სახელმწიფოთა და მთავრობათა 25 მეთაური, აგრეთვე საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა 14 მეთაური და სახელმწიფოთა და მთავრობათა 11 ყოფილი ხელმძღვანელი.

მრავალი ადამიანისთვის, რომლებიც პირადად იცნობდნენ რეიგანს, არ იყო მოულოდნელი პრეზიდენტის გარდაცვალება, რადგან იგი რამდენიმე წლის განმავლობაში დასნეულებული იყო ალცჰაიმერის დაავადებით და ვეღარ ცნობდა ახლობლებს. „იგი გამოეთხოვა მათ წერილით, რომელშიც კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი ვაჟკაცური სული და ამერიკისადმი უსაზღვრო სიყვარული“, – განაცხადა განსვენებული პრეზიდენტის შესახებ ოთხშაბათს კაპიტოლიუმში გამართულ ცერემონიალზე შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ.

რეიგანი მოვიდა მაშინ, როცა მთელი მსოფლიოსა და ამერიკელებს სჭირდებოდა იგი. მე თითქმის ბავშვი ვიყავი, როცა გარდაიცვალა ჩერჩილი, ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლაც სწორედ ასე ვგრძნობ თავს“, – აღნიშნა ჯეკ კელიმ, რომელსაც ეკავა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის თანაშემწის პოსტი რეიგანის ადმინისტრაციაში.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**

**ზაზა ბეჟანიძემ.**

◎ ნომრის სტუმარი

# პლუშის დათუნია და პატიმარი ძმაკაცის შვილი

ერთი დღე მწერალ ზაალ სამადაშვილთან

ბავშვობიდან ავლაბარი რატომღაც წარსულში მაბრუნებდა – იმ წარსულში, რომელსაც არც კი ვიცნობდი, მხოლოდ გაგონილი მქონდა და აშუღებისა და მეარღნეების საუფლოს ასოციაციას იწვევდა. ახლა, მოწიფულობაში, ავლაბრისა თუ ორთაჭალის ხსენებაზე ერთი ქართული ფილმი მაგონდება – „მზე შემოდგომის“, რომელშიც მთავარ როლებს ქართული კინოს აღიარებული ვარსკვლავები – მედეა ჯაფარიძე და ოთარ მეღვინეთუხუცესი ასრულებენ.

ამ ფილმიდან ჩემთვის რამდენიმე ეპიზოდია განსაკუთრებით ძვირფასი – უკვდავი ელენე ახვლედიანისა და ლადო გუდიაშვილის დაუვიწყარი სახეები და ძველი თბილისის განუმეორებელი მეზობლური, უბნისთვის ნიშანდობლივი ურთიერთობები.

რამ გამახსენა ახლა ავლაბრისა თუ ორთაჭალის მიხრილ-მოხრილი, უწესრიგო, მაგრამ მაინც ძველი თბილისის სურნელით გაჟღენთილი უბნები?

ზაალ სამადაშვილთან გახლდით, მინდოდა, ის დღე მასთან გამეტარებინა.

სომხური თეატრის უკან ვცხოვრობ, ადვილად მომაგნებო. მეტრო „ავლაბრიდან“ ზალიკოს სახლამდე, რომელიც თეატრიდან საკმაოდ მოშორებით, თან სხვა ქუჩაზე მდგარა, კითხვა-კითხვით მივაღწიე. მწერალ სამადაშვილს, „ჩვენს ზალიკოს“ თურმე მთელი უბანი იცნობს, ისევე როგორც მოქანდაკე თენგიზ კიკაჩეიშვილს, ანუ ავლაბრულად ჩიხლიპიტოს, რომელიც, ასევე ავლაბრელია და იმერული მინიშნებით, „აგერ“, ხელის გაწვდენაზე ცხოვრობს. აბა, ცნობილი მეარღნე აკოფ ქიტესოვი, „ძია აკოფა“ ვის აღარ ეცოდინებოდა.

...გვიან საღამოს ფოტოკორესპონდენტი ჯემალ კასრაძე და მე ზალიკომ ქუჩის კუთხემდე გამოგვაცილა. გზაზე ორი შუახანს გადაცილებული კაცი გამოჩნდა. – გამარჯობა, ძია მიხო, როგორა ბრძანდები? – მოიკითხა ქუჩის მეორე ბოლოში მცხოვრები მეზობელი ზალიკომ. მერე მეორეს მიესალმა, მესამეს... ჩვენი ქალაქის ძველ უბნებში ისევ შენარჩუნებულია ეს თბილი მეზობლური ურთიერთობები, ადამიანური სალამ-ქალამი, მიკითხვ-მოკითხვა. არც მოშლილიყოს...

ეზოში შესვლისთანავე პარმაღზე ნებივრად წამოკოტრიალებული ფინია ძაღლი უცებ გადმომიხტა და, რომ არა ზალიკო, ალბათ, კარგ დღეს არ დამაყრიდა.

ჩემი ნანაა „მეძაღლე“ და „მეკატე“, ძალიან უყვარს ცხოველები. ეს წკვიტინა ძაღლი ქუჩაში ვიპოვეთ, ეტყობა, პატრონმა გამოაგდო და შინ წამოვიყვანეთ, – „დამამშვიდა“ მასპინძელმა.

ბინა არეულ-დარეული დამხვდა, ეს რამხელა რემონტი წამოუწყია-მეთქი, ხმამაღლა გავიფიქრე.

რემონტი კი არა, მიწისძვრის დროს ერთი კედელი ჯერ გაიბზარა, სამ თვეში გადაწვა და ერთ დილას მეზობლის სხვენშიც აღმოვჩნდი. ძმაკაცთან მივედი, ამ საქმის სპეციალისტთან, ეგებ სახლი გამამაგრებინო-მეთქი. ამას არაფერი ეშველება, უნდა დაინგრეს და ახალი აშენდესო. ხომ წარმოგიდგენია, რა დღეშიც ჩავვარდებოდი. კარგი, მე დავანგრევ და თვითონვე ავაშენებ, როცა გექნება, ფული მაშინ დამიბრუნეო. ღვთის წყალობაა. ღვთის წყალობა და მეგობრობა კარგია, მაგრამ როცა იცი, ვალი გასასტუმრებელი გაქვს...

შიდა, უკვე გაწყობილი კიბით მანსარდაზე ავედით. კიბიდან დაწყებული, იქ უკვე ყველაფერი კრიალებდა. მშენებელს ორიგინალური პროექტი აურჩევია და ამ სახლს უხდება. ზალიკო თავის საძინებელ-კაბინეტში შემიძღვა. მშვენიერი ბუდე მოუწყვია-მეთქი, გავიფიქრე.

წიგნის თაროები თვალს მოგჭრის, გულგრილს არ დაგტოვებს – უილიამ შექსპირი თუ ჭაბუა ამირეჯიბი, ინანიშვილი თუ სტენდალი, მარიო ვარგას ლორა თუ „ქართული მწერლობის“ ტომები... პატრიარქის ფოტო ზედა თაროს ცენტრშია მოთავსებული და, როცა მაგიდაზე კოხტად დაწყობილი ხატებიც დავინახე, ეკლესიური ხარ-მეთქი? – ვკითხე.

სამწუხაროდ, არა, და ამის გამო ხანდახან თითქმის გადაულახავ სიძნელეებს ვაწყდები, თუმცა ჩემი მეუღლე ნანა ეკლესიურია და გარკვეულწილად, ეს მეც მიადვილებს ცხოვრებასო.

ჩვენს გმირს სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ერთ დროს ინჟინერ-პროგრამისტად მუშაობდა. კვლევით ინსტიტუტშიც უმუშავია და გეოლოგიურ პარტიაშიც, ბოლოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრაზე იყო.

ამიტომაც დააგვიანდა ლიტერატურაში მოსვლა, უფრო სწორად, ადრეულ წლებში ამაზე არც უფიქრია. პირველი მოთხრობა ოცდაათი წლისას დაუწერია და „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ რომ მიუტანია, ცხონებულ თენგიზ ჩალაურს ისე მოსწონებია, უყოყმანოდ გაუმზადებია ნომრისთვის.

მეორე მოთხრობა უკვე „ლიტერატურულ საქართველოში“ მიატანინა ბადრი ჭოხონელიძემ. დოდო ჯაჭვლიანს დავუტოვეთო (ეჰ, გაანათლოს მათი სული უფალმა, არც ერთი აღარ არის ცოცხალი...).

– გულის კანკალი მქონდა ატეხილი – „ლიტერატურულში“ ხომ ცოცხალი კლასიკოსები იბეჭდებოდნენ. ორი კვირის თავზე, პარასკევ დილას გადავშალე გაზეთი და არ ვხედავ ჩემს „ანას და ჭრელშარფიან ბიჭს?!“ დიმა ერისთავს გაუფორმებია. თან უსაზღვროდ გამიხარდა, თან დავიბენი. 160 მანეთი ავიღე ჰონორარი. იმ დროს ეს დიდი ფული იყო. რომ მივედი, რედაქტორთან შედი, გამოჩნდება თუ არა, შემოვიდესო. რედაქტორმა მითხრა, რამეს რომ დაწერ, და აუცილებლად უნდა დაწერო, მე მომიტანეო. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი ჰონორარი და ყველაზე დიდი ჯილდო.

– და თავი უკვე მაშინ იგრძენი მწერლად?

– მაშინ კი არა... ღმერთმანი, არ ვიპრანჭები – დოსტოევსკი, დიკენსი... და მეც მწერალი ვარ, მათი კოლეგა ვარ? რას ამბობ, ეს ხომ მკრეხელობაა. დამიჯერე, ნამდვილად არა ვარ დაკომპლექსებული. მე უფრო მეკალმე ვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ზაალ სამადაშვილი პოპულარული მწერალია, მშვენიერი მოთხრობების ავტორი, რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული. გაზეთ „ქომაგში“, ჟურნალ „XX საუკუნეში“, „24 საათში“ გამოქვეყნებულ მის მოთხრობებსა თუ ლიტერატურულ ჩანაწერებს მკითხველი გულგრილი არასოდეს დაუტოვებია და ეს სიტყვები – მწერალი არა ვარ, მეკალმე ვარო, უდავოდ ზედმეტი თავმდაბლობის ბრალია.

ოთახში ჯდომა რომ მოგვწყინდა, ეზოში გავედით, სადაც ოჯახის დიასახლისს მშვენიერი ყვავილები დაურგავს, შემოდგომა რომ ყოფილიყო, იქვე ლეღვსაც გავუსინჯავდით გემოს. ძველ უბანშიც გავისეირნეთ. მთელი ამ ხნის მანძილზე ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. თუმცა, სხვაც ბევრი ვთქვით – ამ მთისაც, იმ მთისაც. ძველი ამბებიც გავიხსენეთ და დღევანდელ გაჭირვებაზეც ვილაპარაკეთ, ძველი ხალხიც მოვიგონეთ და არც ახლები დაგვიწყებია.


ზაალ სამადაშვილი.

– იცი, აფხაზეთი როდის დავკარგეთ? – მეუბნება, – 1993 წელს კი არა, 79-ში ის უკვე აღარ იყო ჩვენი.

ეს მეც კარგად ვიცოდი და ამის უტყუარ საბუთებსაც მოვიტანდი, მაგრამ მკითხველს ჩემი აზრები კი არ აინტერესებს, არამედ ჩემი მასპინძლის, მწერალ ზაალ სამადაშვილისა. ამიტომაც მოდი, მოვუსმინოთ, რა მოხდა იმ 1979 წელს, ასე რომ ჩარჩენია მეხსიერებაში ზალიკოს.

– მე და ნანა გაგრაში დავქორწინდით. დღემდე შენახული მაქვს ქართულ-აფხაზური ქორწინების მოწმობა. ქალაქ გაგრის სოხუმის გზატკეცილის 128 ნომერში ვართ ჩაწერილები. ეს საქმე ლაშა თაბუკაშვილის პროტექციით გაგვიჩარხა ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის მთავარმა ექიმმა, აფხაზმა კაცმა, მის სახელსა და გვარს ვეღარ ვიხსენებ. რატომ უნდა ჩავწერილიყავით გაგრაში? იმიტომ რომ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ ცხოვრობდა, უფლება არ ჰქონდა, იქ მოქალაქეობრივი აქტი გაეფორმებინა. ასე რომ, 1979-ში აფხაზეთი უკვე დაკარგული გვქონდა.

მიდი ახლა და ლიტერატურაზე ილაპარაკე, ლიტერატურულ პროცესებზე, მწერლებზე...

გარდა იმისა, რომ ზაალ სამადაშვილი ჩინებული მწერალია, იგი თვალსაჩინო მოღვაწეცაა – თავის დროზე ერთობ პოპულარული ჟურნალის „XX საუკუნის“ რედაქტორი (მერე ეს ჟურნალი ალმანახად გადაკეთდა), ბადრი პატარკაციშვილის ფონდის საზოგადოებრივი საბჭოს წევრი, „თი-ბი-სი ბანკის“ მიერ დაარსებული პირველი ლიტერატურული პრემიის „საბას“ ჟიურის წევრი, კინოცენტრის კომისიის წევრი, ინგლისურენოვანი ჟურნალის – „ახალი საუკუნის“ – სარედაქციო საბჭოს წევრი, გაზეთ „24 საათის“ ერთ-ერთი დამატების რედაქტორი, „თეატრალური სარდაფის“ ლიტერატურული ხუთშაბათობების ყოფილი წამყვანი. გამსახურდიას პროსპექტზე წიგნის სახლი გაიხსნა და ზალიკო სამადაშვილი უკვე ოთხშაბათობით უძღვება ლიტერატურულ საღამოებს... ხომ შთამბეჭდავი სიაა? ამიტომაც გაბედულად ვიტყვით, რომ დღეს, მთელი დღის მანძილზე, ავლაბრის ძველ, კოლორიტულ უბანში ჩვენი მასპინძელია მწერალი და მოღვაწე ზაალ სამადაშვილი.

ისე, საინტერესოა, ბუნებით მოღვაწეა ეს კაცი თუ ცხოვრებამ აიძულა, ასეთი აქტიური ყოფილიყო?

– მე პოზიციას ვაფიქსირებ. საზოგადო მოღვაწე არა ვარ, ამ სიტყვის კარგი და უმშვენიერესი გაგებით. არა, ამას ნამდვილად ვერ დავიბრალებ. უბრალოდ, მედიისთვის არასოდეს მითქვამს უარი, გამომეთქვა ჩემი აზრი ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოვლენაზე (თუმცა ეს რამ გაყო ერთმანეთისგან). ამას შინაგანი სურვილი მავალდებულებს. ენერგიული ვარ და, ალბათ, აქტიურობაში ესეც მიწყობს ხელს.

ამ კომისიებს რაც შეეხება, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემთვის წყნარად რომ ვიჯდე და ჩემს საქმეს ვაკეთებდე, მაგრამ იძულებული ვარ, ათას რამეს მივედ-მოვედო, აბა, ოჯახს რჩენა ხომ უნდა.

ნოველისტებისგან გამიგონია და ზალიკომაც დამიდასტურა: ჩვენ რომანისტების, ანუ მწერლების ცხოვრებით არ ვცხოვრობთ. მათ რაღაც ჩარჩოები აქვთ, მუშაობისთვის ზუსტად განსაზღვრული დრო, ხოლო ჩვენ, სანამ მუზა ძალიან არ შეგვაწუხებს, საწერ მაგიდას ვერ მივუჯდებითო.

– მე მოპოეტო პროზაიკოსი ვარ, უფრო სწორად „არშემდგარი“ პოეტი. ვწერ მაშინ, როცა მინდა, როცა იმ რაღაცის ქაღალდზე გადაუტანლობა შეუძლებელი ხდება, როცა მომწიფდება... მეტიც, მე ანტირომანისტი ვარ. ამიტომ კარგი დღე ჩემთვის ის არის, როცა პირის დაბანისთანავე ვიწყებ მუშაობას. ასეთი კი თვეში ერთი დღე გამოდის, ანუ თვეში, საშუალოდ, 14-16 საათს ვმუშაობ. და ამას რომ შედეგი მოჰყვება, ანუ ჩემი ნამუშევარი მკითხველის გარკვეულ ნაწილზე ზემოქმედებას რომ ახდენს, თვითონ ძალიან მახარებს.

მოდი, თუ ნებას დაგვრთავს, მწერალ ზალიკო სამადაშვილის სამზარეულოში შევიხედოთ და გავიგოთ, როგორ იქმნება მისი ნაწარმოებები, ფანტაზია ჭარბობს თუ ცხოვრებისეული მაგალითები.

– ჩემი აზრით, მწერლობა, ძირითადად, მაინც მთხზველობა და ფანტაზიორობაა. ბანალურ ჭეშმარიტებას ვამბობ – ადამიანი, რომელსაც მძლავრად არა აქვს განვითარებული წარმოსახვის უნარი და ნიჭი არ მოსდგამს, არა მგონია, მწერალი გამოვიდეს. რა თქმა უნდა, შეიძლება მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, რომ რაღაც ცხოვრებისეული დეტალია გამოყენებული და ასეც იყოს, მაგრამ პირდაპირ ფოტოგრაფირება მაინც არ შეიძლება. ამიტომაც მგონია, რომ მწერალი უფრო მეტად მეზღაპრეს ჰგავს. თუმცა ამ შემთხვევაში სულაც არ არის საჭირო „იყო და არა იყო რას“ გამოყენება.

აი, ასე შეიქმნა „ანა და ჭრელშარფიანი ბიჭი“, „ალი გამურულ შუშაში“, „ზღაპარი მამის მეგობრისათვის“, „ბოშები“, „სიზმრად გამოძახება“ და სხვა მრავალი მშვენიერი ქმნილება.

**დავით ჭელიძე.**

(დასასრული იქნება).

◎ ლექსო, ნუ დაიკარგები

## ახალი ლექსებიდან

### ერთგულება

ვერ ვიმღერებ, როცა მამულს
შავი ნისლი ებურება,
ვაჟკაცს ხმალი ამშვენებს და ქალს
ოჯახის ერთგულება.

გამახარეთ, გაიხარებთ,
ტყე შრიალით გვეუბნება,
მომავლის გზას გავიკაფავთ,
თუ წინ გვიძღვის ერთგულება.

ღვთის ნაკურთხი მიწა-წყალი
სხვაგან არსად მეგულება,
საქართველოს გაამთელებს ძმათა
შორის ერთგულება...

ცას ღაწვები შეეფაკლა, განთიადზე
მზე ბრუნდება,
სიყვარულს და მეგობრობას
ბურჯად უდგას ერთგულება.

### მეგობრობა

მამულს კარგავს უვიცი,
მხედარს ელის მერანი...
მეგობრობა თუ იცი,
ვერ დაგჯაბნის ვერავინ.

გუშინ ქუხდა, ელავდა...
თუ გსურს იყო დღეგრძელი, —
დაივიწყე წყენა და
მეგობრობა შემელი.

გაგახვევენ ურვაში
მარტოდ ყოფნის ფიქრები,
მეგობრობას თუ წაშლი,
უსუსური იქნები...

არ ეტყობათ დაღლა მთებს,
ქართა რკენას გაუძლეს,
მეგობრობა აგვანთებს,
რწმენას უგებს საფუძველს.

უღალატო, ურღვევი,
მედგრად რომ დგას კაცითა,
მეგობრობას ვუმღერი,
დრომ ვერაფრით გაცვითა.

### გამთელდება ღვთის მხარე

კლდეში ჭკვეთდნენ ვარძიას,
აგვიშენეს საყდრები...
შურს გავდევნით ღვარძლიანს,
რწმენის შარას გავყვებით...

ზამთრის შიში დასძლია,
დაიკვირტა ვენახი,
დრო ვერ ბზარავს ტანძიას,
ერთად ვიდგეთ, გვემახის.

სიყვარული განძია,
ღმერთმა მოგვცა ბარაქა,
გამოგვხარდა, გვარწია,
ქართველები დაგვარქვა...

გაზაფხულმა მდინარე
სიხალისით აავსო,
ჩემო ერო, იმრავლე,
შვილი სჯობდეს მამასო!

არწივი კრავს ირაოს,
ყვავები ვერ დევნიან,
სიკეთის გზით ვიაროთ,
მომავალი ჩვენია...

კელაპტარი ანთია,
ხატმა მომცა ნუგეში,
ქრისტეს წმინდა კვართია,
სვეტიცხოვლის უბეში.

აქ იპოვა სავანე
სამუდამო სამყოფლად,
სიმართლე ვერ დავმალე, —
ერს არ ელის გაყოფა.

ქართველებო, იხარეთ,
ცას ნათელით მოსავს მზე,
გამთელდება ღვთის მხარე,
ჯვარი ბრწყინავს დროშაზე.

**იუზა ჩაკვეტაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 135, კვირა, 13 ივნისი, 2004 წელი.

მოდა

# ჰაეროვნება და სინაზე — ზაფხულის უმთავრესი შტრიხი

**კარზე მომდგარი ზაფხულის მოდა, უპირველესად, მრავალფეროვნებას გვკარნახობს. ამ სეზონის სამოსი ჭრელი ფერებით დამშვენდა და სწორედ ფერთა სიუხვე შეიტანს უმნიშვნელოვანეს შტრიხს, როგორც ქალების, ასევე, მამაკაცების ჩაცმულობაშიც. მხიარული ფერები ასაკოვან ქალბატონებსაც ახალგაზრდულ ელფერს მიანიჭებს და ბუნებრივია, ხალისიან განწყობილებასაც შეუქმნის.**

აი, რას გვთავაზობენ ზაფხულისთვის მაღალი მოდის კანონმდებლები.

შარშანდელისგან განსხვავებით, მკაცრი სილუეტის შტრიხები ზედმეტად ქალურმა, ჰაეროვანმა სილუეტმა შეცვალა, რაც ყველა მანდილოსანმა შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას. დღევანდელმა მოდელებმა ბოლოს და ბოლოს მკაფიოდ გამოხატული ქალურობა, სინაზე დაიბრუნეს.

დღეს აქტუალურია შიფონის, აბრეშუმის და სხვა თხელი, გამჭვირვალე, ნაზი ქსოვილის სექსუალური, მაგრამ არავულგარული ყვავილებიანი, ფერადი სარაფნები და კაბები. ამ სტილისაა **კოკაისა** და **მანგოს** ბოლო კოლექციებიც.

დიზაინერებს მიაჩნიათ, რომ ფაქიზ ქსოვილს ასევე ნაზი, ფერადი ხელჩანთა და ფეხსაცმელი შეეხამება, რაც ეფექტიანია და ხაზგასმულია წლევანდელი მოდის მთავარი შტრიხი — ფერადოვნება და სინაზე. თუ გადავათვალიერებთ **კენზოს, გუჩის, დიორის, გალიანოს** და სხვა წამყვანი დიზაინერების ნამუშევრებს, დავინახავთ, რომ ისინი სწორედ ამ მიმართულებას ეყრდნობიან.





საქმიანი ქალის სწრაფვა მამაკაცურობისკენ წარსულს ჩაბარდა, დიზაინერებმა ქალი ქალს დაამსგავსეს... გაიმარჯვა ქალურმა სილუეტმა — 2004 წლის ზაფხულის კოლექციები სწორედ ამ ფრაზის დადასტურებაა.

მოდიელირებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ნაქარგები, მაქმანები, ელეგანტური მოსართავები. მსოფლიოს პოდიუმებზე დიდი მოწონება დაიმსახურეს ვარდისფერი შეფერილობის ნამუშევრებმა, ამავე ფერის კაბებმა და წინსაფრის მსგავსმა ქვედატანებმა.

ამჯერად, **კაროლინა ჰერერამ** ელეგანტური ვიწრო ქვედატანები, ქორსეს პერანგები და საოცრად დახვეწილი, არაკონსერვატორული სტილის პიჯაკები წარმოადგინა.

დამწყებმა დიზაინერმა **ალის როიმ** ნიუ-იორკის პოდიუმზე რიო-დე-ჟანეიროს შთაგონებით შექმნილი საზაფხულო კოსტიუმები შესთავაზა მაყურებელს. მან ქალები მსუბუქი, გამჭვირვალე კაბებით შემოსა და შესაბამისად, რიოელებისთვის დამახასიათებელი ფერთა გამა გამოიყენა: ფორთოხლისფერი, ღია მწვანე, თეთრი, წითელი. ამ კოლექციით ალის როიმ ქალი ძალიან სუსტი და მაღალი წარმოაჩინა; საღამოს კაბებში კი, ყველა მოდელს მკერდი მაქსიმალურად მოუშიშვლა.



აღსანიშნავია ქამარი, რომელიც წლევანდელი საზაფხულო მოდის ერთ-ერთი მთავარი აქსესუარია, იგი მხოლოდ მამაკაცის აუცილებელი ატრიბუტი როდია, თეძოზე ლამაზად მორგებული, ოდნავ დაცურებული ეს აქსესუარი, ქალსაც უდიდეს მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას ანიჭებს.

შარშანდელთან განსხვავებით, შიშველი მუცლის გამოჩენას დაუპირისპირდა შიშველი მხრები, მკლავები, ყელი და ღრმა დეკოლტე, რაც ქალის სინაზესა და რომანტიკულობას უფრო გამოხატავს.

მსოფლიო მოდის კანონმდებელთა რჩევები, ბუნებრივია, საყურადღებოა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გასათვალისწინებელია მთავარი — მოდურია ის, რაც გიხდება...

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: საზაფხულო მოდელები.**

ინფორმაცია

**დახმარება**

**გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს 5,8 მლნ. ევროთი დაეხმარება. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, დარგობრივი ეკონომიკისა და საფინანსო კომიტეტების თავმჯდომარეებმა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრმა ინგრიდ მათეუს მაიერმა ის ორი ხელშეკრულება განიხილეს, რომელსაც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მოეწერა ხელი.**

**პირველი ხელშეკრულება 3,3 მლნ. ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. საქართველოში შეიქმნება სააგენტო, რომელსაც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დააფინანსებს და რომელიც ენერგოსფეროში ვალების დაფარვის მექანიზმს შეიმუშავებს.**

**მეორე ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდიებისა და ექსპერტთა ფონდის ჩამოყალიბებას. საქართველოს გამოეყოფა 2,5 მლნ. ევრო, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მომზადებული მომავალი პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.**

**ღონისძიებები მთელ ქალაქს მოიცავს**

**დედაქალაქში ბორდიურებისა და უსაფრთხოების ბომების მოწესრიგება დაიწყო. როგორც „ინტერ-პრესს" კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა შალვა ბებოშვილმა განუცხადა, პირველ ეტაპზე გმირთა მოედანზე არსებული ბორდიურები გადაიღებება და განახლდება. ღონისძიებები ეტაპობრივად მთელ ქალაქს მოიცავს და ივნისის ბოლოსთვის დასრულდება. გარდა ამისა, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური უახლოეს დღეებში ხიდების გადაღებვას დაიწყებს.**

**ინტერ-პრესი.**

თაობა

**ეს პირმშვენიერი 16 წლის გოგონა ნინო აბულაძეა, ჩვენი გამოჩენილი კინოხელოვნის თენგიზ აბულაძისა და ასევე გამოჩენილი მეცნიერ-გეოლოგის თამაზ ჯანელიძის შვილიშვილი, სანაქებო ოჯახში აღზრდილი.**

**ნინომ ეს-ეს არის დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი და ახლა იქვე, უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე შესასვლელად ემზადება.**

**ნინო ხელოვნებასაც ეტრფის და ლიტერატურასაც — ხატავს, ძერწავს, წერს. დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს ნინო აბულაძის ერთი ბოლოდროინდელი ჩანახატი.**

**დავაჭაშნიკოთ.**

# წერილი მეგობარს... მომავლიდან



**პრივეტ, საკო.**

**გუშინ, როგორც იქნა, მოვრჩით ჩვენს ორწლიან სამუშაოს. დავამთავრეთ ზარზმის რესტავრაცია.**

**ფრანსუა კმაყოფილია.**

**ჩვენც.**

**ავითვისეთ ახალი ტექნოლოგიები და დგას ახლა ზარზმა განახლებული. ამაყი.**

**თითქოს საუკუნეები არც შეხებია.**

**გახსოვს?**

**„... შენი დიდების მომღერალია**
**ოშკი და ზარზმა,**
**ბებერი ტაო..."**

გუშინ დავბრუნდით და გადავწყვიტე, თურქეთში არსებულ სხვა ტაძრებზე მენახა მასალები. როდესაც ენციკლოპედიების გადმოლაგება დავიწყე. უცებ ბებიაჩემის დედის — ლენიკოს დღიურს წავაწყდი. 2003 წლით არის დათარიღებული. ჩემზე ერთი წლით უფროსი იქნებოდა მაშინ.

გახსოვს ცვეტაევა?

„Юная бабушка, кто вы?"

დღიურს რაღაც ფურცლები აკლია. სიძველისგან სულ გაყვითლებულია და ყოველი ფურცლის გადაშლისას მეშინოდა, არ დაშლილიყო. საინტერესო დღიურია. არის ცნობილი ადამიანების გამონათქვამები. ლენიკოს საყვარელი ფრაზები. ლექსები და რაღაც ამბები.

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ მას ის მოვლენები აქვს აღწერილი, „ვარდების რევოლუცია" რომ ჰქვია. ისეთი წარმოუდგენელია, რომ არ გამეკითხა და ამ რევოლუციის დამადასტურებელი უძველესი კასეტა არ მეპოვნა, არ დავიჯერებდი, წარმოგიდგენია, ათასობით კაცი. წვიმის ქვეშ, სანთლებით ხელში... დიდი პატარა, ყველა აქ იყო!

**„... დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია.**
**და სიხსლიანი დგას ანგელოსი..."**

ბებია — რევოლუციონერი!!!

თითქოს ისტორიის სახელმძღვანელოს ვკითხულობდი. წლობით უშუქოდ ცხოვრება.

ბავშვები, სიცივის გამო სკოლაში რომ ვერ დადიან. მშიერი მოხუცები, უმუშევარი ახალგაზრდობა, ყაჩაღობა, ადამიანების გატაცება... ეს ხომ ჩვენთვის წარმოუდგენელია, არადა, სწორედ ასეთი ცხოვრებაა აღწერილი ამ დღიურში.

ეს ყველაფერი რომ არ მომხდარიყო, ალბათ, ჩვენც ისეთივე ცხოვრებით ვიცხოვრებდით.

**„რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი..."**

მოედანზე გამოსული ხალხი ცეკვავს. თან ერთი და ორი კი არა — ყველა. ეს არც ცეკვაა, არც დროსტარება, უფრო პროტესტია.

იცი, რა გამახსენდა? ძველი ფილმი რომ არის. მე და შენ ერთად ვნახეთ არქივში. მგონი „ელისო" ჰქვია. სწორედ იქ არის მთიულები კაზაკებს წინააღმდეგობას ცეკვით უწევენ.

ეს ქართული ცეკვაც როგორია, თითქოს ცეცხლის მზე ტრიალებს...

საკო, უნდა ნახო, რა კადრებია იმ კასეტაზე. ეტყობა, მთელი საქართველო წამოვიდა თბილისისაკენ. საოცარი სანახავია: შუაღამეს, უამრავი მანქანა ანთებული ფარებით მოდის. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ცეცხლის ჯვარი მოგორავს...

ლენიკო, თურმე ჟურნალისტი ყოფილა, რომელიღაც სატელევიზიო არხზე... ეს კასეტა მისი რეპორტაჟია...

იქ, მოედანზე წვიმს. ალბათ, შიათ და სცივათ, სახლიდან შორს არიან. დგანან, იცავენ...

რას?

ღირსებას.

უცებ ვიღაცა მოვარდება ცხელი შოთებით. ხალხს ურიგებს.

მორიდებულად იღებენ. ხელებს ითბობენ პურით, ილუკმებიან, იცინიან...

აუ, საკო, ჩვენ რატომ არ ვიყავით მაშინ?

წვიმს, წვიმს, წვიმს...

არავინ იძვრის ადგილიდან.

მოაქვთ ცელოფნები. ერთმანეთს აწვდიან. თავზე იფარებენ, ჭიმავენ და თითქოს მთელი მოედანი შუშის კარვებით იფარება. ამ კარვებში კი ხალხი დგას ანთებული სანთლებით და გალობს!

ცა თქეშად მოდის, მაგრამ თურმე:

**„... შენ ისე ღრმა ხარ,**
**ქართულო ცაო,**
**შენ ისე ღრმა ხარ..."**

ჯარს კი ჩვენი ტოლები ია-ვარდებს ჩუქნიან.

ჯარი ხალხს შეუერთდა.

ამონაწერი ლენიკოს დღიურიდან:

**„2003 წლის 22 ნოემბერი, დილის 8 საათი.**

**სახლში დავბრუნდი. სამი დღე-ღამე პირდაპირი ჩართვები მქონდა მოედნიდან. ძალიან დავიღალე, რომ ვბრუნდებოდი, ხვალინდელი დღის მეშინოდა, სახლში შესვლისას უკან მოვიხედე, ჩემი აივნიდან მთელი ქალაქი ჩანდა:**

**თბილისს ციდან სვეტებად დაშვებული 7 ცისარტყელა ადგა.**

**... ხვალ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება... — გავიფიქრე".**

მერე ისევ ფირი, რომელიც წყდება. არაფერი ჩანს და უცებ საოცარი კადრი:

მოედანზე ქალები შეყრილან, რაღაცაზე წუხან, აღშფოთებას გამოხატავენ, საიდანღაც სახანძრო მანქანა ჩნდება, და ამ უსუსურ, დაუცველ ქალებს წყლის ჭავლს მიუშვერს.

შეშინებული ქალები აქეთ-იქით გარბიან, ტირიან...

**„შეშლილი სახით კიოდა ქუჩა"...**

და უცებ. ამ ჭავლს, გაშლილი დროშით ახალგაზრდა ბიჭი და მოხუცი კაცი გადაეფარებიან. წყლის ჭავლი მთელი ძალით ურტყამს დროშას. ბიჭი და მოხუცი სულ გალუმპულები არიან, მაგრამ შეუპოვრად დგანან.

თავიანთი სხეულით და დროშით იცავენ...

რას?

ღირსებას.

მეც მინდა იქ ყოფნა...

მოკლედ, ეგეთი რევოლუციონერი ბებია მყავდა...

ერთ კვირაში ოშკის რესტავრაციას ვიწყებთ.

P. S. **კასეტის ბოლოს უცნაური ჩანაწერია. გამოდის დიქტორი და აცხადებს:**

**— დღეს 2004 წლის 2 ივნისია, მთელ საქართველოში ქართული წერის გამოცდა ტარდება, გამოცხადებულია შემდეგი თემები:**

**— 1. ვაჟა-ფშაველას კაი ყმა.**

**— 2. გადაგვარებული აზნაურობა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში.**

**— 3. რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი.**

**— საკო. შენ ასეთ თემას დაწერდი ოდესმე?**

* * *

**წაველი, ოშკი მელოდება...**

**რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი...**

**სტამბოლი, 2070 წელი, ენკენისთვე.**

კინოკოლორიტები

# რეზო

„რატომ თაფლისკაცი?“ – პატარა ბიჭივით მეჯიუტება.

„არ მოგწონს?“

„სხვა სათაური მოიფიქრე“.

„სოფლის ამშენებელს ხომ არ დავარქმევ?“

„მაგ თვალსაზომით, როგორც შენ მსჯელობ, ეგ სათაურიც ივარგებს“.

„ერთ-ერთზე უნდა შევჩერდეთ“.

„თუ გინდა, ორივე სათაური დაუტოვე“.

„შენ თუ გინდა?!“

„ოჰ, დამაბნიე, მე ამ თამაშიდან გავდივარ. თვითონ დაასათაურე“.

„კარგი“.

„სანამ გაზეთში გამოაქვეყნებ, წამაკითხებ?“

„ვნახოთ“...

* * *

ეს დიალოგი რეზო მახათაძესთან მქონდა. რეზო კინოსტუდია „მემატიანეს“ შვილობილი ოპერატორია. შვილობილი-მეთქი, ამას იმიტომ ვამბობ, რომ თვითონაც არ ახსოვს, სტუდიაში როდის დაიწყო სამსახური, ერთია – აქ არ დაბადებულა, მგონია კი – კინოსტუდიაში აიდგა ფეხი.

ზუსტად ოცი წლის წინანდელი ამბავია:

1983 წელს წარმოებაში ჩაეშვა სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „მთავარი ნავსაყუდელი“, რომელშიც უნდა ასახულიყო ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის ანატოლი კაჭარავას ზღვაოსნური ცხოვრება, მოღვაწეობა, გმირული წარსული, ვის ჭეშმარიტად პატივსაგებ სახელსაც, მრავალ დამსახურებასთან ერთად, ბათუმის სანაოსნოს შექმნაც უკავშირდება.

მამულიშვილს რეზო თაბუკაშვილს აჩვენა. ბატონმა რეზომ კარგი ფილმის გამო კეთილი სიტყვა არ დაიშურა და რეჟისორს გულითადად მიულოცა. შემდეგ ოპერატორიც მოიკითხა, მაგრამ დარბაზში ველარ მოვიძიებთ.

„... ფილმი ხომ ფილმად მომეწონა, – ოთარ გურგენიძეს ეუბნებოდა რეზო თაბუკაშვილი, – სასწაულებრივი შთაბეჭდილება ზღვის პანორამულმა კინოკადრებმა მოახდინა ჩემზე. შენ, ჩემო ოთარ, შეგიძლია ოპერატორით იამაყო, ოპერატორმა კი – ნამუშევრით. ამ ყმაწვილკაცს თავისი საოპერატორო ხელოვნებით, მართლაც, აქვს დასაკვეხი. მთელი სიცოცხლე ხომ ხან თვითმფრინავში ვარ და ხან გემზე, ცისა და ზღვის მეტი რა მინახია, მაგრამ რეზო მახათაძის გადაღებულმა ზღვამ მომხიბლა და გამაკვირვა, მან ეკრანზე ზღვის სუნთქვა დამანახა“...

და პასუხად, ოთარ გურგენიძის სიტყვებიც მახსოვს:

„... ზუსტად ვიცოდი, რეზო მახათაძე ამ ფილმის ოპერატორად რისთვის ამყავდა. მოუსვენარი ფუსფუსა ბიჭია, დარწმუნებული ვიყავი, რომ თავისი ბუნებითა და ხასიათით მოულოდნელსა და საინტერესოს ჩაავლებდა თვალს. ღმერთის წყალობით, იმედი არ გამიცრუვდა და შედეგმაც გაგვიმართლა“.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორი მოუსვენარი, ფუსფუსა კაცია რეზო მახათაძე:

ქვეყანაში არეულობები როცა დაიწყო, სამაჩაბლო და აფხაზეთი ფეხით მოიარა. მარცხნივ ავტომატი ეკი-



კინორეჟისორი ოთარ გურგენიძე, ანატოლი კაჭარავას თანამებრძოლი, ყინულმჭრელ „როსიას“ კაპიტანი კოჩიევი, კინოოპერატორი რეზო მახათაძე.

ფილმის რეჟისორი ბრძანდებოდა ჩვენი ღვაწლმოსილი კინომოღვაწე, მრავალი საინტერესო ფილმის ავტორი, ცნობილი კინოდოკუმენტალისტი ოთარ გურგენიძე. ბატონმა ოთარმა ფილმზე კინოოპერატორად აიყვანა, სიტყვას – აიყვანა, ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებული დატვირთვა მინდა მივანიჭო და თუ რატომ და რისთვის, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, კინოოპერატორად აიყვანა – მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი რეზო მახათაძე.

კინოგადამღებ ჯგუფს წინ რთული სამუშაოების ჩატარება ელოდებოდა. ხანგრძლივი შორეული საზღვაო კინოექსპედიცია ითვალისწინებდა კინოგადაღებების წარმოებას – არხანგელსკში, მურმანსკში, შორეულ აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, ახალ მიწებზე. ასეთი სამუშაო კი ჯგუფის წევრებისაგან ფიზიკურ გამძლეობასთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვდა. უშურველმა თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და კინოექსპედიციიდან მდიდარი კინომასალით დაბრუნდნენ.

ფილმზე მუშაობა 1985 წელს დასრულდა. რეჟისორებს სჩვევიათ, ლაბორატორიიდან გამოტანისთანავე ფილმს ცხელ გულზე, უპირველესად, მეგობრებს აჩვენებენ. ოთარ გურგენიძემ კინოსურათი ჩვენს სახელოვან

და მხარზე, მარჯვნივ – კინოკამერა. ავტომატი ისე ატარა, ერთხელაც არ გაუსვრია, კინოკამერას კი დაღლამდე ამუშავებდა. გადაღებული კინო და ვიდეო-ქრონიკებით პირველი არხის ტელევიზიას ამარაგებდა. ამას წინათ, თავშეკავებით, მაგრამ მაინც დაიჩივლა კი – ჩემს გადაღებულ ქრონიკებს რა სახით აღარ იყენებენ, ენა მოუცვდებოდათ, ჩემი სახელი ერთგან, ერთხელ მაინც რომ ეხსენებინათო.

როცა საყოველთაო უმუშევრობამ დიდი სალამით დაგვიკრა თავი, რეზომ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, ოჯახს ვერ დავამშევო. რომელ სოფელში რა უტეხი ყამირები გაჭრა, მიწა დაამუშავა, თესლი ჩაყარა, შემოდგომაზე გარჯის ნაყოფიც ჯეროვანი მიიღო, თუმცა შემდეგ, გამართულ მეურნეობაზე მონადირე მოშურნენიც მალე გამოუჩნდნენ, ჯერ თვალი დაადგეს, მერე დაუფლების სურვილმა უკეთური ნაბიჯებიც გადაადგმევინათ...

ცოცხალ კაცს უქმად რა გააჩერებდა, ახლა ფუტკარი უნდა მოვაშენოო, თქვა და მოაშენა. მოაშენა და ღმერთმა გარჯა აქაც დაუფასა, თაფლით არჩენდა ოჯახს. მოსავალი თავისი სამყოფი ხომ ჰქონდა და ჰქონდა, ვინ გაჭირვებული ნაცნობ-მეგობარი და ავადმყოფი, წვრილშვილი თუ მიუსაფარი და მარტოხელა უნდა ყოფილიყო, განუკითხავი დარჩენოდა. მერე

კი – ადამიანების სიმუხთლემ კვლავაც იჩინა თავი და ახლა ფუტკრის მოშურნეებიც გამოუჩნდნენ...

ფუტკრის ბუნება მაინც ვისწავლე, ამ ღვთიურ მწერებზე ფილმის გადაღებას ვინმე თუ მოინდომებს, ჩემზე უკეთეს მრჩეველ-კონსულტანტს საქართველოში ბევრს ვერ იპოვნისო, გულდაწყვეტილი კი იყო, მაინც ჩვეული კეთილი ღიმილით ამბობდა ამას.

ბოლო თხუთმეტ წელიწადში დატრიალებულმა ბედუკუღმართობამ ჩვენი ქვეყანა დაანგრია და გააჩანაგა, გამართული ფაბრიკა-ქარხნები გაჩერდა, გაიძარცვა და განადგურდა, მთელი ეკონომიკა ძირეულად მოიშალა, და აბა, კინოს რაღა ხეირი დაეყრებოდა, დაჟანგული საკისარივით ერთ ადგილზე უძრავად გაიყინა. ოთხმოცდაათიანის შუა წლებში, რეზო მახათაძემ აიტეხა, უკვე ის დროჟამი და ასაკი დაგვიდგა, ჩვენმა თაობამ ქართული კინოს გადარჩენაზე ზრუნვა იკისროსო. აიტეხა და, ინტერვიუც კი დავუწერე და გაზეთ „ქართულ ფილმში“ გამოვაქვეყნეთ. უკმაყოფილო კი დამრჩა, ჩემი სათქმელი ბოლომდე ვერ გადმოეციო, მისაყვედურა. მაშინ ისე გამოვიდოდა, თითქოს რეზო ჩხეიძეს უპირისპირდებოდი-მეთქი. გაიცინა, მაშინ ისეთი დრო იყო, რეზო ჩხეიძეს აქეთ უნდოდა გვერდში დადგომა, თორემ მისი სახელი და მტკიცე ხასიათი რომ არა, რაც ომსა და ვაგლახს გადაურჩა, ესეც აღარ შეგვრჩებოდაო.

არადა, მართლაც, იმ პერიოდში, 1996 წელს იყო, ქართველი კინემატოგრაფისტების ერთ გარკვეულ ნაწილს სენივით მოეძალა ბატონ რეზო ჩხეიძესთან დაპირისპირება და ურცხვი ქმედება, მის წინააღმდეგ დალაშქრულები ათას ბინძურ ხერხს მიმართავდნენ. და სამწუხაროდ, ესენი იყვნენ საზოგადოებისათვის ცნობილი სწორედ ის ადამიანები, ვინც ჩხეიძის სახელს, როცა სათავისოდ სჭირდებოდათ, მთელი ცხოვრება იყვნენ ამოფარებულნი, ლაქუცით მამასა და მამამარჩენალს ეძახდნენ, გადამწყვეტ მომენტში კი ფეხქვეშ მიწას აცლიდნენ.

აზრის აკვიატება იცის რეზო მახათაძემ, რაღაც საკეთებელს დაიჟენს და იმ იგავისა არ იყოს, არ გაჩერდება, სანამ ბოლომდე არ გამოთხრის, ვინ კი იცის „რას“, გვირაბის ბოლოს რომ ელოდება. სამი წლის წინათ, ზამთარში, სტუდიის წინ შემხვდა და შემომჩივლა:

„... დიახ, მე კვლავაც ვიბრძვი, მთავრობისა და ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას ვცდილობ, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების სათქმელი მივაწოდო. მხატვრულმა კინომ შეიძლება ორიოდე წელი, მართლაც, მოითმინოს, მაგრამ დოკუმენტური კინო თმენა-დაყოვნებასა და დროის უქმად კარგვას ვერ ჰგუობს. ჩვენი სტუდია მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ გაჩერებულა. ჩვენი სახელოვანი კინოდოკუმენტალისტები – შალვა ჩაგუნავა, შალვა შიოშვილი, არტურ პოლოსოვი, არჩილ ფილიპაშვილი, ლევ არზრუმანოვი, სამშობლოში ფრონტის მოწინავე ხაზებიდან გზავნიდნენ კინოქრონიკებს, დღეს კი – ქართული ქარიშხლიანი წლების მატიანე, სწორედ ჩვენივე ახალ-ახალი მთავრობებისა და ხელისუფალთა უგულვებელყოფის წყალობით, თვალსა და ხელს შუა გამოგვეპარა დღევანდელ კინოდოკუმენტალისტებს. ვაგლახ, ბევრს ვერაფერს ვუტოვებთ შთამომავლობას“.

ვიმეორებ, ამას სამიოდე წლის წინათ მელაპარაკებოდა რეზო მახათაძე, დღეს კი, ეს ამბავიც მატიანეს ეკუთვნის უკვე.

რეზო ორიოდე კვირის წინათ შემხვდა ძველ სტუდიასთან, აღელვებული იყო, რა მოხდა-მეთქი, ვკითხე. დოკუმენტური ფილმების სტუდიის დღევანდელი სავალალო და ხვალინდელი კითხვის ნიშანზე დამოკიდებული ბედი მაღელვებსო, მითხრა. მე თავის დროზე, მარტო ამ სტუდიაში სამოცზე მეტი ფილმი მაქვს გადაღებული. ჩვენი შემდგომი თაობების რეჟისორ-ოპერატორებს კი, უკვე ჭაღარაც ისე მოეძალათ, თითო საკურსო ფილმის მეტი არაფერი გადაუღიათ, ზოგს ისიც არა. ჩვენი დარგის მდგომარეობა ასე თუ გაგრძელდა, კინოკამერასთან ვერც ვერასოდეს დადგებიან.



კინოოპერატორი რეზო მახათაძე.

ვისი იმედი გაქვს-მეთქი, ვეკითხები.

რეზოს ზოგადად ხმამაღალი ემოციური ლაპარაკი სჩვევია, და როგორც ხშირად, ახლაც, ემოცია სჭარბობს მის პასუხში:

„... სტუდიის ახალ დირექტორთან ერთად საკუთარი თავის იმედი მაქვს და მეტი არავისი. დირექტორად კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი მოვიწვიეთ. იცნობ, ნიჭიერი, ენერგიული კაცია, კარგი ორგანიზატორი და საინტერესო პიროვნება. მონდომებულია, რომ სტუდია ფეხზე დადგეს, წელში გაიმართოს და ამოქმედდეს, მაგრამ პრობლემებია აქ დიდი და ძველი, რთული და შეუვალი, ხელუკუღმართ შინაურთა თუ გარეშეთა მავნებლობით სავალალო მდგომარეობამდე დაყვანილი. გვინდა, რომ ამ პრობლემებს რაც შეიძლება მოკლე დროში მოვერიოთ. ვცდილობთ, იქნებ – როგორმე, ამ მთავრობასა და ხელისუფლებას მაინც გამოვგლიჯოთ ხელიდან ორიოდე გროში, თუნდაც იმდენი, პირველ ეტაპზე სტუდიის საუკუნეზე მეტი ასაკის შენობას ხელი შევაშველოთ. ეს დაბზარულ-დახეთქილი კედელ-ჭერი თავზე რომ არ ჩამოგვექცეს და ვინმე მსხვერპლად არ შეიწიროს. ნათელია, ძნელი საცალფეხო ბილიკი გვაქვს ხრამზე გასავლელი. კაცი თუ მოიწადინებს, ყველა წინააღმდეგობას დაძლევს, მაგრამ „მესამე ხმა“ მაინც საჭიროა, რომ ჩვენი სამსახურებრივი პროლემატური საწუხარიდან, ორიოდე სიტყვა-სათქმელი მაინც, როგორმე ჩვენთვის ჯერაც ხელმიუწვდენელ „ხელმწიფეთათვის“ გახდეს მისაწვდენი, მერე კი, რა ვიცი, მერე...“

ამას წინათ, აპრილის თვის ქარიან დღეებში, კინოსტუდია „მემატიანეს“ დაბზარულ-მოყანყალებულ კედელზე „მეორე ხმა“ დავინახე, ფანჯრის დამპალ ფრთას როცა ლურსმავდა. გვერდით, გაყოლებაზე კი, გულმადლიანი ადამიანის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის კეთილშობილებითა და კეთილნებაობით ნაბოძებ-გამომეტებული ქველმოქმედების წყალობით კაპიტალურად გარემონტებული კინომსახიობთა თეატრი ხიბლით მჭრიდა თვალს.

თეატრიდან მზერა ისევ ჩვენი ძველი კინოსტუდიის ხანდაზმული შენობის ყავლგასულ ფანჯარაში გადმომდგარი „მეორე ხმისკენ“ გამომექცა:

„რეზო, ამ ქარაშოტში მანდ რას აკეთებ, კაცო?“ – მეგობარ კაცს, უსალმოდ – მაგრამ, იუმორნაჯერი მზრუნველი ღიმილით ვკითხე.

ვკითხე და, ჯიუტის ჯიუტმა პასუხმაც არ დააყოვნა:

„რა, ვინმეს ვუშლი?.. თუ ვაკეთებ, ჩემს საკეთებელს ვაკეთებ, სხვას არა!“

**რომან ამირეჯიბი.**

თაობა

## ვინ იყოჩაღა წლეულს «პატარა ვირტუოზებიდან»

**თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზმა მაყურებლები ველარც კი დაიტია. ათი წლის წინათ შექმნილმა პროგრამამ „ესტრადაზე არიან პატარა ვირტუოზები“ განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვა საზოგადოებაში. ამ კონცერტებში თბილისელ ვირტუოზებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოსული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები.**

ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა დებიუტი ქალაქ დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიელებისა, რომლებმაც შეასრულეს ბერძნული ცეკვა „სირტაკი“ (ხელმძღვანელები: ცირა ალბუთაშვილი და რომან ჯაჯანიძე, სკოლის დირექტორი თამარ ბაღაშვილი).

მაყურებელთა გულწრფელი ტაში დაიმსახურა ამავე სტუდიის სოლისტების ნათია ნატროშვილისა და უჩა იაკობიშვილის მიერ შესრულებულმა ცეკვამ „მოხევური“.

რაიონის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი ლევან ხუნაშვილი) წელს მესამედ წარდგა ხალხური ცეკვების კომპოზიციით „აჭარული“, „მთიულური“.

კომპეტენტურმა ჟიურიმ წლეულს გამარჯვებულად ცნო: ყვარლელი სოფო კანდელაკი ნომინაციაში – საუკეთესო მომღერალი, საუკეთესო ვოკალი. მანვე მოიპოვა მაყურებელთა სიმპათიის პრიზი;

გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის სამუსიკო სკოლის მოსწავლე გიორგი ბეროშვილი ნომინაციაში – საუკეთესო ქართული საოპერო მუსიკის შემსრულებელი.

ქ. თბილისის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამეფო“ (ხელმძღვანელები სუხიშვილების ეროვნული ბალეტის ყოფილი სოლისტები რუსუდან ჭრიკიშვილი და სოსო დეკანოიძე). ზემოხსენებულ მონაწილეებს გადაეცათ გრან-პრი.

პირველი პრემია მიენიჭა საუკეთესო უცხოური სიმღერების შემსრულებელს თეონა მეტრეველს (თბილისი), მეორე პრემია – კომპოზიტორ რუსუდან ჩხაიძის სიმღერების საუკეთესო შემსრულებელს მიშიკო მაჭავარიანს (თბილისი), მესამე პრემია – საუკეთესო ებრაული სიმღერების შემსრულებელს ლიკა ნასინს (თბილისი).

ბავშვთა ფილარმონიის წევრები გახდნენ ვოკალური ანსამბლები „ბატიბუტი“ და „მუზა“ (მუსიკალური ხელმძღვანელები ნუნუ მღებრიშვილი და ია ბერიძე-გოგოლიძე).

სოლო შემსრულებლებსა და მუსიკალურ ხელმძღვანელებს მიულოცა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა საქართველოს ბავშვთა ფილარმონიის პრეზიდენტმა და მთავარმა რეჟისორმა ლანა საყვარელიძემ.

„პატარა ვირტუოზების“ კონცერტს უძღვებოდნენ ინგა ბერაძე და გიგი გეგელაშვილი.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ალიართალი-გალიართალი

# ხოჯყ—ო, ჩუმო ხოჯყ—ო...

## ნათლიმამა

გზაზე ნათლიმამა გამოჩნდა. კომბალივით გრძელი ჭოკი ეჭირა. „კაცი ამას არ ერჩის და ძაღლი. ნეტავი, რად უნდა?“ — წუხელ არ მძინებია, კაცო! ამ არჩევნებმა სულ გადამრია, — დაიწუწუნა მოსვლისთანავე, — ამას (ჩემზე ამბობს) ხელი უკვე ჩამოვართვი, შენ — არა, — და მარჯვენას უწვდის გურამს. მე და ის თანაკლასელები ვიყავით. არტო მენთეშაშვილი ერთი გამურული ვინმე იყო, სულ გათხუპნუ-



ლი ცხვირ-პირით დადიოდა — ჩხირკედელაობა უყვარდა. სწავლით კარგად სწავლობდა, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილი სულ სხვისი წიგნებით გადიოდა იოლას.

— ერთხელ სამელნე არა მქონდა და კალამი სულოს სამელნეში ჩავაწე. იმან ღრიალი მორთო. მოვიდა მასწავლებელი და გამილაწუნა...

სკოლა რომ დაამთავრა, უმაღლესისკენ აღარ გაუხედავს — ცხოვრებამ ჩაითრია. იმის გაუკეთებელი არაფერი იყო. ტრაქტორიც უყვარდა და მანქანაც. ოცდახუთი წელი მარტო „ალაზანმშენში“ იმუშავა, ათი — მეურნეობაში. ახლა თავის კარ-მიდამოს უვლის. ორი ტონა ყურძენი დავკრიფეო.

— ყოჩაღ შენ! ორი ტონა ცოტა არ არის...

— ერთი ველისციხელი იყო, დაუნთ შაქროს ეძახდნენ. ვიღაცას რამე-რუმეებით გატენილი ხურჯინი ყვარელში ორნახევარ მანეთად წაუღო, იქიდან კი ლილეინკით დაბრუნდა და ხუთი მანეთი გადაიხადა. ჩვენც ეგრე ვართ — რასაც ვხარჯავთ, იმასაც ვერ ვინაზღაურებთ.

— კაცო, ბალღობაში დიფას გეძახდნენ, ეხლა ყველას პირზე ნათლიმამა აკერია. რაშია საქმე?

— ესეც ყველას ნათლიმამას ეძახის. ჰოდა, ზედსახელად ლობიოს ფოთოლივით ნათლიმამა მიაწებეს.

სამივენი ვიცინით.

— წეღან არჩევნები ახსენე. რა, არ მოგწონს, რასაც გპირდებიან?

— გაიცი მაგათი! ველისციხეში მამიდა მყავდა. ბაზარში რო გადავაწყდებოდი, ცა გაეხსნებოდა, მომიგურგურებდა, სად დამეკარგეო. ნავაჭრი ჰქონდა შინ წასაღები და იმიტომ. მივუტანდი თუ არა, ეზოს კართანვე ისე დამცილდებოდა, თითქოს დაქირავებული მუშა ვიყავი. ეგენიც იმასა ჰგვანან. ვჭირდებით და გვეფერებიან. როგორც კი თავისას გაინაღდებენ, მაშინვე ფეხებზე დაგვიკიდებენ... მაგათი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია, დავიცვალე... ეხლა თქვენ გეჩქარებათ, თორემ მაჭარზე დაგპატიჟებდით. წავალ, ქვევრს დავურევ, — წამოდგა ნათლიმამა და იმ გრძელი ჭოკის კაკუნით გზას გაუყვა.

## საწამლავი

— ტარიელი გაცივდა, წყალში ჩავარდა, გულმა უმტყუნა, მარა გადარჩა. ქვისლმა სამაღარიჩოდ კახეთიდან რქაწითელი გამოუგზავნა. სუ შხეფებს ისროდა. ტარიელმა დეკეული დაკლა და მეზობლებს დოუძახა. მევიდნენ, მარა რა მევიდნენ — შინ ბოვში არ დოუტოვებიათ. გაჩაღდა სმა. კი გაგვაფრთხილა ტარიელმა, ჭიქებს დოუკელით, თვარა მაგარი ღვინოაო. ვინ დოუჯერა! ნაკლულმა ჭიქამ თვალის კლება იცისო, ბრძანა თამადამ. ერთ საათში სუფრა ყვავილივით გედეიშალა. მთელი საღამო სტუმრების გაცილება-დაბინავებაში ვიყავი.

გათენდა დილა. ვინც მევიდა, ყველას თავი აქვს წაკრული. — რა დაგემართათ, ხალხო, — გვეკითხება ქორია. — რა და, ტარიელის ქვისლს რო დეექცეს ოჯახი! კახეთიდან სამაღარიჩო ღვინო გამოგზავნა. ღვინო კი არა, საწამლავია! თვითონ გადარჩა, ჩვენ კი დაგვაქცია და დაგვანელა. კაცი აღარ დატოვა ფეხზე. ღვინოს კი ვსვამთ ყოველდღე, მარა ასეთ დღეში არასოდეს ჩავვარდნილვართ...

— მიჩვენეთ, რავარი ღვინოა, — გვითხრა ქორიამ. — დოვუსხით. დალია და ჭიქა ისევ გამოგვიწოდა.

— ამ ღვინოს, ბიძია, დაფასება და პატივისცემა სჭირდება, მარა, თქვენ რა იცით...

ეს ოხერი ქორიაც იმ საწამლავზე არა ყოფილა გაჩვეული?

## დაგვიანებული აღსარება

ლელ-მამა ქალაქში წავიდა, მე და ბებო მარტონი დავრჩით.

— ხვალ, უთენია, ახოში სიმინდის გასამარგლად უნდა წავიდე. ლობიოს დაგიტოვებ, დილით ღუმელზე შემოდგი. საღამოს მოვალ და შევკმაზავ, — მითხრა ბებომ.

დილით წავიხემსე და ტოლებში გავიქეცი. მთელი დღე ისე დავაღამე, ბებოს დანაბარები არ გამხსენებია.

— რა ჰქენი, ლობიო მოხარშე? — მკითხა საღამოს დაღლილ-დაქანცულმა.

თავი ჩავკიდე. აბა, რა მეთქმოდა?

— არა უშავს, დღეს როგორმე იოლას გავალთ, ლობიოს კი ხვალ მოვხარშავ, — დამამშვიდა ბებომ, ჩამოჩხრიმლებული ხელებით კარადიდან შოთიპური გამოიღო და უკბილო პირით ლოღნა დაუწყო.

ო, ჩემო ტკბილო ბებო! ნეტავი იმ საღამოს თმით გეთრიე და საკადრისად გამოგელანძღე! მაგრამ შენ ასეთი რამ რომ არ გეხერხებოდა? იქნებ ასე მწარედ აღარ დამამახსოვრდებოდა ის საღამო, რომელიც, აგერ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, გულზე მაჯლაჯუნასავით მაწევს.

მიშველის კი ეს დაგვიანებული აღსარება თუ მონანიება?

## ცასუყურეს სამართალი

სამოცდაოთხი წლის ზაფხულია. უნივერსიტეტიდან თელავის რაიგაზეთის რედაქციაში პრაქტიკაზე გაგვაგზავნეს. ეს ის დრო იყო, ნიკიტა ხრუშჩოვმა შავი პური სანატრელი რომ



გაგვიხადა. ნათესავების შეწუხებას მოვერიდე და ახალშერთულ ცოლთან ერთად პატარა ოთახი ვიქირავე.

ერთხელ პური ვერსად ვიშოვე. გვიანი იყო და ბაზარში წასვლასაც აზრი არა ჰქონდა. მეორე დღეს რედაქციის მუშაკებს ჩემი გასაჭირი შევჩივლე. შეწუხდნენ. იმავე საღამოს ნუნუ მატარაძის მეუღლემ, ვიქტორ კოლელიშვილმა სამი თუ ოთხი გამტკიცული შოთი მომიტანა. მაგრამ ყოველთვის ის ხომ არ მომამარაგებდა?

ძველი სასტუმროს უკან, სადაც მოგვიანებით სურათების გალერეა გახსნეს, პურის პატარა მაღაზია იყო. გამყიდველს სახეზე თეთრი ლაქები აჩნდა, ამიტომ „შავჭრელა“ შევარქვი. პურს წაღმა-უკუღმა არიგებდა და თითქმის ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებულს მტოვებდა. არანაირმა თხოვნამ არ გასჭრა...

— ეგრე მოგიხდებათ, თქვე ჩემანალებო, თქვენა! პურს ძროხებსა და ღორებს რო აჭმევდით, მაი რა გეგონათ, ღმერთი გაპატიებდათ?

მოვიხედე. ერთი დაბალი, დაგვალული კაცი დგას და ქოქოლას გვაყრის. თავი ცისკენ აქვს აღერილი, თითქოს ვარსკვლავებს ეძებსო.

— ვინ არის? — ვიკითხე.

— ვინა და — ცასუყურე, — ჩაიბურტყუნა ჩემსავით ხელმოცარულმა ხნიერმა მამაკაცმა. — ეგრე შეარქვეს, რადგან თავი ბალღობიდან ეგრე ადევს მხრებზე და სუ ცაში იყურება.

## რა სჭირდება სიხარულს?

იმერეთის შორეული სოფლიდან ჟურნალმა „საქართველოს აგიტატორმა“ საჩივარი მიიღო. დურეველი რესპონდენტი დახმარებას ითხოვდა. რედაქტორმა დავით კაკაბაძემ მივლინებაში მე გამაგზავნა. შუაგული ზამთარია. საჩხერეში თოვლი მუხლამდე დევს. რაიკომში მითხრეს, ამ სოფელში ახლა ეშმაკიც ვერ ავაო. ჩემს დაჟინებას მაინც პატივი სცეს და არგვეთში თუ გორისაში ტრაქტორი დაგვახვედრეს. ტრაქტორმა გვარიანად იბღუილა, ვიდრე მერცხლის ბუდესავით სოფელში ავიდოდით. დღესაც თვალწინ მიდგა იმ რესპონდენტის გაოცებული და გახარებული სახე. მაღალი, ხმელხმელი, ასე, 50-60 წლის მამაკაცი იქნებოდა. გვიყურებდა და თითქოს თვალებს არ უჯერებდა, რომ ამ ყიამეთში თბილისელმა ჟურნალისტმა მისი წერილის გამო ჩამოსვლა ინება.

— ნურაფერს, ერთ სტრიქონსაც ნუ დაწერთ, ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ შეწუხდით და დამაფასეთ, — გამომიცხადა. მერე მოგვკიდა ხელი და მე ჩემს თანამგზავრს — რაიკომელ მეგზურს და შინ შეგვიყვანა. თან ბოდიშობდა, მეუღლე საქმეზეა წასული და მარტო ვარო. გადასძახა მეზობელს, მომეხმარეო, და ათიოდე წუთში ზღაპრული სუფრა გაგვიშალა.

ვსვამდით იქნებ სულაც „ქიმიურ მაჭარს“ და ერთმანეთს ქვეყნის სიყვარულს ვეფიცებოდით. საოცარი იყო განწყობილება — სუფთა, უხინჯო, ალალი და ძალდაუტანებელი. გვარიანად შებინდებულზე დავემშვიდობეთ მასპინძელს და საჩხერეში სრიალ-სრიალით ჩამოვაღწიეთ.

## ერთგულება

მეო, მითხრა ერთმა კალელმა მოხუცმა, აი, იმის მადლი მაკავებს აქ, და მაღალ მთაზე წამომართული ეკლესიისკენ გამახედა. — მეც და ჩემი მონაგარიც იქ უნდა დავიმარხოთ. ეს რომ არა, მთელი ქვეყანა შემოვლილი მაქვს და ძალიანაც კარგად ვიცი, სად უფრო იოლია ცხოვრება...

## „კუკუ“

ომის მერე ჩვენს სოფელში სამათხოვროდ რამდენიმე კაცი დადიოდა. ყველაზე კარგად შაშიანელი ივანე დამამახსოვრდა. ხანდაზმული იყო, წელში გვარიანად მოხრილი. ცალ ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა, მეორეთი ზურგზე მოგდებულ ჭუჭყიან ტომარას იმაგრებდა. ისე მოგვეჩვია, უბნის ძაღლებიც კი არ უყვეფდნენ.

მოდგებოდა ჭიშკართან და შინაურივით დაიძახებდა. მის გამოჩენას ყოველთვის ჟივილ-ხივილით ვეგებებოდით. გარს შემოვეხვეოდით და „კუკუ“ დაიძახეო, ვთხოვდით. ისიც არ დაახანებდა და ჩვენც კისრისტეხით გავრბოდით, რათა პურის ან მჭადის ნატეხები გამოგვეტანა... სხვა არა გვებადა-რა...

ახლა არც მეტროში ჩასვლა მინდა, აღარც ქუჩაში გავლა, სადაც ყოველდღე ხურდავდება ადამიანის თავმოყვარეობა, და სადაც ყველა ხელგაწვდილი დგას, ვისაც არ ეზარება...

## აი, თურმე, რისი ეშინია!

სიღნაღის უნივერსიტეტის ხუთი წლისთავია. ოფიციალური ღონისძიების დაწყებამდე ფოიეში ვდგავართ და ვმასლაათობთ. შემოდის მთასა-



ვით ახალგაზრდა, დოცენტ გიზი ფაშალიშვილს თავდახრით ესალმება და გზას განაგრძობს. დერეფნის კართან წელში იხრება და ისე შედის.

— მეგონა, თავს ჩემი პატივისცემით აკანტურებდა. თურმე, ეშინია, ჭერს არ ავარტყაო, — გაიცინა ბატონმა გიზიმ.

## სანდრო პაპას სადღეგრძელო

სანდრო პაპას ერთი უცნაურობა სჭირს. სადაც უნდა იყოს, როგორ ხალხში და სუფრაზეც უნდა მოილხინოს, შინ დაბრუნებული მარანში შევა, ჭიქაში ღვინოს დაისხამს, პირჯვარს სასოებით გადაიწერს და იტყვის:

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გამიძლიერე ქვეყანა, დაალაგე აწეწილი ცხოვრება! — და ნათქვამს ბეჭედსაც დაჰკრავს — ამინ!

სანდრო პაპას ეს საიდუმლო მთელმა ოჯახმა კი არა, სოფელმა და სანათესაომ იცოდა. ზოგს ართობდა მოხუცის ეს ახირება, ზოგიც ქირქილებდა, ღვინო ვერ იკმარა და ასე იმიტომ იქცევაო.

დაუდარაჯდა ერთხელაც უმცროსი ბიჭი. ის იყო, სანდრო პაპამ სადღეგრძელო ჩაათავა და ჭიქა პირთან უნდა მიეტანა, რომ ბიჭმა ჩამრთველს თითი დააჭირა. მარანი გაბდღვრიალდა. მოხუცს მოულოდნელობისგან ჭიქა ხელში შეაცივდა.

— გაამოს, მამი!

— რო დაიბადე, თოფი დავცალე, ბიჭი შემეძინა-მეთქი. ის თოფი ჩემთვის მესროლა, არ მერჩივნა? — თქვა სანდრო პაპამ და ჭიქა ცივად დადგა.

**ელგუჯა ლებანიძე.**

---

## ორშაბათი
### 14 ივნისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**სოლედადი**" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" (პარიზი) **15.20** ფორმულა-**1** (ვიდეოჩანაწერი) **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** ფორმულა-**1** (ვიდეოჩანაწერი) (გაგრძ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "**უშიშართა ახალი თავგადასავალი**" **18.45** "ევრო-**2004**" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "**ევრო-2004**" (**დანია-იტალია**) **23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-**20** საუკუნე" **00.40** მხ. ფილმი "**ინდოჩინეთი**" (15)

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "**ეშმაკუნა**" (U) **21.00** ეგვიპტოლოგიის პიონერები **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "**დორიანი**" (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **09.40** სერიალი "**შურისძიება**" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "**დანდი მეტსახელად ნიანგი**" (U) **15.20** სერიალი "**სასწრაფო**" **16.25** სერიალი "**მაშველები**" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუტები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "**შურისძიება**" **22.00** სერიალი "**უკვდავი**" **23.00** ღამის კურიერი **23.45** **ევროპის ჩემპიონატი**. "შვედეთი" – "ბულგარეთი" **02.00** მხ. ფილმი "**სასიკვდილო იარაღი**". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, დენი გლოვერი. (U).

**18.00** სერიალი "**გრაფინია დე მონსორო**" **1**-ლი ს. **18.55** მულტფილმი **20.10** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "**სამურაი**" (18)

**06.00** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **08.30, 11.20, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **09.00** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "**კლონი**" **13.25, 01.30** **ტვ**-მარკეტი **14.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "**ტყუპები**" **19.35** სერიალი "**კლონი**" **20.30** ქართ. სერიალი "**სხელი ძალლი-2**" მე-**5** ს. **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "**ჩემი მეგობრის ქალი**" (U)

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "**ველური მთვარე**" **11.10, 20.50** მინისერიალი "**ნიურნბერგი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "**პოლიციელთა ამბები**" **13.10** მხ. ფილმი "**მეხუთე ელემენტი**" (U) (მილა იოვოვიჩი) **15.10** სერიალი "**მარია ემილია**" **16.10** სერიალი "**მერლინი**" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "**ველური მთვარე**" **20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "**იაკუძა**" (ტაკაში შიიკე) (18)

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

**10.00** მულტფილმი **12.00 20** სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "**უკანასკნელი მოჰიკანი**" (U) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "**მუსკულები**" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "**შემოდგომა ნიუ – იორკში**" (რ. გირი) (U) **22.00** სერიალი "**მუსკულები**" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "**რუხი ზონა**" (დ. არკეტი) (18)

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "**პაერის კვირტი-4**" **10.30** მუსიკა **10.45** კომედია "**მე-6 მოთამაშე**" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** თრილერი "**ჯაშუშური თამაშები**" **14.50** მუსიკა **15.00** მელოდრამა "**მერლინი და მე**" **16,45** მულტსერიალი "კატა ლეოპოლდი" **17.20** სათავგადასავლო ფილმი "**უკანასკნელი რაინდი**" **1**ს. **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხატვრული ფილმი "**გოთიკა**" **21.00** კომედია "**მანიტუს მაკატუნები**" **22.20** მუსიკა **23.00** საარჩევნო პროგრამა "არჩევნებამდე" **00.00** მხ. ფილმი "**მზის ცრემლები**" **02.20** ისტორიული ფილმი "**ტიტუსი-რომის მმართველი**"

## სამშაბათი
### 15 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი "რვაფეხა-4" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 "ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 "ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 "ევრო-2004" (ჩეხეთი-ლატვია) 23.20 "მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "ჯერი და ტომი" (12)

19.00 მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი "ეშმაკუნა"(U) 21.00 პალიტრა 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი "წითური" (U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.15 მხ. ფილმი "თეთრი გრიგალი" (12) 15.20 სერიალი "სასწრაფო" 16.25 სერიალი "ალფი" 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. "გერმანია" – "ნიდერლანდები" 02.00 მხ. ფილმი "ცეცხლის ქალა". მთ. რ-ში: მ. მაკონახი, (18).

18.00 სერიალი "გრაფინია დე მონსორო" 18.55 დოკ. ფილმი 19.40 კონცერტი 21.40 მხ. ფილმი "ოლივერი" (12)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 07.30 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "ტყუპები" 11.05 "იმედითა შენითა" 11.30 სპ. პროგრამა "გოლი" 12.10 სერიალი "კლონი" 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 მხ. ფილმი "ჩემი მეგობრის ქალი" (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" 21.30 ლარის მახე 23.00 "ერთხელ ჰოლივუდში" 23.30 მხ. ფილმი "დაუპატიჟებელი სტუმარი" (ნ. კინსკი) (12)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი "მახე" (U) (შონ კონერი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "მერლინი" 17.10 მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი "არგაი" 18.10 მულტსერიალი "კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "ქალზე ნადირობა" (18)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 "საქმე და ეკონომიკა" 18.00 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე (განმ). 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "ნიღაბი" (ჯიმ კერი) (U) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "მოგზაურობა ამერიკაში" (ედი მერფი) (U) 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "თვითმკვლელობის მეფეები" (18)

08.30, 02.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 ისტორიული ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" 11.35 დოკუმენტური ფილმი 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია "მოჩქარეს მოუგვიანდეს" 14.30 მუსიკა 14.40 თრილერი "ბაიკერები" 16.45 მულტსერიალი 17.45 სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 ს. 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 18.50 მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" 21.00 მუსიკა 21.05 კომედია "არჩევანი თქვენზეა მადამ" 23.00 საარჩევნო პროგრამა "არჩევნებამდე" 00.00 მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" 02.20 თრილერი "ბლეიდი" 04.20 კომედია "კანადური ბეკონი"

## ოთხშაბათი
### 16 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 15.20 სერიალი "რვაფეხა-4" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 17.00 მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 "მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 "ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 "ევრო-2004" (საბერძნეთი-ესპანეთი) 23.20 "ღამის მატარებელი" 00.20 ვიდეო "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.40 მხ. ფილმი "პიანისტი" (15)

19.00 მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი "ეშმაკუნა"(U) 21.00 დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები "ბაგრატიონი"(U)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.15 მხ. ფილმი "მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ"(U). 15.20 სერიალი "სასწრაფო" 16.25 სერიალი "ალფი" 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "ნათლია" 23.00 ღამის კურიერი 23.45 ევროპის ჩემპიონატი. "რუსეთი" – "პორტუგალია" 02.00 მხ. ფილმი "ჩიხში". (18).

18.00 სერიალი "გრაფინია დე მონსორო" 18.55 დოკ. ფილმი 19.50 კონცერტი 21.30 მხ. ფილმი "შიშის საფასური" (15)

06.00 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 08.30, 13.15, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 09.00 "იმედის" დილა 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 10.10 სერიალი "ტყუპები" 11.05 "X-კლუზივი" 12.10 სერიალი "კლონი" 13.25, 01.35 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" 15.15 ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15 ქრონიკა 17.25 "პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" 21.30 "პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი "წყვდიადი" (18) 01.35 არტ-ბულვარი

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" 13.10 მხ. ფილმი "მუშკეტერი" (U) (კეტრინ დენევი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" 17.10 მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი "არგაი" 18.10 მულტსერიალი "კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" (15)

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მუსიკა 19.20, 21.00 სპექტრი 23.00, 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" (მეთ დეიმონი) (12) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "ნოტინგ-ჰილი" (ჯ. რობერტსი) (U) 22.00 სერიალი "მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "ვარდნის სიჩქარე" (12)

08.30, 01.30 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სათავგადასავლო ფილმი "განძის მაძიებელნი" 10.35 მუსიკა 11.00 მხ. ფილმი "ფესალიელი გოლიათი" 12.20 მუსიკა 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 ბოევიკი "ბაზა" 14.10 მუსიკა 14.20 კომედია "როგორ მოვიცილოთ თავიდან მამაკაცი 10 დღეში" 16.10 მულტფილმი 16.45 ისტორიული ფილმი "ახალგაზრდა აივენჰო" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმცჯიო გამოშვება "ნოვოსტი" 18.50 სათავგადასავლო ფილმი "ფათერაკების მაძიებელნი" 21.00 დრამა "სამხედრო ექიმი" 23.00 წინასაარჩევნო პროექტი "არჩევნებამდე" 00.00 თრილერი "ჩამუშვები" 02.00 დრამა "სიკვდილისწინა სურვილი" 03.30 დეტექტივი "თეთრი ძაღლის სიზმარი" 05.25 მუსიკა

# განცხადებები

**საქართველოს პრეზიდენტის მ/წლის 18 მაისის № 171 ბრძანებულების შესაბამისად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, ათი დღის ვადაში, მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე:**

**კრწანისის ქ. № 49. ტელ: 99-93-42.**

---

**საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 18 მაისის №171 ბრძანებულების შესაბამისად, ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის წყნეთის სამთავრობო აგარაკების ლიკვიდაცია.**

**დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, ათი დღის ვადაში მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას, მისამართზე:**

**დ. წყნეთი, აღმაშენებლის 59, ტელ: 22-82-58.**

**სალიკვიდაციო კომისია.**

ვაიმე, ენავ!

# „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...“

ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“

- მაყურებელს ვუსურვებ, ისეთი **ტელევიზია ყოლოდეს... (ტელევიზია ჰქონოდეს!)**
- ნინო, დაგასწრებ და **დავაანონსებ** შემდეგ გადაცემას **(ჩვენი ტელედიქტორები განაგრძობენ ახალი ზმნების „წარმოებას“. მალე, ალბათ, შემოგვთავაზებენ „დავადეფიციტებ“, „დააფორუმეთ“, „გაანონსენსეს“ და სხვა. არადა, ასე შეიძლებოდა: „ნინო, დაგასწრებ და შემდეგ გადაცემას მე გამოვაცხადებ).**
- ჩემგან ამის **თქმა რთულია (თითქოს „რთული“ და „ძნელი“ ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ მაინც თავისი „დანიშნულება“ აქვთ. ჩვენს მაგალითში, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა „ჩემგან ამის თქმა ძნელია“.**
- თქვენი **დამოკიდებულება** იმ მოვლენების **შესახებ (გულსატკენია, რომ ზოგიერთი ტელეწამყვანის უწიგნურობა აქამდეა დასული... სწორია „დამოკიდებულება მოვლენებისადმი“, ან „დამოკიდებულება მოვლენების მიმართ“).**

# მიწვევა ტენდერზე

1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160, გაგარინის ქ. 29ა, აცხადებს ღია ტენდერს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზების 27 კმ-ში საინფორმაციო ელექტრონული ტაბლოს დამზადების, მისი მონტაჟის, ექსპლუატაციაში გაშვების, პერსონალის ტრენინგის, სათადარიგო ნაწილების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება.

ელექტრონული ტაბლოს განლაგება და მონტაჟი ითვალისწინებს:

– მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის ჯვრის უღელტეხილის მონაკვეთზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სადღეღამისო მოძრაობის რეჟიმის რეგულირებას ელექტრონული ტაბლოს მეშვეობით;

– ტაბლო უნდა დამზადდეს და შემდგომ დამონტაჟდეს თბილისი-ლესელიძის საავტომობილო გზის 27 კმ-ში არსებული ბეტონის საყრდენის გამოყენებით;

– ტაბლო უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს (გეომეტრიულ პარამეტრებს, წამკითხავუნარიანობას ტრანსპორტის სიჩქარის გათვალისწინებით, დღის და ღამის პერიოდში განათების სიმძლავრის რეგულირების რეჟიმებს, ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყაროს გამოყენებას, ატმოსფერული მოვლენებისგან ზემოქმედების დაცვას);

– ელექტრონულ ტაბლოზე უნდა განთავსდეს წარწერები (ასოების სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს/მოთხოვნებს 200 მმ) მაქსიმუმ ოთხ სტრიქონად;

– ერთი სტრიქონი იქნება უცვლელი – მუდმივი, განათების გარეშე შუქამრეკლი აფკით-წარწერით ჯვრის უღელტეხილზე/ON THE JVARI CROSSING;

– სამ სტრიქონზე უნდა შეიძლებოდეს ნებისმიერი ტექსტის გამოტანა ქართულ და იმავე შინაარსის ინგლისურ ენაზე;

– ტაბლოს გაბარიტები არ უნდა აღემატებოდეს 7500 სმX2500 სმ; სიმაღლე მიწის ვაკისიდან ტაბლოს ძირამდე არანაკლებ 3,5 მეტრისა;

– ტაბლოზე ტექსტების გამოყვანა უნდა ხდებოდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისიდან – მანძილი ტაბლომდე 25-30 კმ.

2. ელექტრონული ტაბლოს ექსპლუატაციაში გაშვების ვადაა არა უგვიანეს 2004 წლის 1 ოქტომბრისა.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად 28.06.04-დან 29.06.04-ის 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, შესყიდვების სამმართველო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობასა და ინფორმაციას:

– სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში მის მიერ გასაწევი მომსახურება:

| გასაწევი მომსახურების სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) |
|---|---|
| | |

– მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის ვადები დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის ვადის დასრულების შემდეგ და დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ტენდერში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული 13, საკონტაქტო ტელეფონი 37-63-95, გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**ვალერიან რეკვავა (მარცხნიდან), მაია ჩიბურდანიძე და ნოდარ ჯალაღონია ლიკანში 1980 წლის მაისში.**

**ფოტო მოგვაწოდა ვალერიან რეკვავამ.**

## ინფორმაცია

კოლეგები

### გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ შპს „რუსთავი-2"-ის გაკოტრებულად ცნობასთან დაკავშირებით დღეს პირველი კომენტარი გააკეთა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ყველაფრის მიუხედავად, ტელეკომპანია „რუსთავი-2" ყველასთვის საყვარელი არხია და ამიტომ ხელისუფლება შეეცდება, შესაძლებლობების ფარგლებში, „ყველაფერი გააკეთოს ტელეკომპანიის ნორმალური რეაბილიტაციისთვის".

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ზეპირი განხილვის გარეშე, „რუსთავი-2"-ის დირექტორისეროსი კიწმარიშვილის განცხადების საფუძველზე, კომპანიის გაკოტრებასთან დაკავშირებით საქმის წარმოება გუშინწინ დაიწყო.

### გაქურდეს მომღერლის ოფისი

**ქუთაისში ამერიკაში მოღვაწე ქართველი მომღერლის ლევან შენგელიას ოფისი გაქურდეს. შენობიდან გატანილია კომპიუტერული ტექნიკა და დოკუმენტაცია.**

ასევე მოპარულია ის ხელშეკრულებებიც, რომელთა საფუძველზეც მუსიკოსს შემდგომი კონცერტები უნდა გაემართა. აღნიშნულ ფაქტს მიზანმიმართულს უწოდებს თავად ლევან შენგელია, თუმცა, დეტალების დაზუსტებისგან თავს იკავებს.

**ინტერ-პრესი.**

## ხსოვნა



### ნოდარ მუსერიძე

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი პირველი მოადგილე ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების, სსრკ „საპატიო ნიშნის" ორდენის, სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცამეტი მედლის კავალერი, გენერალ-მაიორი **ნოდარ ომარის ძე მუსერიძე.**

დაიბადა 1932 წელს გენერალ ომარ დავითის ძე მუსერიძის ოჯახში. მამა – ომარ მუსერიძე 1941-1945 წლებში იბრძოდა დიდ სამამულო ომში ფრონტის წინა ხაზზე და ამან განაპირობა ის, რომ ახალგაზრდა ნოდარმა ბავშვობიდანვე იწვნია რა ომის სიმწვავე, თავისი ცხოვრების გზად სამხედრო სამსახური აირჩია.

1955 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი.

1963 წელს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

გაიარა დიდი სამხედრო-საბრძოლო გზა – უფროსი ლეიტენანტიდან გენერალ-მაიორამდე. მონაწილეობდა 1956 წლის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საბრძოლო მოქმედებებში. უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთის თითქმის ყველა საომარ მოქმედებაში.

მხურვალე პატრიოტმა და სამხედრომ, ასევე სამხედრო კურთხევა მისცა თავის ვაჟიშვილს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ბრძოლების აქტიურ მონაწილეს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს, ვიცე-პოლკოვნიკ დათო მუსერიძეს, რომლის სიცოცხლეც 1992 წელს შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას.

ნოდარ მუსერიძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული გვარდიის და საჯარისო ნაწილების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში. ყველა ოფიცერს უნერგავდა ხელქვეითების სიყვარულსა და პატივისცემას – განსაკუთრებით ჯარისკაცებისას.

იგი პირად მაგალითზე წვრთნიდა მომავალ ჯარისკაცებს სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით.

ბრწყინვალე სპორტსმენი ფლობდა აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნებას, საპარაშუტო სპორტსა და ტანვარჯიშს.

შესანიშნავი მეოჯახე – მეუღლე, მამა, პაპა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ყველგან და ყველასთან.

შეიარაღებული ძალების თადარიგში ჩარიცხვის შემდეგ აქტიურად ჩაება საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირის „მშვიდობა" წევრთა სოციალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვაში. იგი როგორც კავშირის ვიცე-პრეზიდენტი აქტიურად ეხმარებოდა ყველას. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა „ვეტერან ოფიცერთა" ქართული ფოლკლორული ანსამბლი „მშვიდობა".

ღვაწლმოსილი სამხედროსა და მოქალაქის, თავმდაბალი და უანგარო ქართველი გენერალ-მაიორ ნოდარ მუსერიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ახალი საქართველოს ისტორიაში და სამარადისო ხსოვნა ჩვენს გულებში.

ნათელში იყოს სული მისი!..

**საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირის – „მშვიდობის" გამგეობა; თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი იური გალდავა, ავიაციის თადარიგის გენერალ-მაიორი ვალერი ნაყოფია, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ბორის გაბელია, გურამ ჩაჩავა, შოთა ჯაჭვაძე, ღუტუ ტაკიძე, გიორგი დათუნაიშვილი, ნიკოლოზ შერაზადაშვილი, გურამ მანჯგალაძე, ვახტანგ ღოლიძე, ვახტანგ ტაბატაძე, გაურ ღოლიძე, შოთა ვაშაკიძე.**

## გიხაროდეს!

# გიორგი შინჯიკაშვილი დაბადებულა

ნინო ნეშარიძე და ირაკლი შინჯიკაშვილი უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა იურიდიულ ფაკულტეტზე მათი პირველი ლექცია მიმდინარეობდა.

ოთხი წელიწადი სიყვარულს ფარავდნენ, მაგრამ სიყვარული ხომ დასასრულს ეძებს. კურსის დამთავრებისთანავე იქორწინეს და ათი თვის თავზე ანი დაიბადა, ანის ძმაც უნდოდა და ამას წინათ, სწორედ 26 მაისს, დიდი დღესასწაულის დღეს ოჯახს გიორგი შინჯიკაშვილიც შეემატა.

სიხარულით ცას ეწივნენ ბებიები: ეთერ ვარაზაშვილი და ესმა თათარაიძე. გურამი კი ამაყობს, ჩემი გვარის გამგრძელებელი დაიბადაო. დიდი ბებო – ნინო და დეიდა მედეა ხომ ერთმანეთს პატარას სიყვარულში ეცილებიან, – აბა ვინ უფრო მეტად მიხედავს გიორგისო. ჩვენც სიყვარულით ვეფერებით პატარას და ვუსურვებთ, ბედნიერი, სახელოვანი და ჯანმრთელი ვაჟკაცი გაზრდილიყოს. ლე-



ვანი კი ოცნებობს, ძმისწულს ქართული ჭიდაობა უნდა ვასწავლოო. ღმერთმა ამრავლოს ქართველობა.

**ღოღო და მერი ზურაბაშვილები.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



ბიჭი გოგოსთან ერთად დაბურულ ხეივანში სეირნობს.

– იცი, დედაჩემმა დამარიგა, რომ რაც არ უნდა მთხოვო, ყველაფერზე „არა" გიპასუხო! – ინაზება გოგო.

– უნდა დაუჯერო დედას. თუმცა, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ გაკოცო?

– არა.

ბიჭი თავდავიწყებით კოცნის.

– თეძოებზეც რომ მოგეფერო, ხომ არ გეწყინება?

– არა.

ბიჭი ასევე თავდავიწყებით „აუთოებს" და თან ვნებიანად ჩურჩულებს: – იცი, ბოლომდე უგდე ყური დედაშენის რჩევას დასაოცარ დროს გავატარებთ.

* * *

– მე შენ განახვებ, როგორ უნდა ჩემი ქალიშვილის გაუპატიურება, – გაცეცხლებული ყვირის მამა ყურმილში.

– ნუ შეწუხდებით, ეგ მეც კარგად ვიცი.

## ამინდი დღეს

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | – | +15, | +26 |
| ბათუმი | – | +16, | +27 |
| სოხუმი | – | +14, | +27 |
| ფოთი | – | +15 | +28 |
| ქუთაისი | – | +15, | +28 |
| გორი | – | +14, | +26 |
| თელავი | – | +15, | +25 |

## ლარის კურსი

12 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.5178 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9200 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.3155 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0661 | ლარი. |

ვალიკო სიმონიშვილი ოჯახით ღრმა სამძიმარს უცხადებს ჯემალ მებუკეს ძმის

თამაზ (თაზო) მებუკის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს სოსო ჯღარკავას მამის

ნიკოლოზ ჯღარკავას

გარდაცვალების გამო.

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ლაბორანტი

სარა (მერი) მეტრეველი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „თანადგომა-1"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.

დამფუძნებლები–გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი
**გურამ გოგიაშვილი.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika